საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58, ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დაწესებულებისათვის—1 მან. და 20 კაპ.
განცხადებანი: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 6—48.

პარასკევი, 27 აგვისტო 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 194 (1739)

დ ღ ი უ რ ი

- საკავშირო კომპარტიის ცკამ დაადგინა მე-15 საკავშირო კონფერენცია მოიწვიოს 15 ოქტომბრისათვის.
- ფოსტა - ტელეგრაფის მუშათა კავშირის მიმართვა ინგლისის ტრანსპორტის მუშებისადმი „ინდოს“ მუშაობის „შეჩერების“ შესახებ.
- ჩეხიის სოციალ - დემოკრატ. პარტიის ცეკა თავის მოწოდებაში მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას.
- იტალიაში დააპატიმრეს მაქსიმალისტების პარტიის 400 წევრი.
- ამერიკის მუშათა კლასი აგროვებს შემოწირულებას ინგლისის მემაღაროეთა დასახმარებლად
- სააპელაციო სასამართლომ ლანცუცკის 4 წლის კატორღა მიუსაჯა.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტი

(„პრავდა“-ს მოწინავე წერილი)

საბჭოთა სოფელში ფულის ტრიალის შეჭრამ და უკანასკნელთან დაკავშირებულმა საკრედიტო ურთიერთდამოკიდებულებათა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა მნიშვნელოვანი ამოცანა—სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციის შესახებ.

კაპიტალიზმის ქვეყნებში (ასევე იყო რუსეთში რევოლიუციამდე) სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემა წარმოადგენს ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას სასოფლო მეურნეობის განვითარებაზე და სოფლის კლასიურ ურთიერთობაზე ეკონომიურ ზეგავლენის მოსახდენად. საკრედიტო კოოპერაციის საშუალებით სწარმოებს იქ სოფლის კაპიტალისტურ მეურნეობათა გაერთიანება ფინანსიურ კაპიტალთან დიდი ბანკების სახით. ამას შედეგათ მოსდევს ის, რომ გლეხური მოსახლეობის უმრავლესობის მიერ შექმნილი საკრედიტო კოოპერაცია, რომლის მიზანია წვრილი საკუთრების გადარჩენა საბანკო ექსპლოატაციის შესუსტება, პირიქით, ხდება კაპიტალის მობილიზაციის საშუალებათ, გლეხობის ექსპლოატაციის და მსხვილ კაპიტალისტური წარმოების მიერ წვრილ მეურნეობათა განდევნის იარაღათ.

ეს მოვლენა იმდენად აშკარაა ბურჟუაზიულ ქვეყნების საერთო კაპიტალისტურ ურთიერთობათა ფონზე, რომ ჩვენს პირობებში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანიზაცია შეიძლება გატარდეს მხოლოდ უდიდესი სიფრთხილით, წინდახედულობით და თანამიმდევრობით.

მთავარი პოლიტიკური ხაზი გამომუშავებული იყო მე-14 პარტკონფერენციაზე. ამ ხაზის აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ქვეყნების პრაქტიკისა, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანიზაცია უნდა მოხდეს ჩვენში არა კოოპერაციის საკრედიტო ფუნქციების და კოოპერატიულ გაერთიანებებთა სხვა ფორმების შესუსტების გზით, არამედ კოოპერაციის საკრედიტო მუშაობის მის საწარმოვო და გასაღებელ ფუნქციებთან შეთანხმებით, ე. ი. კრედიტის ამოცანები უნდა დაუქვემდებარდეს სოციალისტურ მშენებლობაში გლეხობის ჩაბმის საერთო მიზნებს. აქედან წარმოიშვა ახალი ტერმინი „სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპერაცია“, რომელიც ხმარებაში შემოიღო მე-14 პარტკონფერენციამ.

მე-14 პარტკონფერენციის გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების შემდეგ განვლილმა დრომ დაადასტურა აღებული ხაზის სისწორე. კოოპერაციის საკრედიტო ფუნქციების დაკავშირებით საწარმოვო და გასაღების ამოცანებთან ჩვენ მოვახერხეთ საშუალო შეძლების და ღარიბ გლეხობის კოოპერაციის მოწყობა კრედიტის დარგში. უკანასკნელი ანხორციელებს ჩვენი კლასიური პოლიტიკის ამოცანებს სოფლად.

კოოპერატიულად გაერთიანებულმა გლეხობამ და სასოფლო კოოპერაციის დაბალი საფეხურის ქსელმა ერთსულოვნად მიიღეს კრედიტის ორგანიზაციის ახალი ფორმა, რომელიც იძლევა იმის გარანტიას, რომ მათი საშუალებანი მოხმარდება გლეხობის ძირითად მასის საჭიროებას.

რასაკვირველია, კლასიური კოოპერაციის ამოცანები ჯერ კიდევ არ შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს. საჭიროა დიდი მეცადინეობა პარტიის, საბჭოთა და კოოპერატიულ ორგანიზაციების მხრივ, რათა საშუალო შეძლებების და ღარიბი გლეხობის ძირითადი მასა ჩაებას სასოფლო - სამეურნეო და საკრედიტო კოოპერაციაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ღარიბ გლეხობისათვის საწარმოვო კრედიტების მიწოდების სწორ ორგანიზაციას, მაგრამ ამ გზაზე ჩვენ უკვე აღარ მივდივართ ბრმად. საშუალო შეძლების და ღარიბი გლეხობის მოზიდვის ამოცანა ერთის მხრივ და ბრძოლა კულაკის წინააღმდეგ—მეორეს მხრივ—მუშაობის პროცესში ღებულობს პრაქტიკულ ფორმებს.

სასოფლო - სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციის გამოცდილება და მუშაობის პრაქტიკა სავსებით ჩამოყალიბებულია ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებაში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა. ამ დადგენილებაში აღნიშნულია ცხოვრებაში შემოწმებული, თავის დროზე პარტიის მიერ მოცემული მთავარი საორგანიზაციო ხაზის სისწორე. მაგრამ ამასთან ერთად გამოაშკარავებულია მნიშვნელოვანი ნაკლულოვანებანი, რაც აფერხებს სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემის განვითარებას და სახელდობრ: ანაბარების ოპერაციების სუსტი განვითარება, სესხების განაღდების ვადის გადაცილება, რაც ზოგიერთ რაიონებში მასიურ ხასიათს იღებს, დაბალი საფეხურის სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის საშუამავლო - საწარმოვო მოღვაწეობის განვითარებისათვის სუსტი დახმარება, ცეკას იმ დადგენილების შეუსრულებლობა, რომელიც შეეხება სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო კოოპერაციის კავშირთა ჩაბმას საკრედიტო მუშაობაში და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობაში საკმაო კავშირის და შეთანხმებული მოქმედების უქონლობა.

დადგენილების მიხედვით, მუშაობის ტემპი სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემის გაუმჯობესებისათვის, დღემდე ვერ იყო საკმაო. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დაბალი საფეხურის ქსელი სუსტად იყო ჩაბმული საკრედიტო მუშაობაში და დაბალი საფეხურის საკრედიტო უჯრედები საკმაოდ ვერ ემსახურებოდენ კოოპერაციაში შეკავშირებულ გლეხობის საწარმოო და გასაღებითი საჭიროებებს, რის გამოც დაბალი საფეხურის ორგანიზაციების წყობაში შემჩნეულია არევდარევა, თუმცა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობის ტიპი საშუამავლო ფუნქციებით სავსებით ნათლად იყო მოხაზული პარტიის წინანდელ დადგენილებებში.

სიფრთხილე კოოპერატიულ ორგანიზაციათა საკრედიტო შეძლების გამორკვევის დროს, სასოფლო - სამეურნეო ბანკებში იქცეოდა კოოპერატიულ სისტემისადმი უნდობლობად, რომელიც აბრკოლებდა დაბალ საფეხურის ქსელისათვის კრედიტების მიცემას და „კავშირებისა და სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა საკრედიტო საქმიანობაში ჩაბმას ისე, რომ ისინი თანდათანობით გადაქცეულიყვნენ სასოფლო - სამეურნეო საკრედიტო კავშირებად საშუამავლო ფუნქციებით“.

სასოფლო - სამეურნეო კრედიტის სისტემის განმტკიცება, რომელსაც აღნიშნავს ცეკას დადგენილება და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელის გაჯანსაღება, საშუალებას გვაძლევს, რომ უფრო გადაჭრით შეუდგეთ პარტიის მიერ დასახულ საორგანიზაციო და სამეურნეო ამოცანების განხორციელებას.

სოფლის მოსახლეობის საშუალო შეძლებისა და ღარიბმა ფენებმა რაც შეიძლება ჩქარა უნდა იგრძნონ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემისა და მუშაობის გაუმჯობესება. ღარიბმა გლეხობამ ცხადად უნდა იგრძნოს საკრედიტო დახმარების საქმის მოგვარება. მხოლოდ სოფლის კოოპერატიული კრედიტისადმი ნდობის საფუძველზე შეიძლება იქმნას განხორციელებული უდიდესი მნიშვნელობის ამოცანა—გლეხობის მიერ დანაგროვი დოვლათის სახელმწიფოებრივ - კოოპერატიულ კაპიტალით მიმართვა.

იმ კავშირის მიხედვით, რომელსაც ცეკას დადგენილება ამყარებს კოოპერატიულ დარაზმვისა და კრედიტის სასოფლო - სამეურნეო კოოპერატიულ დარაზმვის სხვა სახეებთან, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ორგანიზაციის ამოცანა ხდება აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ძირითადი ნაწილი სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის უფრო ზოგადი პრობლემისა, ე. ი. სოფლის სოციალისტურ გეგმიან მეურნეობის სისტემაში ჩაბმის პრობლემისა.

გადმოცემულია ტელეგრაფით.

მოსკოვი, 26 აგვისტო.

* * *

დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვის შედეგები

სასოფლო - სამეურნეო გადასახადით დასაბეგრი ობიექტების აღწერა საქართველოში 15 ივლისს დასრულდა. რესპუბლიკის ყველა რაიონებიდან მიღებულია აღწერის შედეგები და გაკეთებულია ჯამი. ეს აღწერა ყოველ წლიურად მეორდება და მეხუთე წლის თავზე ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ასე თუ ისე დადებით შედეგებს მოველოდეთ.

ეჭვს გარეშეა, გლეხობამ შეიგნო, რომ დაბეგვრის ობიექტების დაფარვა მისთვის ხელსაყრელი არ არის, რომ თანასწორად დაბეგვრისათვის საჭიროა სწორი ცნობების მიცემა. ხშირად გლეხები ამხელდენ თავიანთ მეზობლებს, რომელნიც ცდილობდენ დაემალათ თავიანთი მიწების ან საქონლის ერთი ნაწილი.

მეორეს მხრივ ადგილობრივი ორგანოებიც, სათემო აღმასკომები და სასოფლო საბჭოები, რომელნიც ცოტათ თუ ბევრათ განმტკიცდენ, უფრო ენერგიულად ერეოდენ აღრიცხვის საქმეში და ხელს უწყობდენ აღწერის წარმატებით ჩატარებას.

რასაკვირველია, იმის თქმა არ შეიძლება, რომ დამალვას ადგილი აღარ ქონდა, რომ ყველაფერი რიგზეა. ზოგიერთ რაიონებში ადგილი ჰქონდა უმთავრესად დათესილ არეს დამალვას. მაგრამ თუ შევადარებთ მიმდინარე წლის აღრიცხვის წარსული წლის აღრიცხვის შედეგებთან, დავინახავთ მნიშვნელოვან განსხვავებას, სახელდობრ: შარშან აღრიცხული იყო სახნავ-სათესი მიწები 903.466.01 დესეტ. წელს 963.526,42 დეს. ანუ 60.060,41 დესეტინით მეტი, რაც იძლევა 6,7 პროც. მომატებას.

მსხვილფეხა საქონელი წარსულ წელს აღრიცხული იყო 918.558 სული, მიმდინარე წელს 1.053.248 სული; ანუ 134.690 სულით მეტი (14,6 პროც.) წვრილფეხა საქონელი (ცხვარი და თხა) წარსულ წელს აღრიცხული იყო 962.164 სული; მიმდინარე წელს—1.181.147 სული, ანუ 218.983 სულით მეტი (22,7 პროც.).

თუ განვიხილავთ ცალ-ცალკე სახნავ-სათეს მიწებს, მივიღებთ შემდეგ სურათს:

მიწების სახელწოდება	1925—26 წ. ცნობებით	1926—27 წ. ცნობებით	მეტი		ნაკლები	
			დესეტ.	%	დესეტ.	%
სახნავი მიწა	781.017,38	839.837,55	58820,7	7,5	—	—
ბამბით დათესილი მიწები	3755.43	3862,79	107,36	2,8	—	—
ხეხილის ბაღები	5208,86	5696,75	487,89	9,4	—	—
ვენახები	26.450,16	28.220,93	1770,77	6,7	—	—
ბოსტნები	5406,76	5337,91	—	—	68,85	1,3
თამბაქო	4935,84	9060,96	4125,12	83	—	—
ჩაი	842,67	734,49	—	—	108,18	13
სათიბები	75.848,9	70.775,04	—	—	5073,87	6,6

სახნავ-სათესი მიწების მომატება უნდა მივაწეროთ საალრიცხვო კამპანიის წარმოებას და საფინანსო აპარატის გაუმჯობესებას. იგივე ითქმის სხვა მიწებზედაც, სადაც მიღებულია ცოტა თუ ბევრი მომატება.

სხვათა შორის, ადგილი ჰქონდა დათესილ არეს ფაქტიურ ზრდასაც, როგორც მაგალითად, თამბაქოთი დათესილი არე აფხაზეთში მიმდინარე წელს უდრიდა 7596,17 დესეტ. ანუ 3675,28 დესეტინით მეტს, ვიდრე წრსულ წელს. და პირიქით, ცნობილია, რომ ვენახების არე მიმდინარე წელს შემცირდა სხვადასხვა მიზეზების გამო (ფილოქსერა და სხ.) ხოლო აღრიცხვის მიხედვით წელს, გვაქვს 1770,77 დესეტინით მეტი. ეს იმას ამტკიცებს, რომ შარშან ადგილი ჰქონდა დამალვას. უკანასკნელი ციფრი სავსებით ეთანხმება მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ციფრებს.

ბოსტნების არეს შემცირება (1,3 პროც.) აიხსნება იმით, რომ მიმდინარე წელს ახალი ინსტრუქციების თანახმად, ქართოფილით დათესილი არე მიეკუთვნა მინდვრის კულტურას (სახნავ-სათეს მიწებს).

ჩაის პლანტაციების შემცირება (13 პროც.) აიხსნება იმით, რომ მიმდინარე დადგენილების თანახმად, იბეგრება მხოლოდ ჩაის ის ბუჩქები, რომელსაც 5 წელი შეუსრულდა, რასაც შარშან ადგილი არ ჰქონია.

ყურადღებას იპყრობს სათიბების არეს შემცირება (5073,87 დესეტ.) ეს მოვლენა დროებითია და აიხსნება იმით, რომ ახალციხის და ახალქალაქის გლეხებმა აღძრეს შუამდგომლობა იმ სათიბების დაბეგვრისაგან განთავისუფლების შესახებ, რომელიც მათ იჯარით აქვთ აღებული მიწათმოქმედების სახ. კომისარიატისაგან და ჯერ-ჯერობით ეს არე არ არის ნაჩვენები აღრიცხვაში. თუ მათი შუამდგომლობა იქნა დაკმაყოფილებული, ეს არე გამოაკლდება საერთო ჯამს,—თუ ეს სათიბები დაიბეგრა (სულ დაახლოვებით 9000 დესეტ.), მაშინ აღრიცხვაში აღნიშნული იქნება არა შემცირება, არამედ გადიდება 4 ათას დესეტინაზე მეტათ.

ამგვარად მიწების საერთო არე გადიდებულია 60 ათასი დესეტინაზე მეტით, საქონლის კი 352 ათასი სულით.

ამნაირად სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჯამი გაიზრდება დაახლოვებით 200 ათასი მანეთით.

ყოველ წლიურად აღრიცხვის შედეგები თანდათან უკეთესი იყო, მიწების და საქონლის რაოდენობა იზრდებოდა, მაგრამ ისეთ მომატებას, როგორც წელს ჯერ ადგილი არ ჰქონია. მართლაც, თუ შევადარებთ აღრიცხვის შედეგებს უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში დავინახავთ, რომ ყველაზე ხელსაყრელია მიმდინარე კამპანია.

წარსულ წელს (1925—1926 წელს) შარშანდელთან (1924—1925 წ.) შედარებით, აღრიცხვის დროს მიწების აბსოლიუტური რაოდენობა გადიდებული იყო 607 დესეტინით,—ხოლო საქონლის მომატებას სრულიად არ ჰქონია ადგილი, იმ დროს როდესაც მიმდინარე წელს, როგორც ზევით დავინახეთ, მომატება გამოიხატება ათეულ და ასეულ ათასებში.

როგორც ვიცით, გლეხური მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა შემუშავებულია ამგვარად, რომ გადასახადი სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის უფრო თანასწორათ ნაწილდება; ღარიბი მეურნეობა სავსებით თავისუფლდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან, ხოლო შეძლებულები იხდიან როგორც სამიწათმოქმედო, ისე არა სამიწათმოქმედო ხასიათის შემოსავლის ყველა წყაროებიდან. სწორი აღრიცხვა უკვე 80 პროც. უზრუნველყოფს საგადასახადო კამპანიის წარმატებას და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვის წარმატება გლეხობის კეთილგანწყობილება ამ კამპანიისადმი ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში, საკითხისადმი უფრო სერიოზული მოპყრობა ხელისუფლების ადგილობრივი ორგან. მხრივ და ბოლოს, ფინსახკომის ორგანოების მიერ წლობით შეძენილი გამოცდილება—ხელს შეუწყობს გადასახადის თავის დროზე აკრეფას და საბოლოოდ მოსპობს წარსული წლების გადასახადების ნაშთებს.

გლეხობის საჩივრების უმრავლესობა წარსულ წელს შეეხებოდა უსამართლო დაბეგვრას, რაც მოხდა იმის გამო, რომ ერთი აჩვენებდა სისწორით, ხოლო მეორე მალავდა თავის ქონების ერთ ნაწილს. ეხლა ამას აღარ ექნება ადგილი, ან უფრო იშვიათი იქნება და გადამხდელებსაც ნაკლები საბაბი ექნებათ საჩივრისათვის.

გლეხებს ეძლევათ რამდენიმე ვადა გადასახადის შესატანად, ეს ვადები შეფარდებულია სასოფლო მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის მომენტთან. თვითეული გლეხი ხალისიანად შეასრულებს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას, სწორედ ისეთივე ხალისით, როგორც ახალ წელს ის იძლეოდა სწორ ცნობებს თავის ქონების შესახებ.

ვიმეორებ, საალრიცხვო კამპანიის წარმატებით დასრულება წარმოადგენს მთელი საქმის გამარჯვების საწინდარს.

გ. მ.

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია საქართველოში

დელეგაცია თბილისში

გუშინ, დილის 10 ს. 30 წ. ბაქოდან ჩქარი მატარებლით თბილისში ჩამოვიდა გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია.

დელეგაციის შემადგენლობა



ამხ. ფ. კერბერ
დელეგაციის თავმჯდომარე, ფოსტის მოსამსახურე, ს.-დ.

დელეგაციის შემადგენლობა ასეთია: 1) **ფრიც კერბერ**—დელეგაციის პირველი თავმჯდომარე, ფოსტის მოსამსახურე, სოციალ-დემოკრატი, 2) **პეტრე არნ**—დურგალი, სოციალ-დემოკრატი, 3) **ვილი ბეხერ**—რკინის-გზელი, სოციალ-დემოკრატი, 4) **ავგუსტ ბუხგოლც** — მემანქანეთა პროფკავშირის თავმჯდომარე, სოციალ-დემოკრატი, 5) **გენრიხ ბუგპეშ**—სოციალ-დემოკრატი, 6) **რიხარდ ბურგარდი**—მჭედავი, სოციალ-დემოკრატი, 7) **იოგან დვორცაკ**—მჭედელი, ქრისტიანულ-სოციალისტური პარტიის წევრი, 8) **ზიგფრიდ ენგე**—მკერავი, სოციალ - დემოკრატი, 9) **ოსკარ ფეიგ**—მელითონე, სოც.-დემ. 10) **კარლ გიუნცელ**—სოციალ-დემოკრატი, 11) **ვილი გამერლატ**—სამთამადნო დარგის მუშა, ქრისტიანულ-სოციალისტური პარტიის წევრი, 12) **ანტონ კოხ**—სოციალ-დემოკრატი, 13) **ფელიქს კრაფტ**—ხელოსანი, სოციალ-დემოკრატი, 14) **გენრიხ კრიუგერ**—მასწავლებელი, დემოკრატი, 15) **იოზეფ ლენც**—მჭედელი, სოციალ-დემოკრატი, 16) **ვალტერ ლიუდვიგ**—მოდელების მკეთებელი, 17) **გუსტავ ლაუენშტეინ**—ზეინკალი, სოციალ- დემოკრატი, 18) **რობერტ ზივერტი**—კალატოზი, კომუნისტი, 19) **ოტო გენრიკ**—მელითონე, კომუნისტი, 20) **ოტო შტეინკე**—კომუნისტური გაზეთის „როტე ფანე“-ს რედაქტორი, მოსამსახურეთა კავშირის წევრი, 21) **ვალტერ რიგერ**—ზეინკალი, სოციალ-დემოკრატი, 22) **არტურ შენებურგი**--ზეინკალი ს.-დ., 23) **კარლ ვალტერ**—დურგალი, სოციალ-დემოკრატი, 24) **განს მიუნხ**—თამბაქოს დამხარისხებელი, სოციალ-დემოკრატი.

დელეგაციას თან ახლავს საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენელი ამხ. **ბოგდანოვი** და დელეგაციის მდივანი ამხ. შტიურმერი.

შეხვედრა სადგურზე

დელეგაციას სადგურზე შეხვდენ ამხ. **არჩილ მიქაძე, ი. ჭელიძე, მარკმანი, შეფტელი** და სხვა ადგილობრივი პასუხისმგებელი ამხანაგები და პროფმუშაკები.

სადგურზე დელეგაციას შეხვდენ აგრეთვე თბილისის მუშები. რკინისგზელები, მელითონეები, საბჭოთა მუშაკები, კავშირების ცენტრალურ გამგეობებისა და აგრეთვე მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შემდეგ გაიმართა მიტინგი.

მ ი ტ ი ნ გ ი

მისალმების სიტყვა საქართველოს პროლეტარიატის სახელით წარმოსთქვა საქართველოს პროფსაბჭოს პასუხისმგებელ მდივნის მოადგილე ამხ. ი. **ჭელიძემ.**

ამხ. ჭელიძის სიტყვა

საქართველოს მშრომელთა სახელით დელეგაციას ორატორმა მხურვალე სალამი უძღვნა და ხაზი გაუსვა გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის ჩამოსვლის მნიშვნელობას საქართველოში.

თქვენ მოგეხსენებათ, ამხანაგებო,--სთქვა ამხ. ჭელიძემ,—თუ როგორი ჭორებია გავრცელებული ევროპაში საქართველოს და საერთოდ საბჭოთა კავშირის შესახებ.

გერმანიის მუშათა დელეგაცია დაწვრილებით გაეცნობა საქართველოში დაწყებულ სოციალისტურ მშენებლობის საქმეს და ჩვენ კი დიდათ შეუწყობთ მათ ხელს ამ განზრახვის შესრულებაში.

ერთ რამეს ვსთხოვთ ჩვენ დელეგაციას: თავიანთ მოძმეებს სისწორით უამბონ ყოველივე ის, რასაც აქ, საქართველოში, საკუთარი თვალით ნახავენ. საქართველოს სოციალისტური მშენებლობის ყოველი დარგის გაცნობის შემდეგ დელეგაცია ღრმად დარწმუნდება იმაში, თუ რამდენათ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს აღმშენებლობის საქმე და რამდენათ დიდი პატივისცემა და დაფასება აქვს მუშათა შრომას.

ვისურვოთ, რომ შექმნილიყოს ისეთი მდგომარეობა, რომ გერმნიის მუშათა კლასი სათავეში მოექცეს თავის სახელმწიფოს და წარმართოს ის იმ გზით, რომელიც სასარგებლო იქნება გერმანიის და საერთაშორისო მუშათა კლასისათვის.

გაუმარჯოს გერმანიის მუშათა დელეგაციას! გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მუშათა კლასს და მსოფლიო რევოლიუციას!

ამხ. კერბერის სიტყვა

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა დელეგაციის პირველმა თავმჯდომარემ **კერბერმა,** რომელმაც მადლობა გადაუხადა საქართველოს პროლეტარიატს გულითადი შეხვედრისათვის. მან სთქვა:

დელეგაცია მოხარულია, რომ მას საშუალებას აძლევენ შეისწავლოს საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობა.

დელეგაციამ უკვე დაათვალიერა საბჭოთა კავშირის მსხვილი სამრეწველო ცენტრები და რაიონები, მათ რიცხვში მოსკოვი, ლენინგრადი და სხვა. ყველგან ჩვენ დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდენ. ჩვენ დავრწმუნდით, რომ საზღვარგარეთელი სოციალ-დემოკრატიული პრესა განგებ უხვევს თვალს იქაურ მუშებს. ჩვენ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირის მუშებს სრული შესაძლებლობა აქვთ ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის.

ჩვენ გამოგზავნილი ვართ 100.000 მუშის მიერ და გერმანიაში დაბრუნებისას უამბობთ მათ ყოველივეს, რაც აქ ვნახეთ. ჩვენ გავფანტავთ ყველა იმ ჭორებს და ცილისწამებას, რომლებსაც ავრცელებენ საბჭოთა კავშირის შესახებ გერმანიის ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული გაზეთები.

პირველმა დელეგაციამ,—განაგრძო ამხ. კერბერმა—სთქვა სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ, რამაც ბურჟუაზიულ და სოციალ-დემოკრატიულ წრეებში დიდი მღელვარება გამოიწვია. პირველი დელეგაცია ყველას არწმუნებდა, რომ საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობისათვის ყველა პირობები მზად არისო.

მეორე დელეგაცია, როცა ის გერმანიაში დაბრუნდება, მოუთხრობს მუშათა კლასს მის მიერ ნახულს.

ჩვენ გერმანიის მუშებს დავარწმუნებთ იმაში, რომ საჭიროა მთლიანი ფრონტის შექმნა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლება გერმანიის მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება,—ასე დაასრულა თავისი სიტყვა ამხ. კერბერმა.

სალამი თბილისის მუშებს



Die zweite deutsche Arbeiter-Delegation begrüßt die
Arbeiterschaft von Tiflis. Wir freuen uns Gelegenheit zu
haben auch hier die Wahrheit kennen zu lernen
Wir denken als Arbeiter – und werden für die
Einheitsfront kämpfen
Fritz Kerber
I. Vors. der II. Dtsch. Arbeiter-Delegation

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია მიესალმება თბილისის მუშებს. ჩვენ მოხარული ვართ, რომ შემთხვევა გვეძლევა აქაც სიმართლე გავიგოთ.

ჩვენ ვაზროვნებთ როგორც მუშები და ვიბრძოლებთ მუშათა მთლიანი ფრონტის შესაქმნელად.

ფრიც კერბერ

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის პირველი თავმჯდომარე

ამხ. სუხიშვილის მისალმება

რკინის-გზის სახელოსნოების მუშების სახელით დელეგაციას მიესალმა მუშა **სუხიშვილი,** რომელმაც დიდი აღფრთოვანება და სიხარული გამოსთქვა დელეგაციის ჩამოსვლის გამო. ორატორმა სხვათა შორის სთქვა: ამხანაგებო, გერმანელებო! უამბეთ გერმანიის პროლეტარიატს, რომ საქართ. მშრომელი ხალხი „ბატონების“ ტერორის ქვეშ კი არ არის დაყენებული, არამედ თვით არის თავისი თავის პატრონი.

ამხ. ენგეს სიტყვა

გერმანიის მუშა ახალგაზრდობის სახელით მიტინგს მიესალმა ამხ. **ენგე.**

მუშა ახალგაზრდობა საბჭოთა ქვეყნებში—ლაპარაკობს ენგე,—უკეთეს პირობებში იმყოფება ვინემ გერმანიის ახალგაზრდობა.

საბჭოთა რუსეთში ახალგაზრდობა 4—6 საათს მუშაობს დღეში, გერმანიაში კი 10—12 საათს. ჩვენ აღტაცებაში მოვვიყვანა მუშა ახალგაზრდობის მდგომარეობის გაცნობამ საბჭოთა კავშირში. აქ ახალგაზრდობისათვის საუკეთესო პირობებია შექმნილი. დასასრულ მან სთქვა:

გერმანიის მუშა-ახალგაზრდობა მედგრად იბრძოლებს საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობასთან ერთად მუშათა მოძრაობის მთლიანი ფრონტისათვის.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ—„გაუმარჯოს გერმანიის პროლეტარიატის“ ძახილით—მიტინგი დაიშალა და დელეგაცია გააცილეს მათთვის მომზადებულ ბინაზე.

დელეგაცია კოჯორში

საღამოს 5 საათზე დელეგატები ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს მდივნის ამხ. **შეფტელის,** პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრის ამხ. **ჭელიძის,** შრომის სახკომის ამხ. **არჩილ მიქაძის** და სხვათა თანხლებით გაემგზავრენ კოჯორში ბავშთა ახალშენების დასათვალიერებლად.

ბავშთა ახალშენების და მოედნების დათვალიერება გაგრძელდა 4 საათს.

დელეგატები დაწვრილებით გაეცნენ ბავშთა აღზრდის და კვების საქმეს და სასპორტო გასართობებს.

ხელმძღვანელები დაწვრილებით ახსნა-განმარტებას აძლევდენ დელეგატებს სწავლების მეთოდიური პროგრამის და მოწაფეთა რაოდენობის შესახებ.

დელეგატებზე საუკეთესო შთაბეჭდილება მოახდინა ბავშების სიმღერამ. დეე, ისისინონ ბურჟუაზიულ - კაპიტალისტების მწერლებმა, რომლებიც გამუდმებით სწერენ, რომ საბჭოთა ქვეყნებში ბავშებს მოვლა არ აქვსო.

ბავშების საღი გამომეტყველება, ლამაზათ მორთული სახლები ამტკიცებს იმას, თუ როგორ მზრუნველობას იჩენს საბჭოთა ხელისუფლება მომავალი თაობის აღზრდის საქმეში.

დელეგატებს სიტყვით მიმართა ერთერთმა პიონერმა.

პიონერებმა სტუმრები მიიპატიჟეს ჩაიზე.

დაბრუნებისას დელეგატებმა ჩვენს თანამშრომელს გაუზიარეს თავისი აღტაცება ბავშთა ახალშენების დათვალიერებით გამოწვეული.

საღამოს 9 საათზე დელეგატები დაბრუნდნენ ობილისში და დაათვალიერეს მუშათა კლუბები.

საბჭოთა მუშაკების კლუბში

საბჭოთა მუშაკების კლუბში დელეგატებს სიტყვით მიმართა საქართველოს საბჭოთა მუშაკების კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. **ღლონტმა.**

ამხ. ბურგარდის სიტყვა

ამხ. ღლონტის მისალმების საპასუხოთ დელეგაციის წევრმა ამხ. **ბურგარდიმ** სთქვა:

თქვენმა ძმურმა შეხვედრამ აღტაცება გამოიწვია ჩვენში.

გერმანიაში დაბრუნებისას ჩვენ მივაწვდით მშრომელ კლასს სწორ ინფორმაციას საბჭოთა კავშირის შესახებ.

წინააღმდეგ ბურჟუაზიულ და „სოციალისტურ“ პრესის მტკიცებისა, ჩვენ საბჭოთა კავშირში ვნახეთ არა სიღატაკე და უწესრიგობა, არამედ კეთილდღეობა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს!

მუშათა ახალ კლუბში

მუშათა ახალ კლუბს ამშვენებდა წარწერა: „ძმური სალამი გერმანიის პროლეტარიატს“.

კლუბი საზეიმოთ იყო მორთული.

კლუბის დათვალიერებამ დელეგატებზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

შემდეგ დელეგატებმა დაათვალიერეს ცენტრალური მუშათა კლუბი, სადაც სტუმრებს ტაშის ცემით შეხვდენ.

ამის შემდეგ დელეგატები მიპატიჟებულ იქნენ ბანკეტზე მუშათა ახალ კლუბში.

ბანკეტზე დელეგაციის თავმჯდომარემ კერბერმა წარმოსთქვა სიტყვა.

ამხ. კერბერის სიტყვა

ამხანაგებო! მე საშუალება მომეცა პირადათ გავსცნობოდი საბჭოთა კავშირის მდგომარეობას და ამასთანავე შემეფასებია ღირსეულად მთელი ბურჟუაზიული სიყალბე და ჭორი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შესახებ.

შეეხო რა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის საერთო შთაბეჭდილებებს ფრიც კერბერმა აღნიშნა, რომ საბჭოთა მეურნეობის აღდგენის საქმე ჩქარი ტემპით მიმდინარეობს, რაც ნათლად მტკიცდება ყოველივე იმიდან, რაც ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ.

ოთხი კვირაა, რაც ჩვენ საბჭოთა კავშირში ვმოგზაურობთ და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ დავრწმუნდით, თუ როგორ იზრდება საწარმოო ძალები თქვენს ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირში ცხოვრება ნორმალურ პირობებშია ჩაყენებული და მთავარი ისაა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი კლასი თვით სჭედს თავის ბედნიერებას.

საბჭოთა კავშირის მაგალითებით უნდა ისწავლოს გერმანიის მშრომელმა კლასმა—წინააღმდეგ შემთხვევაში გამარჯვებას ვერ მივაღწევთ.

შემდეგ ფრიც კერბერმა გამოსთქვა საქართველოში მიღებული პირველი შთაბეჭდილებები და, სხვათა შორის აღნიშნა:

ის, რაც ჩვენ კოჯორში ვნახეთ—უტყუარი საბუთია იმისა, თუ რამდენად წინ მიდის საქართველოს კულტურული კეთილდღეობა.

მშვენივრად ჩაცმული ბავშვები, რომლებსაც სახეზე სიხარულის ღიმი უკრთის, საუცხოვოდ გამოიყურებიან. ბავშვთა ახალშენების საერთო მოწყობილობამ ძლიერ განმაცვიფრა. ასეთები მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკებში არსებობს.

ჩვენ დაწვრილებით გავეცნობით თქვენი ქვეყნის საერთო მდგომარეობას და გერმანიაში დაბრუნებისას უამბობთ გერმანიის მუშათა კლასს საქმეთა ნამდვილ ვითარებას.

ჩვენ ვეცდებით მივიღოთ ენერგიული ზომები თქვენში არსებულ მსგავს წესების გერმანიაში დასამყარებლად—ასე დაასრულა ფრიც კერბერმა თავისი სიტყვა.

ბანკეტის შემდეგ დელეგატები წავიდენ დასასვენებლად სასტუმრო „სასახლის ნომრებში“.

დღეს დელეგაცია გაიყოფა ორ ჯგუფად.

პირველი ჯგუფი დაათვალიერებს მთავარ სახელოსნოებს, სპილენძის სადნობ ქარხანას და სტამბას.

მეორე ჯგუფი დაათვალიერებს თამბაქოს ქარხნებს, კოოპერატიულ ორგანიზაციებს და მუშათა აღმშენებლობას დიდუბეში.

დღეს საღამოს 7 საათზე
გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციის საპატივცემლოდ
მუშათა ცენტრალურ კლუბში მოწვეულია
საქ. პროფსაბჭოს პლენუმი
ადგილკომების და ქარხკომების თანდასწრებით

გზა და გზა გაფიცულთა რაიონებში

(წერილი ინგლისიდან)

უკანასკნელად ქალ. ბორტ-ჰულლს ვეწვიე, ნორტ ჰუმბერლანდის მემაღაროების კავშირის ცენტრს. კავშირის მომავალი მდივანი, რომელიც ჩქარა ვილიამ შტრეკერის ადგილს დაიჭერს (ამ უკანასკნელმა მდივნობაზე უარი სთქვა, მიტომ რომ ბრძოლამ მეტად ცხარე ხასიათი მიიღო), მე თავდაჭერილად მესაუბრება. ჩემს ზედმიწევნით გარკვეულ კითხვებს ის ზოგადი ფრაზებით უპასუხებს. ის მიხსნის რატომ ეწინააღმდეგებიან ასე მკაცრად ნორტ ჰუმბერლანდის მემაღაროები 8 საათის სამუშაო დღეს. 1863 წლიდან მუშები ფაქტიურად ექვს ან ექვს საათ ნახევარს მუშაობენ. რვა საათის სამუშაო დღე მათთვის საათ ნახევარის მომატებას ნიშნავს. ამასთანავე ხელფასს ათი პროცენტი უნდა დააკლდეს, ე. ი. დაახლოებით ერთი შილინგი (50 კაპ.) დღეში.

ნორტ ჰუმბერლანდში საერთოდ 56,500 მუშაა, მათ შორის 40,000 მემაღაროეა. მასსებს არავითარი შეშფოთება არ ეტყობათ; ბრძოლა შეიძლება კიდევ დიდხანს გაგრძელდეს.

მე დავსტოვე ნიუკესტლი და მისი შავი ქუჩები და თითქმის მთლად შემოვიარე წითელი დიურჰეიმი.

ვინახულე მემაღაროების სოფლები ბლეიდონი, ბერნჰოპი, სადაც კუკმა ორიოდე დღის წინათ 30.000 მემაღაროეს წინაშე ილაპარაკა, შეპველი, ეს „პატარა მოსკოვი ჩრდილოეთისა“, რომელმაც თავისი ყოფაქცევით გაფიცვის დროს დაიმსახურა „ყველაზე წითელი სოფლის სახელი“, შემდეგ კონკტტი, ანვილდპლენი, სტენლი,ბირტლი, ჩესტერ-ლესტრიტი და სხ.

ყოველგან მდგომარეობა ისეთივეა, როგორიც გაფიცვის დასაწყისში იყო. ვერც მესაკუთრეების ცდამ, რომ მემაღაროეებს ხელფასის მომატება შეაძლიონ და ამრიგად მათი მთლიანი ფრონტი გაარღვიონ, ვერც გაჭირვების ზრდამ, ვერც დაშინებამ, ვერც ცილისწამებამ, რომელიც მათი კავშირის შესახებ ვრცელდება, ვერც იმ ფარულმა ბრძოლამ, რომელსაც გაფიცვის წინააღმდეგ მუშათა პარტიის წევრები აწარმოებენ, ვერც ზოგიერთი ბელადის ყოყმანმა ვერ შეარყია მუშების ნებისყოფა, ვერ ჩააცხრო მათი რწმენა საბოლოო გამარჯვებისადმი.

ყველგან ამ ჩრდილო დიურჰეიმში, სადაც თითქო რაღაც ზღაპრულ თხუნელებს ვეებერთელა სოროები გაუთხრიათ, ხალხი მზად არის ხანგრძლივი ბრძოლისათვის. ყველგან მოქმედების კომიტეტები, რომელნიც საყოველთაო გაფიცვის დროს წარმოიშვენ, გაფიცვის კომიტეტებათ არიან გადაკეთებულნი. აქაც, როგორც სამხრეთ უელსში, საგრძნობლად გაიზარდა კომუნისტების აქტივობა და გავლენა. გაფიცულ მუშებს ფულს პირდაპირ როდი ურიგებენ. სამაგიეროდ თითქმის ყველგან საერთო სამზარეულოები გახსნეს, იმის და მიუხედავათ, რომ რეაქციის ძალმომრეობა თანდათან მატულობს, ბავშვების კვებას მაინც განაგრძობენ სკოლებში. ქველმოქმედების ბიუროები, რომელნიც თითქმის გამოუკლებლივ მუშათა პარტიის მემარცხენე ელემენტების ხელშია, ყურადღებას არ აქცევენ ჯანმრთელობის მინისტრის, ულმობელი ნევილ ჩემბერლენის ინსტრუქციებს და დახმარებას აწვდიან ქალებსა და ბავშვებსაც.

აქ არ შეიძლება ლაპარაკი არც სამუშაო დღის გაგრძელებაზე, არც ხელფასის შემცირებაზე, არც არბიტრაჟზე. ოპოზიცია ეპისკოპოსების მემორანდუმისადმი ძლიერია და საჭირო იყო დიდი პროპაგანდა პროფკავშირების ბელადების მხრივ, რომ ის მიეღოთ, როგორც მოლაპარაკების საფუძველი.

როგორც სხვა რაიონებშიაც, ისე, აქაც ქალები უფრო შეურიგებელნი არიან. ისინი ეწინააღმდეგებიან თვით იმ დარაჯების დაყენებას მაღაროებში, რომელნიც პროფკავშირის დასტურით მუშაობენ. ყოველ შემთხვევაში, დარაჯებათ მხოლოდ ისეთი მუშები შეიძლება დარჩნენ, რომელნიც მაღაროებში მუშაობდენ გაფიცვის გამოცხადებამდე. საყურადღებო ფაქტია, რომ მემაღაროები დიდის ნდობით და ერთგულებით ეპყრობიან თავიანთ კავშირების ფედერაციას.

ჩვენ აქ ვიმყოფებით ისეთ რაიონში, სადაც ქვანახშირს ექსპორტისათვის აწარმოებდნენ. დაახლოებით ერთი მესამედი დიურჰეიმის ქვანახშირისა უცხოეთში მიდიოდა. მესაკუთრეები ამტკიცებენ, რომ კონკურენციის ატანა აღარ ძალგვიძსო. ისინი, მათი სიტყვით, დიდათ დააზარალა დოუესის გეგმამ. მაგრამ ეს ისეთი საბუთია, ისეთი „ეკონომიური ფაქტი“, როგორც ფრანკ პოჯესი ამბობს, რომელსაც შედარებითი ღირებულება აქვს. თუ მუშებს ჰკითხავთ, მესაკუთრეებმა წარსულ წლებში უზარმაზარი მოგება ნახეს. თუ ახლა მსხვერპლის გაღებაა საჭირო, რატომ ის მუშებს უნდა მოვსთხოვოთ, რომელთა ხელფასი ისედაც უმნიშვნელოა?

გარდა ამისა ქვანახშირის მწარმოებლები დიდ მოგებას ღებულობენ ფილიალური ინდუსტრიიდან, რომელიც ქვანახშირის წარმოების გვერდით არსებობს და მასთან ერთად ერთს განუყოფელს ერთეულს წარმოადგენს. მესაკუთრეები ამ შემოსავალს მედველობაში არ ღებულობენ, როცა ქვანახშირის წარმოების დაცემაზე ლაპარაკობენ.

საყოველთაო გაფიცვის დროს დიურჰეიმი საუცხოვოდ აწარმოებდა ბრძოლას. ადგილობრივმა საბჭოებმა მეთაურობა იკისრეს და აწესრიგებდენ მოსახმარი საგნების ვაჭრობას. გზებზე დარაჯები იყვნენ დაყენებული, საგაფიცვო გაზეთი გამოდიოდა და კარგადაც ვრცელდებოდა. გაფიცვა აბსოლიუტური იყო.

მე უკვე ვილაპარაკე კომუნისტურ გავლენაზე. ის განსაკუთრებით შესამჩნევია ზოგიერთ ადგილას, მაგალითად შოპველში, სადაც თვითმართველობამ, რომელიც სოციალისტების და კომუნისტების ხელშია, ახალი ბინები ააგო მუშებისთვის. აქ არის წითელი პიონერების ჯგუფები, წითელი კლუბები და ლენინისტური სკოლები კვირაობით.

ამიტომ აქ განსაკუთრებით ძლიერი იყო რეპრესიული ზომები. დატუსაღებულთა რიცხვი რამდენიმე ასეულს უდრის.

კ. დავიდ.

ს ა ბ ჭ ო თ ა პ რ ე ს ა

ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფო მრეწველობისა კოოპერაციის შორის

როგორც ცნობილია, ეს საკითხი შეადგენდა საგანს მწვავე შეხლა-შემოხლისას. ყველას ახსოვს კამათი ეგრედ წოდებულ გენერალური ხელშეკრულებათა შესახებ სახელმწიფო მრეწველობისა და კოოპერაციის შორის. იყვნენ მომხრენი ამ ხელშეკრულებების, იყვნენ წინააღმდეგნიც. შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ ამ თვის 18-ს მიღებული გადაწყვეტილება დასასრულს აძლევს ამ დავას.

ზემოხსენებული საბჭოს ორგანო „Экономическая жизнь“ (21 აგვისტო) სწერს ამის შესახებ:

„ამ გადაწყვეტილებით იჭრება საკითხი, რომელიც ასე მტკივნეული იყო სულ უკანასკნელ ხანებამდი. საკითხი იმის შესახებ, უნდა გადიდდეს სისტემატიურათ იმ საქონლების რაოდენობა, რომლებსაც სახელმწიფო მრეწველობა აძლევს კოოპერაციის გენერალური ხელშეკრულებათა ნიადაგზე, თუ, სამრეწველო პროდუქციის მასსა, რომელიც უფრო და უფრო მატულობს, უნდა გატარდეს სინდიკატის სისტემის საშუალებით. **შრომისა და თავდაცვის საბჭომ სრულიად კანონიერად სცნო კოოპერაციის მოთხოვნა, რომ მისი ფინანსიური და ორგანიზაციულ-ტეხნიკური გამაგრების მიხედვით გადიდდეს საქონელთა ის მასა, რომელიც გენერალური ხელშეკრულებათა ნიადაგზე უნდა მიუვიდეს მომხმარებელს“.**

და მართლაც დღეს უკვე ფაქტია სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციულ-ფინანსიური მოღონიერება. ფაქტია, რომ საქონლის ბრუნვის 35 პროცენტი მოდის კოოპერაციაზე. და ბუნებრივია პრეტენზიებიც, რომლებსაც ეს უკანასკნელი უყენებს სახელმწიფო მრეწველობას. არასფერს არა ჰგავს და დასაგმობი იყო და არის (რამდენადაც ამას ადგილი აქვს) ბრძოლა მათ შორის. საქმის ამ მხარესაც ეხება შრომისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილება და

„პარალელიზმისა და არასასურველი კონკურენციის თავიდან ასაცილებლად საჭიროდ სცნობს შემცირებას და გაუქმებას სინდიკატის ქსელის ძირითად დაწესებულებებს, რამდენადაც განვითარებულია კოოპერაციის ქსელი და განმტკიცებულია ის ამა თუ იმ რაიონში“.

ამნაირად კოოპერაციას დიდი საქმე აქვს დავალებული. მან უნდა შეასრულოს ის და პირწმინდათ იყოს გამტარებელი სახელმწიფოს სავაჭრო-ეკონომიური პოლიტიკისა. ყოფილა კი (და არის დღესაც აქა-იქ) შემთხვევები, რომელთა შესახებ სწერს „Экономическая жизнь“. სახელდობრ:

„სამეურნეო სიძნელეთა და საქონლის ნაკლებობის ყველაზე უფრო მძიმე პერიოდებში ძირითადი კოოპერაცია **ადიდებდა ფასებს, აწარმოებდა საქონლის გაყიდვას კერძო ვაჭრებზე და სხვ.** ამით სუსტდებოდა ავტორიტეტი და ნდობა, რომელთა მოპოვებას კოოპერაციისათვის ასე ძნელ პირობებში და დიდი მსხვერპლის გაღებით სცდილობდენ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება“.

ამ მავნე გადახრებს, რომლებიც სრულიად აბრუნდებენ კოოპერაციის დანიშნულებას და პარტიის და მთავრობის პოლიტიკას, უნდა მოეღოს ერთხელ და სამუდამოთ ბოლო.

ვიმეორებთ კოოპერაციამ უნდა გაამართლოს იმედები, რომლებსაც მასზე ამყარებს სახელმწიფო. ამის საშუალება აქვს მას მიცემული.

პოლონეთის სამხედრო მზადება ლიტვის საზღვარზე

მემაღაროეთა ბელადების მოლაპარაკება მთავრობის კომიტეტთან

გერმანია-ბელგიის მოლაპარაკება გერმანიისათვის მალმედისა და ეიპენის დაბრუნების შესახებ ჩაიშალა

საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკება ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხის შესახებ

მელონის თათბირი ამერიკის სახ. ბანკის დირექტორთან საფრანგეთისათვის კრედიტების მიცემის პირობებზე.

ერთა ლიგის საბჭოს გაფართოების საკითხი

„ტაიმს"-ის წერილი

ლონდონი, 24 აგვისტო. „ტაიმსი" თავის მოწინავე წერილში, არჩევს რა ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის საკითხს, გამოსთქვამს აზრს, რომ საეჭვოა რომელიმე სხვა პროექტის განხილვა, გარდა სესილის პროექტისა, რომელიც უკვე მოწონებულია. ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის საკითხს მომავალ კვირაში სპეციალური კომისია განიხილავს. „ტაიმსი" აღნიშნავს, რომ პროექტის შინაარსი ეხება სახელმწიფოების რიცხვის გადიდებას, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ კრებაზე და რომლებსაც შეეძლებათ 2-3 ხმის უმრავლესობით გამოირიცხონ ყველა არა მუდმივი წევრი; ამასთანავე საბჭოს წევრების საერთო რიცხვი ათიდან თოთხმეტამდე, ხოლო გერმანიის ჩათვლით 16-მდე უნდა გადიდდეს; ეს ციფრი ჩაითვლებოდა მაქსიმუმად.

მიღებულია ის დებულება, რომ საბჭო არის ერთა ლიგის წარმომადგენელი, როცა ლიგის სესია არ სწარმოებს და ამის გამო საბჭოს წევრთა რიცხვი გადიდებული უნდა იქნეს. „ტაიმსი" აღნიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პრაქტიკაში შემოღებულია წარმომადგენლობის პრინციპი; მაგალითად, შვეცია ნაცნობია სკანდინავიის სხვა სახელმწიფოების მიერ, როგორც ლიგის წევრი. არა მცირე ანტანტა ბენეშს თავის წარმომადგენლად სთვლიდა. „ტაიმსი" ამ მდგომარეობას სცნობს სრულიად დამაკმაყოფილებლად და კითხულობს—რატომ არ უნდა გაგრძელდეს ეს მდგომარეობა? მიუხედავად ამისა, „ტაიმსი" სცნობს, რომ კრებაზე აუცილებლად შემოღებული უნდა იქნეს ხმის მიცემის ახალი სისტემა.

პოლონეთი თანხმდება არა მუდმივ ადგილზე

ვარშავა, 25 აგვისტო. პოლონეთის მთავრობის ოფიციალური ორგანო „გოლოს პრავდა", არკვევს პოლონეთის პოზიციას ერთა ლიგის მომავალ სესიის დროს და სწერს: პოლონეთმა, ლიგის არსებობის გადარჩენის გულისათვის, გადასდო თავისი მოთხოვნილება საბჭოში მუდმივი ადგილის მიცემის შესახებ და მიიღო, მართალია არა მუდმივი, მაგრამ ხანგრძლივი ადგილი. გარეშე საქმეთა მინისტრი ზალესკი მიემგზავრება დაწვრილებითი ინსტრუქციებით სწორედ ამ აზრით. პოლონეთს ჟენევაში უნდა მიეცეს თანამშრომლობის საშუალება, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით მისი ყოფნა ლიგაში ზედმეტი და საზარალო იქნება.

სიურპრიზების თავიდან ასაცილებლად

ბერლინი, 25 აგვისტო. რადგან დღემდე გამორკვეული არ არის საკითხი ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის გაფართოების შესახებ და რადგან მომავალ სესიაზე შესაძლებელია სიურპრიზებს ექნეს ადგილი, ამიტომ გერმანიის, საფრანგეთის და ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის ხდება აშკარა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. თუმცა ასეთ ხმებს ოფიციალურად უარჰყოფენ, პრესა მაინც იუწყება, რომ მოლაპარაკების მიზანია გერმანიის ერთა ლიგაში დაუბრკოლებელი შესვლის უზრუნველყოფა ცოტაოდენი დათმობების გზით სხვა სახელმწიფოების მიმართ; ამავე დროს დაცული უნდა იქნეს ლორდ სესილის სქემის მთავარი პრინციპები.

ფრომაჟო ბერლინში

პარიზი, 25 აგვისტო. „ეკო დე პარის" ცნობით—ბრიანმა ლონდონში ფრომაჟი გაგზავნა იმ მიზნით, რათა შესცვალოს ის ფორმულა, რომელიც მიღებული იყო მაისში ლორდ სესილის კომისიის მიერ ერთა ლიგის საბჭოს შემადგენლობის რეორგანიზაციისა დაგრეთვე ნახევრად მუდმივი ადგილების მიცემის შესახებ. ფრომაჟის მიზანია ფორმულის ისეთი შეცვლის მიღწევა, რომ ის მისაღები გახდეს პოლონეთისა და ესპანეთისათვის.

პილსუდსკი იარაღს აჟღარუნებს

პოლონეთ-საფრანგეთის კავშირის გაძლიერება

ვარშავა, 25 აგვისტო. პოლონეთის პოლიტიკური წრეების ცნობით, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრსა და საფრანგეთის მთავრობის შორის სწარმოებს მოლაპარაკება პოლონეთ-საფრანგეთის კავშირის ხელშეკრულების დამატებისა და გაღრმავების შესახებ. ორივე მხარე ცდილობს შეათანხმოს ეს ხელშეკრულება საფრანგეთ-რუმინეთის და პოლონეთ-რუმინეთის ხელშეკრულებებთან.

ზალესკი გაემგზავრა პარიზს

ვარშავა, 25 აგვისტო. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ზალესკი გაემგზავრა პარიზს.

სამხედრო აეროპლანის დაღუპვა

ვარშავა, 25 აგვისტო. 24 აგვისტოს პოლონეთში დაიმსხვრა სამი სამხედრო თვითმფრინავი. დაიღუპა ერთი პილოტი და ერთი მეთვალყურე.

ლიტვის საზღვარზე

ვარშავა, 25 აგვისტო. ტორნის გაზეთი „სლოვო პომორსკე" სენსაციურ ცნობებს აქვეყნებს პილსუდსკის სამხედრო მზადების შესახებ. გაზეთის სიტყვით სამხედრო მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილია ვილნოდან-გროდნოში. პილსუდსკის განკარგულებით ქ. გროდნოში გენერალური შტაბით პოლკოვნიკმა დაარსა უკვე მებრძოლი შტაბი. შემდეგ გაზეთი იუწყება, რომ მზადება სწარმოებს არაჩვეულებრივი სისწრაფით და სამხედრო მოქმედება უნდა დაიწყოს რამოდენიმე კვირის შემდეგ. „პოლსკა ზბროინა" მოითხოვს „სლოვო პომორსკეს" დაუყოვნებლივ გასამართლებას.

ახალგაზრდების დატუსაღება

ვარშავა, 25 აგვისტო. ვარშავის პოლიტიკურმა პოლიციამ დაატუსაღა 50 კაცზე მეტი ახალგაზრდა, რომელნიც, ვითომ საოლქო კომკავშირის წევრები იყვნენ.

გაფიცვა ინგლისში

მემაღაროეთა მოლაპარაკება მთავრობის კომიტეტთან

ლონდონი, 26 აგვისტო. მემაღაროეთა კავშირის მდივანმა კუკმა მთავრობას მიმართა შეკითხვით: შეუძლია თუ არა მთავრობის კომიტეტს, რომელიც კონფლიქტის განვითარებას ადევნებს თვალყურს, მიიღოს მემაღაროეთა წარმომადგენლები.

ცნობა ამ შეკითხვის შესახებ მაშინვე ტელეგრაფით გადაეცა კომიტეტის წევრებს, რომლებიც ბრუნდებიან ლონდონში მემაღაროების წარმომადგენლებთან შესახვედრად.

შეხვედრის დრო ჯერ გამოურკვეველია.

თუმცა ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან, რომ ზოგიერთი არაოფიციალური, მაგრამ გავლენიანი პირების მიერ განახლებულ იქმნა მოლაპარაკება მანამ, სანამ უშედეგოდ დამთავრდებოდა მემაღაროეთა შეხვედრა მაღაროს მეპატრონეებთან. კუკის მიმართვა მთავრობისადმი ალბათ პასუხია მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაზე იმის შესახებ, რომ მთავრობის კომიტეტი, რომელიც სანახშირო მრეწველობის კონფლიქტის საკითხს განაგებს, მზადაა შეხვდეს მემაღაროების წარმომადგენლებს ყოველ დროს.

ინგლისელ მემაღაროეთა დელეგაცია ამერიკაში

ნიუ-იორკი, 26 აგვისტო. შეერთებულ შტატებში ჩასულ ინგლისელ მემაღაროეთა დელეგაციას, რომელსაც დავალებული აქვს შემოწირულების შეგროვება გაფიცულთა სასარგებლოდ, ყველგან თანაგრძნობით შეხვდენ.

პირველ კვირის განმავლობაში შემდგარ მუშათა კრებებზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ შესწირონ ასი ათას დოლარზე მეტი. შემოწირულების საერთო თანხა ჯერ გადაცემული არ არის.

იტალიის კომპარტია და მაქსიმალისტები

იტალიის კომპარტიის დამოკიდებულება მაქსიმალისტებთან

რომი, 25 აგვისტო. იტალიის კომპარტიის ორგანომ „უნიტამ" გამოაქვეყნა თეზისები პარტიის დამოკიდებულების შესახებ მაქსიმალისტების მომავალ ყრილობასთან; თეზისებში ნაჩვენებია, რომ მაქსიმალისტების მომავალ ყრილობას, შინაგანი პარტიული ბრძოლის გამო, დიდი ინტერესი აქვს კომუნისტებისათვის. კომუნისტებსა და რეფორმისტებს შორის ამჟამათ სწარმოებს ბრძოლა იმ მუშების დასაპყრობად, რომლებიც მაქსიმალისტებს მიჰყვებიან. მაქსიმალისტების პარტიის შიგნით იბრძვის სამი ჯგუფი: ნენნის ჯგუფი, რომელიც რეფორმისტებისაკენ იხრება, ცენ. კომიტეტი, რომელსაც ცენტრალური პოზიცია უჭირავს და მუშათა ჯგუფი, რომელიც მიდრეკილებას იჩენს კომუნისტებისაკენ. პირველი ორი ჯგუფი აშკარა კონტრ-რევოლიუციონურია. მესამე არის ჯანსაღი პროლეტარული ჯგუფი და ყოველგვარი ღონისძიება უნდა მიმართულ იქნეს იქით, რომ ერთი-მეორეს დაუახლოვდეს მუშების ჯგუფი და კომუნისტების პარტია. კომპარტიის მთელი მოქმედება მიმართული უნდა იქნეს მაქსიმალისტების ცენტრ. კომიტეტის კონტრ-რევოლიუციონური მოქმედების გამომჟღავნებისაკენ. მაქსიმალისტების პარტიის გაქრობა პოლიტიკური სარბიელიდან აუცილებელია და უაღრესად სასარგებლო რევოლიუციონური მოძრაობისათვის. ყოველგვარი ღონისძიება უნდა იქმნას მიღებული გაზეთ „ავანტის" დასაპყრობად, რომელიც ერთად-ერთი რეალური პოლიტიკური ძალაა მაქსიმალისტების ხელში. თუ „ავანტი" რეფორმისტებმა დაიპყრეს, ეს იქნებოდა სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება პროლეტარული ტენდენციის წინააღმდეგ.

მაქსიმალისტების გადასვლა კომპარტიაში

რომი, 25 აგვისტო. კომპარტიის ორგანო „უნიტა" იუწყება, რომ მაქსიმალისტების ერთ-ერთმა სექციათაგანმა ერთხმად გადასწყვიტა გადაიედეს კომუნისტურ პარტიაში, როგორც პროლეტარიატის ინტერესების ერთად-ერთ დამცველ პარტიაში.

სექციამ განცხადებით მიმართა მაქსიმალისტების პარტიას, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მისი გარდაწყვეტილება გამოწვეულია იმით, რომ მაქსიმალისტების პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უარი სთქვა ამ სექციის წინადადებაზე მუშათა და გლეხთა მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ და ხელი არ აიღო კონტრრევოლიუციონურ ოპორტიუნისტულ პოლიტიკაზე.

მაქსიმალისტების დატუსაღება

რომი, 25 აგვისტო. ვერონის მიდამოებში კვირა ღამით მასიური ჩხრეკა მოხდა. დატუსაღებულია მაქსიმალისტური პარტიის 400 წევრი.

გერმანია-ბელგიის მოლაპარაკების ჩაშლა

საფრანგეთის დიპლომატიის ინტერესები

ლონდონი, 25 აგვისტო. ბელგიასა და გერმანიის მოლაპარაკება ეიპენისა და მალმედის უკან დაბრუნების შესახებ ფულის დახმარების ნაცვლად—უკვე შეწყდა საფრანგეთის გავლენის წყალობით. საფრანგეთი თავის გალაშქრებას გერმანია - ბელგიის შეთანხმების წინააღმდეგ ასაბუთებს იმით, რომ ყოველგვარი ცვლილება გერმანია - ბელგიის საზღვრებისა, რომელიც დადგენილია ვერსალის ხელშეკრულებით, გერმანიას საბაბს მისცემს პრეტენზიები განაცხადოს სხვა საზღვრების შეცვლის შესახებაც, როგორც დასავლეთში, (საარის ოლქში) ისე აღმოსავლეთში. ეს გამოიწვევს საერთოდ ყველა იმ საზღვრების გადასინჯვას, რომელიც ვერსალის ხელშეკრულებით არის მიღებული.

ამის გარდა ყოველგვარი ცვლილება გერმანია-ბელგიის საზღვრებისა, წინააღმდეგი იქნება ლოკარნოს ხელშეკრულების შენაარსის, რომელიც დადებული იყო სწორედ იმ მიზნით, რომ განმტკიცებულიყო ევროპის დასავლეთის საზღვრები. საფრანგეთი ფიქრობს, რომ ვერსალის ხელშეკრულების შეცვლა არ არის გერმანიისა და ბელგიის კერძო საკითხი, არამედ მოკავშირეებისა და გერმანიის საერთო საკითხია. როგორც იუწყებიან პარიზში შიშობენ, რომ გერმანიისა და ბელგიის დაახლოვება შეასუსტებს საფრანგეთ-ბელგიის სოლიდარობას გერმანიის მიმართ.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

პარიზი, 25 აგვისტო. საფრანგეთის მოსამსახურეთა უნიტარულმა კავშირმა წინადადება მისცა მოსამსახურეთა რეფორმისტულ კავშირის ყრილობას, რომელიც ამ დღეებში პარიზში შესდგა შექმნან მთლიანი ფრონტი. საპასუხოთ რეფორმისტებმა უნიტარული კავშირის დელეგაციას გადასცეს წერილობითი განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მთლიანობის აღდგენის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ „იმ შემთხვევაში თუ ის ელემენტები, რომლებიც შრომის საერთო კონფედერაციას ჩამოშორდნენ, უკანვე დაბრუნდებიან ორგანიზაციაში".

სლოვაკიის ფაშისტების პროექტები

პრაგა 25 აგვისტო. გაზეთ „სლოვენსკი დენნიკი" აქვეყნებს სლოვაკიის ფაშისტური ორგანიზაციის „პოდობრახ" საბუთებს; ორგანიზაციის ბელადათ არის დეპუტატი ტუკა. დიდი ხანი არ არის, რაც ტუკამ შეიმუშავა სამხედრო ფაშისტური დიქტატურის პროექტი, გენერალ გაიდას ეძლეოდა ერთი უდიდესი როლთაგანი.

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში

მელონი თათბირობს

პარიზი, 25 აგვისტო. „ეკო დე-პარის" ცნობით ევიანში (საფრანგეთში) მყოფმა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრმა მელონმა შეერთებული შტატების სარეზერვო ფედერალური ბანკის დირექტორ სტრონგთან ერთად განიხილა საკითხი ფინანსიური დახმარების რაოდენობის შესახებ, რომელიც შეიძლება მიეცეს საფრანგეთს, თუ მელონ-ბერანჟეს შეთანხმების რატიფიკაცია მოხდება. გადმოგვცემენ, რომ მელონმა, საფრანგეთის წარმომადგენელთან ერთად განიხილა საკითხი, გერმანიის რკინის გზათა ობლიგაციების ნაწილის მობილიზაციის შესახებ. გადმოგვცემენ აგრეთვე, რომ მელონს თათბირი ჰქონდა პარკერთან ამერიკული ფონდის გამოყენების საკითხის შესახებ, რომელიც დაგროვდა ბერლინში დაუესის გეგმის გატარების წყალობით.

ევიანში ელიან იტალიის წარმომადგენლებს, რათა წამოაყენონ საკითხი მელონ-ვოლპის ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ.

წყნარ ოკიანეს შრომის კონფერენცია

ტოკიო, 25 აგვისტო. იაპონიის პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარემ ბუნძი სუზუკიმ განაცხადა, რომ ორ მნიშვნელოვან შრომის კონფერენციას—წყნარ ოკეანეს ქვეყნების მუშათა კონფერენციას, რომელსაც ჰავაის კუნძულებზე იწვევენ და პანაზიურ კონფერენციას—რომელიც ჩინეთში უნდა შესდგეს დიდი დაბრკოლებანი ელობება წინ. იაპონიის შრომის ფედერაციამ (რეფორმის) გადასწყვიტა არ მიიღოს მონაწილეობა პირველ კონფერენციაზე, რადგან გამოირკვა, რომ იმის მოწვევა კომუნისტების თაოსნობით ხდება. პანაზიური კონფერენციის მოწვევა კი შეუძლებელი ხდება ჩინეთის შინაური არეულობის გამო.

გერმანიის კომპარტიის აქტივის კონფერენცია

ბერლინი, 26 აგვისტო. გაიხსნა გერმანიის კომუნისტური პარტიის აქტივის კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობას იღებენ პოლიტიკური მდივნები, კომუნისტური გაზეთების რედაქტორები და ყოველი რაიონის საქარხნო წარმოების თითო წარმომადგენელი.

კომინტერნის მოქმედებისა და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტრ. კომისიის ივლისის პლენუმის დადგენილებათა შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ გერმანიის კომპარტიის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ტელმანმა.**

ტელმანის შემდეგ გამოვიდნენ ვებერის და ურბანსის ჯგუფების წარმომადგენლები. **ვებერმა** არაფერი სთქვა გერმანიის კომპარტიის შინა-პარტიულ საკითხებზე, ივლისის პლენუმის დადგენილებათა შესახებ კი მეტად გაურკვეველი აზრი გამოსთქვა. ურბანსმა კვლავ მოიყვანა თავისი ორაზროვანი განმარტება კორშის ჯგუფთან დამოკიდებულების საკითხში.

უმრავლესობის წარმომადგენელმა ორატორებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ **მასლოვისა და რუტ ფიშერის—პარტიიდან გამორიცხვა უმტკივნეულოდ ჩატარდა და რომ პარტია საგრძნობლად გამაგრდა.**

გერხარდტმა ყოფილი მემარჯვენე ჯგუფის სახელით განაცხადა, რომ იგი **უერთდება ცეკას გარდაწყვეტილებას და იმიჯნება თავისი ძველი მემარჯვენული შეცდომებისაგან.**

საბჭოთა კავშირისა და ესტონეთის მოლაპარაკება

მოსკოვი, 26 აგვისტო. ლატვიისა და ესტონიის მთავრობებმა აცნობეს საბჭოთა მთავრობას, რომ ისინი არ სცნობენ აუცილებლად წინასწარი მოსამზადებელი კომისიის შექმნას საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადების საკითხის გადასაწყვეტად და **თანახმანი არიან მოლაპარაკება აწარმოონ უშუალოდ საბჭოთა მთავრობასთან.**

საბჭოთა მთავრობა დიდის კმაყოფილებით შეხვდა იმას, რომ ლატვიისა და ესტონიის მთავრობები აღარ მოითხოვენ წინასწარ მოსამზადებელ კომისიის შექმნას და წინადადება მისცა თავის სრულუფლებიან წარმომადგენლებს რიგაში და რეველში, რომ დაუყოვნებლივ **შეუდგენ მოლაპარაკებას ამ სახელმწიფოებთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ.**

დავა ტანჟერის გარშემო

პრიმა-დე-რივერას ნოტა

ლონდონი, 26 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფი" ტანჟერის საკითხის შესახებ სწერს:

„პრიმა-დე-რივერამ, მას შემდეგ, რაც მან პრესის წარმომადგენლებს განუცხადა ესპანიის ტანჟერზე პრეტენზიების შესახებ, დიპლომატიური წარმომადგენლის საშუალებით ნოტით მიმართა ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობებს, რომელშიაც წინადადებას აძლევს მათ, რომ ისინი დასთანხმდენ ან იმაზე, რომ ტანჟერი უშუალოდ შევიდეს იმ ტერიტორიაში, რომელიც ესპანიის პროტექტორატობის ქვეშ იმყოფება, ან ერთა ლიგამ ესპანიას მისცეს მანდატი ტანჟერის საერთაშორისო ზონის შესახებ.

პროფინტერნში

მისალმება სირიის პროლეტარიატს

მოსკოვი, 26 აგვისტო. პროფინტერნის აღმასბიურომ სირიაში პროფკავშირების საორგანიზაციო კომიტეტს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: პროფინტერნის აღმასბიურო უგზავნის თავის ძმურ სალამს სირიის პროლეტარიატს, რომელიც თავისი კლასობრივი ინტერესების დასაცავად გამოვიდა. უმკაცრესი რეაქციის პირობებში, პროფორგანიზაციების უქონლობის დროს, დამონებული ქვეყნის ყველა მუშების სოლიდარული გამოსვლა კიდევ ერთხელ ამტკიცებს მუშათა მოძრაობის დაუძლეველობას.

დომინიონების სტატუტი

ლონდონი, 25 აგვისტო. „დეილი ნიუზი" სწერს: „უეჭველია, რომ დომინიონების სტატუტის საკითხი მეტად მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საიმპერიო კონფერენციაზე, რომელიც ნოემბერში უნდა შესდგეს. ამა თუ იმ სახით ეს საკითხი დიდათ აინტერესებს კანადას, სამხრეთ-აფრიკას და ავსტრალიას. სამხრეთ-აფრიკის კავშირის ეხლანდელი მთავრობა აშკარა სეპარატიულად არის განწყობილი.

ინგლისისადმი დამოკიდებულების საკითხი კანადაში უსასტიკესი ბრძოლის საგანი იყო საპარლამენტო არჩევნების დროს.

სხვადასხვა

ყელჭირვება პოლონეთში

მთელს პოლონეთში მძვინვარებს მოარული ყელჭირვება. მეცადინეობის დაწყება სკოლებში გადადებულია ერთი თვით.

ამერიკის ბაზარი გაივსო საქონელით

კულიჯის მიმართ წარდგენილ ანგარიშში აღნიშნულია მრეწველობის დარგში ზედმეტი ნაწარმოების დამზადების საშიშროება. ამის გამო აღიძრა საკითხი სამუშაო საათების შემცირების შესახებ.

მეფე ფეისალი

ირაკის მეფე ფეისალი ლონდონიდან ირაკში გაემგზავრა. გაჰყვა მისი ვაჟიშვილი, რომელიც ინგლისში სწავლობს.

დე-ჟუვენელის მოადგილე

საფრანგეთის მთავრობის ხვალინდელ თათბირზე წამოაყენებენ, ალბათ, დე-ჟუვენელის მემკვიდრეს სირიაში.

კრეისერ „ჰინდენბურგის" ამოღება

დღის წესრიგში სდგას საკითხი, გერმანიის სამხედრო კრეისერის „ჰინდენბურგის" ამოღების შესახებ, რომელიც 1919 წელში დაიღუპა გერმანიის ფლოტთან ერთად. კრეისერის დიდი ნაწილი წყალს ზევით არის. თუ ეს საქმე წარმატებით დამთავრდა,—ეს იქნება ერთი შესანიშნავი შემთხვევა დაღუპული გემების ამოღების საქმეში.

ცხოვრების გაძვირება ამერიკაში

შეერთებული შტატების შრომის სამინისტროს ცნობებით შეერთებული შტატების 32 დიდ ქალაქში ცხოვრება გაძვირდა 1914 წელთან შედარებით 75%. ყველაზე მეტად გაძვირდა ავეჯეულობა—110,5%, სანოვაგე—60%. ტანისამოსი—9%, საწვავი მასალა და სინათლე 81%.

ღამის ცნობები

სრ. საკავშირო მე-15 პარტკონფერენცია

მოსკოვი, 26 აგვისტო. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკამ დაადგინა, ამა წლის 15 ოქტომბერს მოიწვიოს სრულიად საკავშირო მორიგი მე-15 პარტკონფერენცია.

დღის წესრიგი: საერთაშორისო პოლიტიკის საკითხი—მომხსენებელი ამხ. ბუხარინი; სამეურნეო მდგომარეობის შესახებ—მომხსენებელი ამხ. რიკოვი; პროფკავშირების მუშაობის შედეგები და მორიგი ამოცანები—ამხ. ტომსკი.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი მოლოტოვი.

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ცეკას მიმართვა

მოსკოვი, 27 აგვისტო. ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის ცეკამ რადიოს საშუალებით ვრცლად აცნობა ინგლისის ტრანსპორტელთა და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის თავმჯდომარეს ინდო-ევროპიული ტელეგრაფის გაფიცვის წარმოშობის ისტორია, მუშათა მოთხოვნილება და გაფიცვის მიმდინარეობა.

ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ცეკა სთხოვს ინგლისის ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირს, რომ დაეხმაროს მას, რათა ინგლისის პრესაში სისწორით იქმნას გაშუქებული გაფიცვის წარმოშობის ისტორია.

ლენსბერი გაემგზავრა ლენინგრადში

მოსკოვი, 27 აგვისტო. დღეს საღამოთი ლენსბერი ლენინგრადში გაემგზავრა. გამგზავრების წინ მან დაათვალიერა ლენინის აკლდამა.

იაპონელი პროფესორები მიწათ-მოქმედების კომისარიატში

მოსკოვი, 27 აგვისტო. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს ეწვია ოთხი იაპონელი პროფესორი, რომლებიც გაეცვნენ მეცხენეობის საქმეს საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა ცივადი—გემის ამუშავება

ლონდონი, 27 აგვისტო. 29 აგვისტოს დაიწყებს მოქმედებას საბჭოთა პირველი ცივადი—გემი „ალექსი რიკოვი".

იმავე დღეს შესდგება მეორე ცივადი—გემის აგების დაწყება.

მემაღაროების ბელადებისა და მთავრობის წევრების კონფერენცია

ლონდონი, 27 აგვისტო. 26 აგვისტოს უნდა შესდგეს მემაღაროეთა ფედერაციის ბელადებისა და მთავრობის წევრების შეხვედრა. ფედერაციის მხრით კონფერენციაზე მონაწილეობას მიიღებენ სმიტი, კუკი და რიჩარდსონი, მთავრობის მხრით კი შრომის მინისტრი სტილ მეიტლენდი და სამთო მრეწველობის საქმეთა მინისტრი ლეიოკი.

საფრთხე გაფიცვისათვის

ლონდონი, 27 აგვისტო. პერსელმა საბჭოთა კავშირის ტელეგრ. სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ მემაღაროეთა გაფიცვისათვის ერთად-ერთი საფრთხეს წარმოადგენს ნახშირის შეტანა ინგლისში დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოებიდან.

მხატვარი პიკასო ლენინგრადში

ლენინგრადი, 26 აგვისტო. 12 სექტემბერს ლენინგრადში პარიზიდან ჩამოვა ცნობილი ფრანგი მხატვარი პიკასო.

განაჩენი ლანცუცკის საქმეზე

მოსკოვი, 27 აგვისტო. განაჩენი ლანცუცკის საქმის შესახებ, რომლითაც მას მისჯილი ჰქონდა 8 წლის კატორღა, ამ დღეებში გადაეცა ვარშავის სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც ლანცუცკის სასჯელი მეტად რბილად მიიჩნია და მიუსაჯა მას 4 წლის კატორღა.

ამხ. რიკოვი შვებულებაში

მოსკოვი, 27 აგვისტო. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვი შვებულებაში წავიდა.

ამხ. რიკოვის თანამდებობათა ასრულება მის შვებულებაში ყოფნის დროს დაეკისრა მის მოადგილეებს.

ინგლისის მასწავლებელთა დელეგაციის წასვლა

მოსკოვი, 27 აგვისტო. 26 აგვისტოს ინგლისის მასწავლებელთა დელეგაცია გაემგზავრა სამშობლოში. დელეგაცია გამგზავრების წინ დაესწრო განათლების მუშაკთა ცეკას პრეზიდიუმის სხდომას. დელეგაციის თავმჯდომარე რედგრაფი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, რომ „თქვენი ქვეყნის, განსაკუთრებით სახალხო საქმის კეთილსინდისიერ შესწავლის შემდეგ ჩვენ დავრწმუნდით, რომ თქვენ სწორი გზით მიდიხართ".

ვინ ეხმარება ჩან-ძო-ლინს

ლონდონი, 25 აგვისტო. „დეილი ნიუზის" ცნობით, ჩან-ძო-ლინის არმიის არტილერია და არსენალი მოაწყო ინგლისის არმიის ყოფილმა გენერალმა.

საბჭოთა კავშირის ცნობას მოითხოვს

პრაღა, 26 აგვისტო. „პრავო ლიდუმ" გამოაქვეყნა ჩეხის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება.

მოწოდებაში ნათქვამია, რომ პარტია წინააღმდეგია მთავრობაში მონაწილეობის მიღებისა და ემხრობა საბჭოთა კავშირის ცნობას.

ანარქისტ ურიენდოს გაცემის მოთხოვნა

მონტევიდეოდან მიღებული ცნობით არგენტინის პოლიციამ ურაგვაის მთავრობას მოსთხოვა ანარქისტ ემილიო ურიენდოს გაცემა; რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატების ელჩზე თავდასხმაში.

ინგლისური გაზეთების მოგება

ინგლისი, 27 აგვისტო. ყოფილ ნორდკლიფის საგაზეთო ტრესტმა გამოაქვეყნა წლიური ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ მოგება, რომელიც მან მიიღო გასული წლის განმავლობაში, შეადგენს 542.238 გირვ. სტერლინგს.

ტრესტი ფაქტიურად დივიდენდის 75%-ს აძლევს თავის აქციებს.

მომჭირნეობა „აზნავთში"

ბაქო, 26 აგვისტო. აზნავთის დირექტორმა ემელიანოვმა ამიერ-კავ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ფართოთ მიმდინარეობს აზნავთის მომჭირნეობის მოწესრიგების საკითხი. საწვავი მასალის დახარჯვაში დაცულია დიდი მომჭირნეობა. აზნავთი ინახავს 500 მეტ სახლს, რომელიც ტრესტს ჯდება წლიურათ ნახევარი მილიონი მანეთი. მან მოახდინა ყველა თავის საადმშენებლო მუშაობის კონცენტრაცია, რაიც იძლევა საადმშენებლო მუშაობაში მუშა-მოსამსახურეების 800 კაცით შემცირების შესაძლებლობას.

ბლოკის ცოლს პენსია დაუნიშნეს

მოსკოვი, 26 აგვისტო. საბჭოთა რუსეთის მთავრობამ პოეტ ალექსანდრე ბლოკის ცოლს პენსია დაუნიშნა.

უცხოეთში

მსოფლიო საგარეო ვაჭრობა

შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობები 55 სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობის შესახებ. ამ სახელმწიფოების საგარეო ვაჭრობა შეადგენს მთელი მსოფლიო საგარეო ვაჭრობის 90 პროცენტს და 1925 წელში აღწევდა 58.500 მილიონ დოლარს, ნაცვლად 51.600 მილიონი დოლარისა 1924 წელს და 37.900 მილიონი დოლარისა 1913 წელს, ეს იძლევა ზრდას 13,4 პროცენტით 1924 წელთან შედარებით და 54,3 პროცენტით—1913 წელთან შედარებით.

მსოფლიო საგარეო ვაჭრობის ზრდა 1925 წელს აიხსნება ორი მიზეზით: საქონლის გაცვლა-გამოცვლისა და ფასების ზრდით. საქონლის რაოდენობის მიხედვით კი საგარეო ვაჭრობა არ გაზრდილა 1913 წელთან შედარებით.

ამ 55 ქვეყნის ექსპორტი 1924 წელთან შედარებით გაიზარდა 3.113 მილიონი დოლარით. გერმანიამ თავისი ექსპორტი 36,2%-ით გაადიდა, ეს იმ დროს, როცა ყველა 55 სახელმწიფოს ექსპორტი საშუალოდ მხოლოდ 12,4%-ით გაიზარდა.

გერმანიას პირველი ადგილი უკავია აგრეთვე იმპორტის მხრივაც. მისი იმპორტი გაიზარდა 36,3%-ით. ყველა 55 სახელმწიფოს იმპორტის საშუალო ზრდა კი შეადგენს 14,2%-ს.

შეერთებული შტატების წილი 55 სახელმწიფოს საგარეო ვაჭრობაში 1925 წ. შეადგენდა 17,4%, ნაცვლად 15,9%-ისა 1924 წ. და 12,9%-ისა—1913 წ.

იმ გარემოებას, რომ მსოფლიო საგარეო ვაჭრობამ საქონლის რაოდენობის მხრივ მიაღწია ომის წინა დრონინდელ დონეს, ვაჭრობის სამინისტრო ხსნის იმით, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში და აგრეთვე აზიაში მან გაუსწრო ომამდი არსებულ დონეს. ევროპაში კი ომის წინადროინდელი დონე არ არის მიღწეული.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ამ.-კავკ. ფედერაციის მრეწველობისათვის

მოსკოვი, 26 აგვისტო. მრეწველობის აღდგენისათვის 1925-26 წ. გადადებულ თანხებიდან—146.536.000 მანეთიდან ამიერ-კავკასიის ფედერაციის მრეწველობისათვის გადაიდო—2.905.000 მან., რომლიდანაც 1 აგვისტომდე უკვე მიეცა 2.080.000 მან.

წითელ ჯარში გაწვევის და დათხოვნის გამო

მოსკოვი, 26 აგვისტო. საკავშირო კომპარტიის ცენ. კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებამ მიმართა ყველა განყოფილებებს და ქვეგანყოფილებებს,—ის მიუთითებს მათ წითელ ჯარში გაწვევის და დათხოვნის საკითხის ფართოდ გაშუქების აუცილებლობაზე საბჭოთა პარტიულ პრესის საშუალებით.

სანიტარული განათლება

მოსკოვი, 26 აგვისტო. საბჭოთა რუსეთის ჯანსახკომის მიერ უკანასკნელ დროს დაწყებულია ფართო სანიტარული მუშაობა სოფლად. ჯანსახკომმა დაგზავნა ადგილებზე 2.000 წიგნთსაცავი და კიდევ 3.000 გაგზავნის. სანიტარულ-განმანათლებელი მუშაობა სოფლად ტარდება გლეხის სახლებისა და ქოხ-სამკითხველოების საშუალებით. ადგილებიდან მიღებულ ცნობებით გლეხები დიდი ინტერესით უსმენენ საუბარს ჯანმრთელობის შესახებ.

სოფლკორის მკვლელის დახვრეტა

კალუგა, 26 აგვისტო. სასამართლოს დადგენილებით, დახვრიტეს სოფლკორის ბოყენკოვის მკვლელი ჩიქოვი.

უცხოელი დელეგაციის გამგზავრება

ლენინგრადი, 26 აგვისტო. 25 აგვისტოს ლენინგრადიდან საზღვარგარეთ გაემგზავრა ამერიკელ სტუდენტთა და ინგლისის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია. გამგზავრების წინ დელეგაცია დაესწრო ლენინგრადის სტუდენტობის მრავალრიცხოვან კრებას, რომელმაც გასტანა შუაღამემდი.

ციმბირის დიდ ძალიანი რადიო-ტელეფონის სადგური

ნოვოსიბირსკი, 26 აგვისტო. ციმბირში დაიწყო მუშაობა უძლიერესმა რადიო-ტელეფონის სადგურმა. სადგურიდან შეიძლება გადაცემა ციმბირის მთელ ტერიტორიაზე და პოლიარ ადგილებშიც.

ხე-ტყის დასამუშავებელი ქარხანა

მინსკი, 26 აგვისტო. ბობრუისკში დაიწყო მუშაობა უზარმაზარ ხე-ტყის ქარხნის ასაშენებლად, რომელსაც შეეძლება დაამუშაოს ის ხე-ტყე, რაც ბერეზინის ხეობის ტყეებში მოიძებნება. ქარხანას აშენებენ შვეციის ახალი ქარხნების მსგავსად. ის დამთავრდება 1927 წელში.

მისალმება საფრანგეთის გაფიცულ მელითონეებს

მოსკოვი, 26 აგვისტო. პროფინტერნის აღმასბიურომ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მელითონეთა უნიტარულ ფედერაციას პარიზში:

„პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალი ძმურ სალამს გიგზავნის შატობრიანის გაფიცულ მუშებს, რომლებიც 5 თვეა მედგარ ბრძოლას აწარმოებენ. გიგზავნით 500 დოლარს სოლიდარობის ნიშნათ და მოგიწოდებთ განაგრძოთ ბრძოლა გამარჯვების მიღწევამდე".

ლენსბერი საკავშირო პროფსაბჭოს სხდომაზე

მოსკოვი, 26 აგვისტო. 24 აგვისტოს ლენსბერი დაესწრო საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის სხდომას, მან გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა. „ამხანაგო თავმჯდომარე, სთქვა მან, მიმართა რა ტომსკის: ნება მომეცით მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ მე საშუალება მომეცა პირისპირ შევხვედროდი საბჭოთა კავშირის პროფმოძრაობის წარმომადგენლებს. თქვენის სახით გულწრფელ მადლობას ვუძღვნი პროფმოძრაობის მუშაკებს იმ დახმარებისათვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს თქვენი ქვეყნის ცხოვრების გასაცნობად. მე არასოდეს არ დავივიწყებ იმ მბრწყინვალე მომენტებს, რომელიც საბჭოთა კავშირში გავატარე. მე ვიყავი თქვენს ქვეყანაში 1920 წელს, როცა კიდევ ყველგან მოსჩანდა ნგრევის კვალი. საბჭოთა კავშირი ჭეშმარიტად აღსდგა ამ ნანგრევებიდან. თქვენს ქვეყანაში პირველად ყოფნის დროს ბედნიერება მქონდა მესაუბრა თქვენსა და ჩვენს ბელადთან ამხ. ლენინთან და დავრწმუნებულიყავი, რომ რუსეთის რევოლიუცია მტკიცე ხელს უპყრია. მაშინაც ნათელი იყო, რომ კაპიტალისტური წყობილების ნაცვლად იზრდება და მტკიცდება ახალი ცხოვრება. მინდა აღვნიშნო ერთი ფაქტი ჩვენში, ინგლისში, მშრომელთა ფართო მასები გამსჭვალული არიან მეგობრული გრძნობით საბჭოთა კავშირის მუშების მიმართ

ინგლისის მუშები და, განსაკუთრებით ინგლისის მემაღაროები, არასოდეს არ დაივიწყებენ იმ გულითად დახმარებას, რომელიც საბჭოთა კავშირის პროლეტარიატმა აღმოუჩინა. რითაც არ უნდა გათავდეს მემაღაროეთა გაფიცვა, ინგლისის მემაღაროებლებს, მათ ცოლებსა და ბავშვებს მრავალი წლის განმავლობაში ემახსოვრებათ რუსეთის ძმების დახმარება. ინგლისის მუშათა კლასისათვის დღეს ნათელი გახდა, რომ ის თავის მიზანს მიაღწევს მხოლოდ გადამწყვეტი ბრძოლის საშუალებით. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ დასახული მიზნის მიღწევა შეიძლება მშვიდობიანი გზითაც. თუ კი ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, ჩვენ სხვა იარაღითაც ვიბრძოლებთ. მე მებრძოლი პროლეტარიატის რიგებში ვიბრძოლებ მომავალი თავისუფალი ცხოვრების შესაქმნელად. გახსოვდეთ, რომ მთელი კაცობრიობის მშრომელი მასა საბჭოთა კავშირს შესცქერის უდიდესი იმედებით. იყავით ერთსულოვანი. ნუ იქნება თქვენს რიგებში უთანხმოება. ერთობით თქვენ გაიმარჯვებთ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს! გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს მსოფლიო რესპუბლიკის კავშირს!

ტომსკის საპასუხო სიტყვა

საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭოს თავმჯდომარემ ტომსკიმ, რომელმაც მადლობა გადაუხადა ლენსბერის მისალმებისათვის და სთქვა:

საბჭოთა კავშირის პროფკავშირები და რუსეთის მუშათა კლასი უაღრესად კმაყოფილია იმით, რომ მათ შესძლეს ელემენტარული სტუმართმოყვარეობის გაწევა ინგლისის პროფმოძრაობის ერთ მთავარ ხელმძღვანელის მიმართ. ჩვენი თხოვნა არის ლენსბერის მიმართ რომ მან თავისი ჩვეულებრივი გულწრფელობით მოუთხროს ინგლისის მუშათა კლას საბჭოთა კავშირში ნახულის შესახებ. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისათვის კლასობრივი ერთობა განყენებულ ლოზუნგს არ წარმოადგენს, არამედ ის არის ძირითადი მორიგი ამოცანა. საბჭოთა კავშირის მუშებსა და ინგლისის მუშათა კლას შორის მტკიცე ძმური კავშირის დამყარება თანამედროვე მომენტის არსებითი მოთხოვნილებაა. ერთობის დასამყარებლად მიმართული ღონისძიებანი გამარჯვებით უნდა დამთავრდეს, მიუხედავად ამა თუ იმ უთანხმოებისა, რომელიც ჩვენსა და ინგლისის პროფმოძრაობის ბელადებს შორის არსებობს. ჩვენი მხურვალე სალამი ინგლისის მუშათა კლასს. მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირისა და ინგლისის მუშების კავშირი აქტიური და შეურყეველი იქნება და მიიყვანს მუშათა კლასს ჭეშმარიტ ერთობამდე. შემდეგ ლენსბერი გამოეთხოვა საკ. პროფკავშირთა ცენ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს. ის გააცილეს ხანგრძლივი ტაშით.

ინგლისის მელითონეთა წარმომადგენლნი მოსკოვში

მოსკოვი, 26 აგვ. ინგლისის მელითონეთა ფედერაციის აღმასკომის წევრები ვილიამს ხეტჩინსონი და ჟურნალ „პროფესიონალურ ერთობის" რედაქტორი პედე არნეტი დაესწრენ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს სხდომას.

ხეტჩისონმა თავის გრძელ სიტყვაში ილაპარაკა ინგლისის კვლევა-ძიების ინსტიტუტის ამოცანების შესახებ, რომელსაც მიზნად აქვს მასალების შეგროვება ინგლისის და სხვა ქვეყნების პროფმოძრაობის შესახებ. გამოსთქვა სურვილი, რომ მოსკოვშიაც დაარსონ ინგლისის ინსტიტუტის განყოფილება. მან აგრეთვე ინგლისის მემაღაროეთა სახელით სალამი გადასცა რუსეთის მუშებს. ხეტჩისონმა და არნისტმა ტომსკის საჩუქრად მიართვეს მემაღაროეს ორი სანათი. ტომსკიმ საპასუხო სიტყვაში მათ სთხოვა სალამი გადასცენ ინგლისის მუშებს საბჭოთა კავშირის მუშების სახელით.

ბელგიის მუშათა დელეგაციის განცხადება

მოსკოვი, 26 აგვისტო. მოსკოვიდან წასვლის წინ ბელგიის მუშათა დელეგაციამ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს გამოუგზავნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია: თბილისში ჩვენ ვინახულეთ საპატიმრო, რომელშიაც მოთავსებული არიან მენშევიკების ბელადები. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა მიგვეცა მათთვის სხვადასხვა შეკითხვები და, სხვათა შორის, ვკითხეთ აჯანყების მიზეზების შესახებაც. ჩვენ მივიღეთ საცოდავი პასუხი; მათ უარი განაცხადეს რაიმე ახსნა - განმარტების მოცემაზე. შემდეგ, როცა ჩვენ გავიგეთ, რომ ეს ბელადები, უმეტეს ნაწილად თავადები არიან, როცა ჩვენ გავეცანით მათ ბიოგრაფიას და შევისწავლეთ ნაციონალური საკითხი, ჩვენთვის გასაგები გახდა, თუ რატომ არ ისურვეს მათ პასუხის მოცემა. თუ ბურჟუაზიული და სოციალისტური პრესის მტკიცებას სინამდვილეს შევადარებთ, ჩვენ ხმა მაღლა უნდა განვაცხადოთ, რომ ყველა ეს მტკიცება თავიდან ბოლომდი სიცრუეა. ჩვენი საერთო შთაბეჭდილება ასეთია: საბჭოთა კავშირმა სავსებით დასძლია ყველა სიძნელენი და უბედურებანი, რომელნიც ცარიზმის მძიმე მემკვიდრეობის, კონტრ-რევოლიუციის ბლოკადისა და ნგრევის შედეგი იყვნენ. ის იმყოფება ამჟამად აღდგენის პერიოდში და მისი მუშაობა ამ მიმართულებით აღტაცების ღირსია. ის მართლა აშენებს სოციალიზმს.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცირკულიარი

თანამშრომელთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის შესახებ

მოსკოვი, 26 აგვისტო. ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ აღნიშნა, რომ ზოგიერთ დაწესებულებათა ხელმძღვანელები სხვა სამუშაოზე გადასვლის დროს თავისთან ერთად ახალ ადგილზე გადაჰყავთ თავისი წინანდელი თანამშრომლები, მაშინაც კი, როცა ამ ადგილზე უკვე მუშაობენ იმავე კვალიფიკაციის მუშაკები.

ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყველა ადგილობრივ საკონტროლო კომისიებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც მათ ეძლევათ წინადადება, რომ ადგილი აღარ ექნეს მუშაკების ასეთ გადაყვანას, რომელიც ხშირად პირადი დამოკიდებულობით არის გამოწვეული და არა საქმიანი მოსაზრებით. ამ დადგენილებიდან გადახვევა შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი აუცილებელია საქმისათვის; ეს კი უნდა გამოარკვიოს სათანადო საკონტროლო კომისიამ.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის დირექტივების დარღვევისათვის დამნაშავენი მიეცემიან პასუხისგებაში ისე, როგორც მომჭირნეობის დარღვევისათვის.

პარტიული ცხოვრება

ახალი პარტიული ბილეთები

მოსკოვი, 26 აგვისტო. საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტ. კომიტეტმა დაამტკიცა ახალი პარტბილეთის ნიმუშები, ძველი პარტიული ბილეთის ტექსტის დატოვებით. უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკისტანის, საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ნაციონალური კომპარტიისათვის დადგენილია დაიბეჭდოს პარტბილეთები შესაფერ სახელმწიფო ენებზე; აგრეთვე შეიძლებისა და გვარად ტექსტი მშობლიურ ენაზე უნდა გადაითარგმნოს ყველა ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ოლქებისათვის.

ამიერ-კავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების ცენტრალურ კომიტეტებს, ქალაქების და საოლქო კომიტეტებს

ძვირფასო ამხანაგებო

ბავშვთა მე-6 საერთაშორისო კვირეულმა, რომელიც ტარდება 30 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე, უნდა მიიპყროს ამიერ-კავკასიის ყველა პარტორგანიზაციების სერიოზული ყურადღება. ამ ორგანიზაციებმა ჯამი უნდა გაუკეთონ ამიერ-კავკასიის ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობას, დეფექტების გამოსწორების ამ მოძრაობის შემდეგი განმტკიცების მიზნით.

ამ კვირეულში პარტორგანიზაციებმა უნდა:

1) შეამოწმონ ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციების რიცხვობრივი ზრდა და მათი შემადგენლობის შინაარსის ხარისხი,

2) გამოაშკარავონ ქალაქისა და სოფლის პიონერების კავშირი და აგრეთვე ჩვენი ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციების კავშირი საბჭოთა კავშირის, დასავლეთის და აღმოსავლეთის ორგანიზაციებთან,

3) შეამოწმონ კავშირთა ინტერნაციონალური აღზრდის გაღრმავება კერძოთ და განსაკუთრებით კავშირი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციებს შორის.

4) ჯამი გაუკეთონ მუშაობას პიონერების და მშრომელთა ბავშვების გაჯანსაღების დარგში;

5) შეამოწმონ ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციების ხელმძღვანელობის საორგანიზაციო ფორმები: წარმომადგენლობის რიცხვი და მათი მუშაობა ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციების ბიუროებსა და კოლექტივებში; ყველა წინამძღოლ რაზმების შემადგენლობა და მუშაობის ხარისხი,

6) გამოიყენონ ბავშვთა საერთაშორისო კვირეული იმ მიზნით, რათა მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ უდიდესი ყურადღება გამოიჩინოს ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობისადმი და მშრომელთა ბავშვების ცხოვრების გაუმჯობესებისადმი.

ამ მიზნით ბავშვთა საერთაშორისო კვირეულში პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა:

1) მოისმინონ პარტიის, კომკავშირის და პიონერთა ორგანიზაციების გაერთიანებულ კრებებზე პიონერთა ორგანიზაციების მოხსენებები;

2) მოისმინონ ქვემოდ მდგომ ორგანიზაციების მოხსენებანი ბავშვთა მოძრაობის, მათი ადგილის და ხელმძღვანელობის შესახებ;

3) მოისმინონ სახ. განათლების და სახ. ჯანმრთელობის კომისარიატების ორგანოების სათანადო მოხსენებები;

4) მოაწყონ ბავშვთა ბეჭდვითი სიტყვის გამოფენა;

5) ჩაატარონ მუშაობა გლეხების, დელეგატ ქალების და სხვ. კრებები, რომლებზედაც უნდა მოისმინონ მოხსენებები ბავშვთა საერთაშორისო მოძრაობის და ბავშვთა აღზრდის და გაჯანსაღების საქმეში პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის შესახებ.

6) ჩაატარონ ფართო კამპანია პარტიულ-საბჭოთა პრესაში.

ბავშვთა საერთაშორისო კვირეულში მიღწეული შედეგები უნდა იქნას შენარჩუნებული:

1) იმ ღონისძიებათა გაღრმავებით, რომელიც მიმართულია ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციების დეფექტების მოსპობასა და მათი მუშაობის გაუმჯობესებისაკენ.

2) მათ მიმართ ხელმძღვანელობის საორგანიზაციო ფორმების განმტკიცებით.

3) მჭიდრო კავშირის დამყარებით ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციებსა, მუშა და გლეხ-ქალთა და მასწავლებლობის შორის.

4) სახ. განათლების და სახ. ჯანმრთელობის ორგანოებისათვის სათანადო დირექტივების მიცემით და ამ დირექტივების შესრულების შემოწმებით.

ბავშვთა საერთაშორისო კვირეულის წარმატებით ჩასატარებლად კვირეულის მომწყობ კომისიებში უნდა იქნან შეყვანილი პარტიულ კომიტეტების სააგიტ.-საპროპ. განყოფილებათა გამგეები.

ბავშვთა საერთაშორისო კვირეულის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მასწავლებლობამ.

კვირეულს წინ უნდა უსწრობდეს ფართო კამპანია პარტიულ და უპარტიო მასებს შორის.

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი

ნაზარეტიანი.

კენტი წევრი

(საგარეჯო, გარე-კახეთი,

საზოგადოთ, როცა არჩევნები ხდება, კანდიდატთა რიცხვს ყოველთვის კენტად ასახელებენ; 3, 5, 7, 9 ან 11. რატომ ხდება ეს ყველამ იცის. საჭიროა, რომ ორგანიზაციაში საკითხის გადაწყვეტის დროს ხმის უმრავლესობის მიღება შესაძლებელი იყოს.

საგარეჯოს კომკავშირიც ასე მოიქცა. აიღეს და აირჩიეს ბიურო 5 კაცისაგან, ეგონათ საქმისათვის ასე აჯობებსო, მაგრამ მოსტყუვდნენ ანგარიშში. სწორედ ამ კენტმა რიცხვმა დაღუპა საქმე. რაღაც საუბედუროთ (თუმცა საუბედურო ამაში არაფერია) ბიუროში გაიყვანეს ორი ქალი და სამი კაცი.

ორმა წყვილმა მჭიდრო კავშირი შეკრა ერთმანეთში. დანაწილება ასეთი მოხდა: ქალი და ვაჟი, ქალი და ვაჟი და კენტად ვაჟი. გაჩაღდა ბიუროში „მუშაობა", ყველა ერთგულად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, მხოლოდ ეს მეხუთე კენტი წევრი უშლიდა საქმეს ხელს. ორმა წყვილმა ერთი კენტი აითვალისწუნა. მისთვის ადგილი აღარ იყო ბიუროში, ის ზედმეტი ბარგი აღმოჩნდა, რადგან... რადგან პასიური იყო, იტყვით ალბათ თქვენ, არაკომუნისტური ელემენტი იყო, ლოთობა უყვარდა და სხვ.

მაგრამ რათ სწამებთ უდანაშაულო კავშირელს ლოთს? მთელი მისი დანაშაული იმაში გამოიხატება, რომ ბიუროში მისთვის გულის სატრფო არ აღმოჩნდა. არითმეტიკის კანონი ასეთია: ორი—გაყოფილი ორზე—იქნება ორი, ერთი-ერთზე გაყოფილი—ერთია. ხოდა, მეტი აღარც ყოფილა ბიუროში წევრები.

ეს, ვთქვათ, ბიუროს ცოდვათ არ ჩაეთვლება, რომ ერთი „ჩამწვარი" ბიუროს წევრი ცოლიანი არ ყოფილიყო. სოფელს ღრუბლის ჩრდილივით დაუარა ხმამ: „ი. ფეიქრიშვილი ცოლს ტოვებს და „შეყვარებულ" კომკავშირელს ირთავსო". „მოდი და გაგზავნე გოგო ი ოხერ კომწომოლიაში", ბრაზმორეული გაიძახიან კუთხის დედაკაცები კომკავშირზე, „ცოლსა სტოვებს ქა, კანონიერ ცოლს და ვილაც გომბიოს გადაჰკიდებია, ეგ არის" პატიოსნება? მანამ ნურაფერსა შაშვამს მისი გახრუკული თავი, სანამ ჩემი გოგო მე კონწომოლიაში არ გავგზავნო.

მაგრამ ასეთი ტრაგიკულია ერთი წყვილის მდგომარეობა, მეორე წყვილი კი უკვე გამარჯვებას ზეიმობს. ისინი უკვე შეუღლდენ, (რეგისტრაციაში გატარდენ და ტკბილი ოჯახური კერა გაიჩინეს.

მოდი და ნუ შეგშურდება ამის შემდეგ ბიუროს წევრობა. მოდი და გაიკვირვე, რატომ გარბის საგარეჯოს კომკავშირის ორგანიზაციიდან ქალიშვილები?

კირკიტები.

რა უნდა გამოსწორდეს

(ს. კაცხი, შორაპ. მ.)

კაცხის კომუჯრედის პარტმუშაობის გამოკვლევიდან სჩანს, რომ უჯრედს აქვს მიღწევები. წევრთა შორის უდისციპლინობა აღმოფხვრილია; უჯრედის კრებები ეწყობა სისტემატიურად; კრებაზე დაუსწრებლობას ადგილი არა აქვს. საბჭოთა მუშაობაზე ხელმძღვანელობას უჯრედი აწარმოებს კომფრაქციების საშუალებით, რომელთა მოხსენება ხშირად ისმება უჯრედის სხდომებზე, ეძლევა მათ საჭირო ახსნა-განმარტება და სხვ.

კომკავშირზე მიმაგრებული ამხანაგები აწარმოებენ მუშაობას შეძლებისდაგვარად. კომკავშირის უჯრედის მუშაობა სასურველ და კარგ შედეგებს იძლევა. მათი საშუალებით გამოცოცხლებულია საბჭოს, კოოპერატივის და სხვა ორგანიზაციების მუშაობა. მიუხედავად ამისა, უჯრედს აქვს ნაკლიც, მაგალითად უჯრედს არა აქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა, ბიურო არ აწარმოებს თავის დადგენილებების ოქმებში ჩაწერას. საბჭოს სექციების მუშაობა მოისუსტებს, ვერ ატარებენ ცხოვრებაში საბჭოს დადგენილებებს. უჯრედის პარტხელმძღვანელობა ქალთა შორის მუშაობაზე ნაკლებად სწარმოებს.

შორაპნის მაზრკომმა მიუთითა უჯრედს აღნიშნულ ნაკლზე და დაავალა ბიუროს გაატაროს უჯრედის მუშაობის გამოსასწორებლად ზედმეტი წინადადებები. შემუშავებული უნდა იქნას უჯრედისათვის მუშაობის კალენდარული გეგმა.

ბიუროს მუშაობის აღსარიცხავად შემოღებული იქნას აუცილებლად ბიუროს დადგენილებების ოქმებში ჩაწერა.

ქალთ მუშაობის გასაღრმავებლად საჭიროა ეხლავე გამოყოს უჯრედმა ორგანიზატორები და ქალთა ორგანიზატორთან ერთად ჩამოაყალიბოს სადელეგატო კრებები. საბჭოში სექციების ასამუშავებლად საჭიროა გაძლიერდეს პარტხელმძღვანელობა კომფრაქციების საშუალებით და მიეცეს მათ საჭირო ახსნა-განმარტება ამა თუ იმ საკითხების გადაწყვეტის დროს.

უნდა მიექცეს აგრეთვე ყურადღება პარტიაში მზრუნველობითი მუშაობას, რისთვისაც უჯრედში უნდა გაგრძელდეს მე-14 პარტყრილობის რეზოლიუციების შესწავლა. ამ მხრივ მეტი ენერგია უნდა გამოიჩინონ უჯრედზე მიმაგრებულ ამხანაგებმა და სათანადო იდეური დახმარება უნდა გაუწიონ უჯრედს მუშაობის გასაძლიერებლად.

ჯ—ოლლი.

მუშაობა გამოცოცხლდა.

(ხაშურის კომკავშირი).

ხაშურის კომკავშირის რაიონული კომიტეტის მუშაობას გამოცოცხლება დაეტყო. წინათ აქ მუშაობა ვერ იყო სათანადო ნიადაგზე დაყენებული სხვადასხვა მიზეზების გამო. მაგრამ დღეს უკვე სამაზრო და ცენტრალურმა კომიტეტმა მიაქცია სათანადო ყურადღება ამ მდგომარეობას ხაშურის კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის თავის დონეზე დაყენების მიზნით.

რაიონულმა კომიტეტმა დაკვრითი ამოცანათ დაისახა დისციპლინის განმტკიცების საქმე.

ხაშურის რაიკომი აერთიანებს მრავალ მუშათა უჯრედებს—ხაშურის კომკავშირის ორგანიზაცია წარმოადგენს მუშათა ორგანიზაციას, რომლის მუშაობა დღეს უკვე თანდათანობით ცოცხლდება და მთელი ხაშურის ორგანიზაცია იმედოვნებს, რომ ის ნაკლულევანებები, რომელიც ახასიათებდა წარსულში რაიონულ კომიტეტს, სავსებით აღმოფხვრილი იქნება.

ახალგაზრდა მუშა.

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გლეხური ჩაი

ოზურგეთი, 26 აგვისტო. მიმდინარე სეზონში გლეხური წარმოების ჩაის შესყიდვას აწარმოებს განსაკუთრებით საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს ფაბრიკა. ჩაის ფოთოლის ნედლეულს ყიდულობენ ფუთს 7 მანეთად პირველ ხარისხისას და 6 მანეთად მეორე ხარისხისას.

ახალი სკოლა

ოზურგეთი, 26 აგვისტო. სოფელ ცხემლის ჭიდზე მოთავდა სრულიად სკოლის ქვის შენობის აგება. ახლა გამალებული მუშაობა სწარმოებს სკოლის ორი დიდი დარბაზის მოსათავებლად. მოახლოვებულ სასწავლო სეზონისათვის. დანარჩენ საკლასო ოთახების გაკეთება გადადებულ იქნა მომავალ წლამდე.

კანაფი

ოზურგეთი, 26 აგვისტო. გურიაში სწარმოებს კანაფის საშინჯ ნათესების გამოკვლევა. ოზურგეთის რაიონში კანაფის ღეროს სიმაღლე აღწევს 3—4 არშინს, სუფსაში—5 არშ. კანაფის ნორმალურ ზრდას აბრკოლებენ ბალახები. საუკეთესო შედეგები მიღწეული იქნა მინდვრებზე, სადაც შემოღებული იყო კვალში დათესვა. აქ კანაფის ღეროები 5 არშინის სიმაღლეზე ავიდენ, აკრეფისას კი (ოქტომბ-ში) უეჭველად მიაღწევს 6 არშინამდე. გლეხებს თვითეულ დესეტინა კანაფზე ეძლევათ ავანსად 75 მან.

კოოპერაციის გამოკვლევა

ახალ-სენაკი, 26 აგვისტო. სამაზრო სტატისტიკური ბიურო შეუდგა კოოპერაციის მდგომარეობის გამოკვლევას სენაკის მაზრაში.

აფხაზეთი

ნათესების და ბაღების მდგომარეობა

სოხუმი, 26 აგვისტო. სტატისტიკურ სამმართველოს ცნობების მიხედვით აფხაზეთში ნათესების და ბაღების მდგომარეობა 15 აგვისტომდე ირკვევა შემდეგი ნიშნებით: სიმინდი, ლობიო, კარტოფილი, ბოსტნები—3,3; ბაღჩები—3,2; თამბაქო—3,5; ბამბა—2,3; ვენახები—3,5; ხეხილის ბაღები—3,1.

რემედასის წევრთა ხელახალი აღრიცხვა

სოხუმი, 26 აგვისტო. მთელს აფხაზეთში დაწყებულია რემედასის წევრთა ხელახალი აღრიცხვა.

ხელშეკრულება საბჭოთა სავაჭრო ფლოტთან

სოხუმი, 26 აგვისტო. „თამბაქოს ნედლეულის" აფხაზეთის განყოფილებამ გენერალური ხელშეკრულება დასდო საბჭოთა სავაჭრო ფლოტთან 1 მილიონ ფუთ თამბაქოს გადასაზიდად.

აჭარისტანი

კაუჩუკის მცენარეების კულტურა

ბათომი, 26 აგვისტო. რეზინის ტრესტის საცდელმა პლანტაციებმა ციხის ძირში, ბათომის და სოხუმის ბოტანიკურ ბაღებს მისცა 6.000 ძირი კაუჩუკის მცენარე.

„საბჭოთა დაწესებულებების სასახლე"

ბათომი, 26 აგვისტო. სამოქალაქო შენობათა მთავარ სამმართველომ შეადგინა პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა, 1000.000 მანეთის რაოდენობით, ბათომში „საბჭოთა დაწესებულებების სასახლის" ასაშენებლად, სადაც მოთავსებული იქნება აჭარისტანის ყველა სახალხო კომისარიატები და ცენტრალური დაწესებულებები.

საექსპორტო ტვირთების მექანიზაცია ქმნილი საწყობი

ბათომი, 23 აგვისტო. საბჭოთა სავაჭრო ფლოტის მთავარმა სამმართველომ დადებით გადაჭრა საკითხი ბათომის ნავთსადგურში, უცხოელების მისადგომ ტერიტორიაზე, საექსპორტო ტვირთების ცენტრალურ მექანიზაცია ქმნილ საწყობების ასაშენებლად, 250—300 რონოდის ტევადობით.

საწყობის აშენება ჯდება 500.000 მანეთი.

სახლი მუშა აღმშენებლებისათვის

ბათომი, 26 აგვისტო. საბინაო აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტმა 8.000 მანეთი გადასდო აღმშენებელ მუშებისთვის ორსართულიან სახლის ასაშენებლად. მთელი შენობა ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით ჯდება 25.000 მანეთი. დანარჩენი თანხა მოიკრიბება კავშირის წევრებს შორის.

წერილები

მოვითხოვთ განმარტებას ზუგდიდის გლეხკომისაგან

(ქ. ზუგდიდი)

ბევრჯერ იყო გაზეთ „კომუნისტ"-ში გამოქვეყნებული ზუგდიდში გაზეთ „კომუნისტზე" ხელის მოწერა შეიძლება გლეხკომთან ნაღდ ფასზეო. ამის თანახმად გაზეთის მკითხველებმა გაზეთი გამოიწერეს გლეხკომთან, ნაღდ ფასით. ზოგმა გამოიწერა ერთი თვით, ზოგმა ორით და ასე შემდეგ. ხელის მომწერლებს გაზეთი უნდა მიეღოთ პირველ აგვისტოდან. მაგრამ პირველი კი არა თუთხმეტიც გავიდა და გაზეთი არა სჩანს, და არც ფული. ასე უგაზეთოთ დარჩენ გაზეთის მკითხველნი. რაშია საქმე, განა ასე უნდა მოიქცეს გლეხკომი? ხელის მომწერნი თხოულობენ, რომ ფული მაინც დაუბრუნოს გლეხკომმა*).

შ. მესხი.

---

*) როგორც წერილიდან სჩანს, გლეხკომს ფული მიუღია გაზეთის გამოსაწერად. ჩვენს კანტორას კი გლეხკომისაგან არც ფული მიუღია და არც მოთხოვნა გაზეთის გაწერის შესახებ. ამის გამო მკითხველები უგაზეთოდ დარჩენ. ჩვენ მოვითხოვთ განმარტებას გლეხკომისაგან და ვიტოვებთ უფლებას სხვა გზით მივუდგეთ საქმეს, თუ მისი პასუხი არ იქნება დამაკმაყოფილებელი და ხელისმომწერთა სამართლიანი მოთხოვნა დაკმაყოფილებული.

რედაქცია.

ღარიბ გლეხთა ჯგუფების შესახებ

უკვე საკმაოდ დიდი დრო გავიდა, რაც პარტიამ საჭიროდ აღიარა სოფლად ღარიბ გლეხთა ჯგუფების ორგანიზაცია. მიუხედავათ ამისა, ბევრგან ეს დადგენილება ან არ არის ცხოვრებაში გატარებული, ან თუ არის, სწორედ ვერ ტარდება ის.

ბევრგან არ იციან რა სახის და რა მოვალეობის მქონე უნდა იყვეს ღარიბ გლეხთა ჯგუფები. ზოგჯერ ის ცალკე, დამოუკიდებელ ორგანიზაციათ წარმოუდგენიათ, ზოგან კიდევ პარტიულ ორგანიზაციის ნაწილად. რასაკვირველია, არც ერთი და არც მეორე შეხედულება სწორი არაა.

ღარიბ გლეხთა ჯგუფები არ უნდა წარმოადგენდენ არც დამოუკიდებელ ორგანიზაციას, არც პარტუჯრედის შემადგენელ ნაწილს. ღარიბ გლეხთა ჯგუფები იქმნება კოოპერატივის გამგეობასა და თემალმასკომებთან. ამ ორგანოების შემადგენლობიდან უნდა შეკავშირებული იქნას ულარიბესი გლეხები, გამგეობის თუ ალმასკომის კომუნისტ წევრების ხელმძღვანელობით.

ამ ჯგუფებში უნდა ირჩეოდეს კოოპერატივში, თუ თემაბჭოში წამოჭრილი ყველა საჭირბოროტო საკითხები, რომ ღარიბ გლეხკაცობას შეეძლოს მათი გადაწყვეტილების გატარება გამგეობის თუ ალმასკომის სხდომაზე.

გამოცდილებით ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციის მუშაობაში მჭიდრო შეკავშირებულ ჯგუფის ერთსულოვან მოქმედებას, თითქმის ყველთვის ორგანიზაციული მუშაობა ამ მოწინავე და შეთანხმებულათ მოშავე ჯგუფის მიერ გაკვლეულ გზით მიდის.

ასეთი ჯგუფების ადგილი უნდა დაიჭიროს ჩვენს კოოპერატივებში და თემალმასკომებში ღარიბმა და მათთან ერთად საშუალო შეძლების გლეხებმა. ეს ჯგუფები უნდა გახდეს სოფლად კოოპერატიულ და საბჭოთა მუშაობის ტონის მიმცემი.

უმთავრესი ამ შემთხვევაში არის სწორი პარტიული ხელმძღვანელობა ღარიბ გლეხთა ჯგუფებზე. უჯრედი უშუალოდ არ უნდა ერიოდეს ამ ჯგუფების მუშაობაში. მთელი ხელმძღვანელობა ღარიბ გლეხებზე უნდა განხორციელდეს კოოპერატივის გამგეობათა და ალმასკომის წევრ კომუნისტების საშუალებით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ამ ორგანოების შემადგენლობაში არ მოიპოება კომუნისტი წევრი, პარტიულ უჯრედმა უნდა გააბას მჭიდრო კავშირი ღარიბ გლეხთა ჯგუფებთან, ამ ჯგუფების თავის მუშაობასთან დასაახლოებლათ და მათთან ამხანაგური თანამშრომლობის კავშირის დასამყარებლათ.

ღარიბ გლეხთა ჯგუფების მუშაობას უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებს პარტია და ხელისუფლება. ამ ჯგუფების სისწორით შედგენაზე და ხელმძღვანელობაზე უნდა იზრუნონ ჩვენმა ადგილობრივმა პარტიულმა და ხელისუფლების ორგანოებმა.

ტაბიძე.

კაკაბეთის ადგილკომი მუშაობს

სოფელ კაკაბეთში (სიღნაღის მაზრა) არსებობს განათლების მუშაკთა ადგილკომი. მას თავმჯდომარეობს მასწავლებელი ვ. მატათაშვილი. ადგილკომის მუშაობა გამოიხატება შემდეგში: დაარსებულია სალიტერატურო და დრამატიული წრეები, სადაც წარმოებს მეცადინეობა; აწყობენ უფასო წარმოდგენებს. არსებობს საექსკურსიო ბიურო, რომელიც აწყობს ექსკურსიებს ჩვენი ქვეყნის შესწავლის მიზნით. ადგილკომს მოწყობილი აქვს სამკითხველო სადაც იკითხება ჟურნ.-გაზ. ხმამაღლა, რითაც გლეხობა ეცნობა ყოველგვარ საჭირბოროტო საკითხებს. ეს წინათ კი ასე არ იყო და მასწავლებლებს შორის იყო დიდი უსიამოვნება, ახლა კი საქმე საუკეთესოდაა მოგვარებული. განზრახულია აგრეთვე სკოლების შეკეთებაც. ადგილკომი გლეხობას უწევს (უსასყიდლოდ) იურიდიულ დახმარებასაც.

გ. თამაზაშვილი.

ჩვენი სკოლის ტკივილები

(წერილი ქუთაისის მაზრიდან)

ჩვენი დღევანდელი სკოლის შესახებ ხშირად გაიგონებთ საყვედურს მშობელთაგან. „ვერ წარმომიდგენია—ამბობს მშობელი—მეოთხე განყოფილებიდან ვარ გამოსული და ჩემ შვილზე მეტი ვიცი, თუმცა მან ცხრაწლედი დაამთავრა. კითხვით ცუდად კითხულობს, წერით ისე რა. საძაგლათ სწერს, კაცი ვერაფერს გაუგებს; არც ქართული იცის ხეირიანად და რუსულათ კი, რომ გადააკვდე, სიტყვასაც ვერ ამოაღებინებ. თქვენ გენაცვალეთ, მითხარით ერთი ისეთს რას ასწავლით, რომ მე ვერ მიმხვდარვარ და ვერ ვხედავ". გულწრფელნი თუ ვიქნებით ამ სიტყვებში ჭეშმარიტების ნასახს უეჭველად დავინახავთ.

ცხრაწლედ დამთავრებული მოწაფე რუსულად ერთ სიტყვას მეორეზე ვერ გადააბამს და, რუსეთში რომ მოხვდეს, შიმშილით მოკვდება. „უნივერსიტეტში ერთმა პასუხისმგებელ კომუნისტის შვილმა გამოცდები რუსულ ენაში „ჩაბარა", მიუხედავად იმისა, რომ მან ვერ შესძლო სიტყვა „დიავოლის" ახსნა"—სწერს ქ.. სულაქველიძე. მე ეს სრულიად არ მიკვირს. შვიდწლედებსა და ცხრაწლედებში ჩვენი მოწაფენი ვერ არჩევენ სქესებს, არა აქვთ წარმოდგენა ბრუნვებსა და მიმოხვრებზე. სად შეეძლებათ მათ უნივერსიტეტში მეცნიერული შრომები წაიკითხონ და შეითვისონ! ის კი არა, ვფიქრობ: უბრალო ენით დაწერილ ზღაპრებსაც ვერ გაიგებენ. აგერ ახლა არ იყო, რომ ლათინურსა და ბერძნულს გვასწავლიდენ და თვითეულმა ჩვენგანმა ეს მკვდარი ენები უფრო მეტი იცოდა, ვინემ ეხლა იციან ჩვენმა ზოგიერთმა ახალგაზრდებმა ცოცხალი რუსული ენა.

დავანებოთ თავი ამას. ქართული ხომ მაინც კარგად უნდა იცოდნენ. საუბედუროთ, არც ეს არის! დააწერინეთ ზოგიერთ ცხრაწლედ დამთავრებულ მოწაფეთ განცხადება და თქვენ ნახავთ, რომ ის ისე გაიწურება, თითქოს მისთვის კანტის ფილოსოფიის გარჩევა მიენდოთ.—შედით რომელიმე დაწესებულებაში, გადაათვალიერეთ განცხადებები. არც აზრი, არც სტილი, არც მართლწერა. კალიგრაფიის მხრივ ხომ ზედმეტია ლაპარაკი—არც ერთი ასო ასოს არა გავს! ძველების ლურსმული ნახაზები გეგონებათ. სხვა საგნებში? აქაც მოიკოჭლებს ჩვენი ახალგაზრდები. არც ერთ მათგანს იმედი არა აქვს, რომ უნივერსიტეტში გამოცდებს ჩააბარებს. უსათუოდ ვინმესთან უნდა მოემზადოს და ამით ვინ გინდათ, რომ არ სარგებლობს: ადგენენ ათასგვარ ჯგუფებს და „ბრუნდი და მართალი" ხელს კიდებს მოწაფეთა გადამზადებას.

დიახ, გულ-ახდილათ და აშკარად უნდა ვთქვათ, რომ ჩვენი ახალი თაობა ძალიან ნაკლები გონებრივი ტვირთით შორდება საშუალო სკოლას. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ სკოლას ბევრი რამ სტკივა: საჭიროა სწორი დიაგნოზი, გულდასმითი ექიმობა და წამლობა.

პირველად სიტყვა მასწავლებლობაზე უნდა ჩამოვაგდოთ. რა დროც უნდა იყოს, სული და გული სკოლისა, მასწავლებელია. თუ მასწავლებელი არ ვარგა, სკოლაც არ ივარგებს. ამ მხრივ, მართალი ვითქრათ, მდგომარეობა მეტად ჩამაფიქრებელია: ახლად დანიშნულ მასწავლებელთა უმრავლესობა ცხრაწლედ დამთავრებულები და ისეთები, რომელთაც „неудачник"-ებს ეძახიან. ყველა ვისაც ბედმა არ გაუღიმა, ვერ შევიდა უმაღლეს სასწავლებელში, არ ივარგა სცენაზე, ვერ იშოვა ადგილი რკინისგზაზე, ან და კოოპერატივში—ყველა ასეთები მასწავლებლათ მიდიან. მოწოდებაზე და ასეთ მაღალ რაღაცეებზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია.

ძველათ გიმნაზია კურსდამთავრებულს ერთკლასიან სკოლაშიაც არ აძლევდენ მასწავლებლობას თუ სპეციალურ გამოცდებს არ ჩააბარებდა. ამჟამად კი ცხრაწლედდამთავრებულნი ოთხწლედებსა და შვიდწლედებში მასწავლებლობენ. „ამოცანის ანალიზი და სინტეზი რა ჯანაბაა არ ვიცი"; „კატეხიზაცია ეხლა მესმის პირველად", „საგნის მეთოდიკაო, რომ ამბობთ, რას ნიშნავს?", ასეთ სიტყვებს ხშირად გაიგონებთ ახალგაზრდა მასწავლებელთაგან. ზოგ მათგანს გონია კარგი მასწავლებელი ის არის, ვინც გაკვეთილზე დიდხანს ილაპარაკებს და მთელი საათის განმავლობაში აფენს ხელებს.

ზოგს გაუგონია, თავისუფალი სკოლააო და ისეთი ორომტრიალია გაკვეთილებზე, რომ „ძაღლი პატრონს ველარ იცნობს". ზოგი იმდენ გაკვეთილებს აძლევს, რომ თვითონაც ვერ დაისწავლიდა სამ დღეს და მოწაფის კითხვასაც ვეღარ ახერხებს, წიგნში რომ არ ჩაიხედოს. სამწუხარო კიდევ ისაა, რომ უმრავლესობა ახალგაზრდა მასწავლებლებისა სრულებით არ გრძნობს პასუხისმგებლობის შიშს და თავი გასტროლიორად მოაქვს: „ნეტა ჩემს ბედს, თუ მასწავლებლობას შევაჩერდი. ამ ერთი წელიწადს, როგორც იქნება, გავაჩანჩალებ, მერე კი მე ვიცი გზა". ერთი წლის შემდეგ კი ახალი, სრულიად გამოუცდელი და მოუმზადებელი მასწავლებელი ესტუმრება სკოლას...

საჭიროა პროგრამების შესახებაც ჩამოვაგდოთ სიტყვა. პროგრამები შედგენილია ისეთ ნაირად და ისეა დატვირთული, რომ საშუალო დონის მასწავლებელი ვერაფერს გებულობს, უიმედოთ ხელს იქნევს და თავის შეხედულებით მეცადინეობს. სოფლად ათ სკოლაში ორ-სამზე მეტს ვერ ნახავთ, რომ პროგრამებში გათვალისწინებული მასალა გაევლოთ.. „არ ვიცით, ხშირად ამბობენ ისინი, მეორე ჯგუფის მოწაფეებთან რა ნაირად უნდა გავიაროთ ტუნდრები, საქარა—უდაბნო გობი და სხ. ასეთი. ბუნებაში ბევრი ვერც ჩვენ გავიგეთ. ჩვენთვის მაინც უნდა იწერებოდეს სახელმძღვანელოები". და ეს ჩივილი სავსებით სამართლიანია.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თითქმის არც ერთი სახელმძღვანელო პროგრამას არ ეთანხმება. აიღეთ საზოგადოებათა მეცნიერება, გეოგრაფია, ქართული, ბუნება, ნახავთ, რომ პროგრამასა და სახელმძღვანელოს შორის დიდი ზღვარია. მასწავლებელი და მოსწავლენი იძულებული არიან სხვადასხვა წიგნებით იხელმძღვანელონ. ეს ქალაქში კიდევ შესაძლებელია; სოფლის მასწავლებლებმა, აბა რა უნდა ქნან? სად აქვთ მათ ამდენი სხვადასხვა წიგნები?.. და იქნება ქაოსი: ერთგან უჩანეიშვილის „საქართველოს ისტორიას" გადიან; მეორე სოფელში ჭუმბურიძის წიგნით ხელმძღვანელობენ. ერთგან „პოლიტიკურ ანბანას" ხმარობენ, მეორეში ვოლფსონს გადიან. ზოგან ზედგინიძის ქრესტომატია, ზოგან „რუსკოე სლოვო", ზოგან კი „სმენა". ერთ სკოლაში „კონაა", მეორეში „ბუნება და შრომა", მესამეში კიდევ „დედა-ენა", ერთგან გეხტმანის „საქართველოს გეოგრაფიას" გადიან, მეორეგან ხელიძის სახელმძღვანელოს ხმარობენ, მესამეში კი სულ არა აქვთ სახელმძღვანელო და მასწავლებლის სიტყვებით სწავლობენ...

მასწავლ. პ. ტაბიძე.

გლეხკორის სიტყვა

ვიტყვი რაც სოფელს სჭირდება
და, მწამონ ცილი, ბრალია,
ჩვენი კალამი კარგად სჭრის
თუ შეგვწევს მკლავში ძალია.

ზოგან თუ სკოლა აშენდა,
ზოგანაც გაგვყავს წყალია,
მაგრამ ზოგან კი არ ვარგა
სავლელი გზა და კვალია.

რაც დარჩა გაუკეთებლად,
ისიც ვამხილოთ მალეა,
თუ ისიც არ გავამხილეთ
შეგვარცხვენს მომავალია.

სადაც სიმართლე წინ გვიძღვის
კალამი ჩვენი ხმალია,
თქმულა, რომ დიდ ხის ერევა,
სწვავს მცირე ნაპერწკალია.

რათ ვარგა სოფლის ურგები,
ვინც დახტის როგორც კალია,
სახელოვან მკვდარს რითა სჯობს
უშრომოთ ვინც ცოცხალია.

რა მშვენიერი დრო არი,
რა მშვენიერი ჟამია,
გავაცოცხლოთ მუქთა-ხორები,
ყოველი მუქთა ჭამია.

ზოგისთვის როცა თენდება,
ზოგისთვის იმ დროს ღამია,
სწავლა და გამოცდილება
ყველაზედ დიდი რამეა.

გლეხი ვ. კანანელი.

ძვირფასი სტუმრები

(წერილი ჭიათურიდან)

დეპეშამ გვაცნობა, რომ კავალერიის ცხენთა გადარბენის მონაწილენი ამხ. ალნიაშვილის მეთაურობით გამოივლიდენ დ. საჩხერეში. შეხვედრის მოწყობა და მისი ხელმძღვანელობა სამპარტკომმა მიანდო ამხ. გრიშა მალანიას. ამხანაგ მალანიამ ყოველგვარი ზომები მიიღო, რომ შესაფერად დახვედროდა ძვირფას სტუმრებს.

ჭიათურიდან შეხვედრაში მონაწილეობას ღებულობდენ ცხენოსანთა სპორტის სექციის ყველა წევრები და ადგილობრივი მუშა-მოსამსახურენი.

ნაშუადღევის 4 საათიდან დაიწყო ხალხის დენა საჩხერის დოლის მოედნისაკენ. 6 საათზე მოედანი სავსე იყო ხალხით, რომლის საგრძნობ ნაწილს შეადგენდა სოფლებიდან ჩამოსული გლეხობა. ყველას თვალი მიპყრობილი ჰქონდა აღმოსავლეთისაკენ და გაისმოდა ხმები: „მოდიან, მოდიანო". მუსიკა უკრავდა სამხედრო მარშს; ყველას მოუთმენლობა ეტყობოდა, მაგრამ იმდღეს მაინც არ კარგავდენ და ღამის 12 საათამდე ხალხი მოედნიდან ფეხს არ იცვლიდა.

ცხენოსანთა სექციის წევრები სამჯერ წავიდენ ძვირფასი სტუმრების შესახვედრათ თვით ჯრიამდეც (ოსეთის საზღვარი) კი ავიდნენ, მაგრამ იმ დღეს სტუმრები ვერ მოვიდნენ. ამის მიზეზი ყოფილიყო ბურუსიანი ღამე. მეორე დღეს საბავშვო სახლში ჭიათურლები მოუთმენლად ელოდენ ძვირფას სტუმრებს. ნაშუადღევის 2 საათზე ლოდინს ბოლო მოეღო. ყველა აღტაცებით ხვდებოდა ძვირფას სტუმრებს, ს. ს. ს. რესპუბლიკის სახელოვან შვილებს. სადილი და დასასვენებელი ბინა გამართული იყო საჩხერის საბავშვო სახლში. აქაც მიზანშეწონილი ადგილი შეარჩია სტუმრებისათვის ამხ. მალანიამ; შეხვედრაში როგორც პირველ დღეს, ისე მეორე დღეს, ბოლომდე მონაწილეობას ღებულობდენ ქალთა განყოფილების წარმომადგენლებიც. ქართულმა მსროლელმა დივიზიამ ამხ. ალნიაშვილის და რუსულმა მსროლელმა დივიზიამ ამხ. ჩაიკოვსკის სახელით შეფობა აიღეს საჩხერის საბავშვო სახლზე.

დამსწრე.

როდის გაიღვიძებს კომისია?

ჩვენს სოფელში სკოლის აშენება ამ რამდენიმე წლის წინად დასრულდა, მაგრამ უყურადღებობისა გამო, იგი დღის მნახველს მეთვრამეტე საუკუნის დროის შენობას მოაგონებს. სულ მცირე დროს შემდეგ მეცადინეობა უნდა დაიწყოს; სკოლის შენობა კი მთლად შესაკეთებელია.

სოფელს ჰყავს არჩეული კომისია, რომელსაც ევალება სკოლისადმი ყურის გდება, მაგრამ მას ტკბილად სძინავს და გაღვიძებასაც არა ჰფიქრობს. აღსანიშნავია ის გარემოებაც. რომ ჩვენ სკოლას აქვს ერთი დესეტინა სახნავი მიწა, რომელსაც კერძო პირი ხმარობს და სკოლას კი არაფერს აძლევს. ისე გაუტკბა ამ ყმაწვილს ეს მიწა, რომ იგი თავს არ ანებებს მას და ეს საქმე გადაცემულია დუშეთის უბნის სახალხო მოსამართლეზე.

იმედია, რომ ეხლა მაინც მოეღება ბოლო ამ პირის სასკოლო მამულში თარეშს და მიწა ისევ სკოლას დაუბრუნდება.

ღარიბი.

წერილებიდან

სუფსა (გურია)

სახ.-სამ. სკოლა. თემსაბჭომ უკვე მიიღო დადგენილება სას.-სამ. სკოლის დაარსების შესახებ. შედგენილია ხარჯთ-აღრიცხვა. სკოლის აგება ჯდება 5.000 მანეთი. საკითხი გადატანილი იქნება სათემო ყრილობაზე. ყველა უბნის გლეხები ერთხმად იზიარებენ საბჭოს დადგენილებას. რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, სუფსაში უნდა დავაარსოთ სას.-სამ. სკოლა.

სოფ. რცხილათი (შორ. მაზ.)

— ჭირი ისევ გაჩნდა. ჩვენს თემში, ჩაილურის უბანში იყო საქონლის ჭირი, რომელიც სამაზრო ხელისუფლების დახმარებით, როგორც იყო, ჩავაქრეთ. ამ ბოლო ხანს ჭირმა კვლავ იჩინა თავი. თუ ახლავე არ იქნა მის წინააღმდეგ მიღებული ზომები, ჭირი თემს დიდ ზიანს მიაყენებს.

გ. თამაზაშვილი

მგლები

ამ სათაურით გაზეთ „კომუნისტი"-ს № 191-ში მოთავსებული იყო ცნობა, სადაც ვკითხულობთ: „სოფ. გლდანში (ავჭალის თემი) გამოჩნდნენ მგლები, რომლებმაც სულ მცირე ხნის განმავლობაში გაანადგურეს 40 სული საქონელი. იყო ასეთი შემთხვევებიც, რომ მგლები ადამიანებსაც დაესხენ თავს. გლეხები ითხოვენ, რომ მონადირეთა კავშირმა სასწრაფოდ მიიღოს ზომები მგლების მოსასპობად, ვინაიდან მათი თარეში დიდ საფრთხეს უმზადებს სოფლელებს". საქართველოში და საზოგადოთ, ამიერ-კავკასიაში, რომ მგლები დიდ ზარალს აყენებენ მოსახლეობას, ეს ყველამ იცის. ჯერ კიდევ 1924 წ. ცივს ზამთარში მგლები მოდგენ ჩვენს სოფლებს და საგრძნობი ზარალი მიაყენეს გლეხობას. მის შემდეგ ყოველ ზამთარს მგლები ხროვა-ხროვა ხან აქ გამოჩნდებიან, ხან იქ და მუსრს ავლებენ გლეხკაცობის საქონელს.

მგლებს მგლობა არ დაეძრახება, მაგრამ ზემომოყვანილ ცნობაში ისაა საგულისხმიერო, რომ მგლები ჯერ კიდევ ზაფხულის მიწურულშივე, მაშინ, როდესაც მინდვრათ და ტყეში საქონელიც [illegible] დოც მოიპოვება, ისიც არა სადმე მიყრუებ[illegible] გორც, მაგ., ხევსურეთი, პანკისის ხეობა, ან გუდამაყართა, არამედ ავჭალის თემში, რომელიც სულ რამდენიმე ვერსით თუ იქნება დაშორებული თბილისიდან. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ წელს ზამთარში მგლების თავდასხმა მასიურ ხასიათს მიიღებს და არა ერთი და ორი გლეხის ოჯახი იქნება ატირებული. ამიტომ, საჭიროა ამ მტაცებელ ნადირის წინააღმდეგ ამთავითვე წარმოებულ იქნას ბრძოლა, რომელსაც უნდა მიეცეს მეტი ორგანიზაციული ხასიათი.

მართალია, ჩვენი მეჯოგე-მეცხვარეები და გლეხებიც მგლებთან ბრძოლას აწარმოებენ, მაგრამ ეს ბრძოლა არის შემთხვევითი. ერთად ერთი ორგანიზაცია, რომელმაც უნდა იდოს თავზე ამ მტაცებელ ნადირთან ორგანიზაციული ბრძოლის მოწყობა, ეს საქ. მონადირეთა კავშირია. აღნიშნულ კავშირში 8.000 წევრია. მას შეეძლო და ეს მის მოვალეობასაც შეადგენს, რომ ჩვენი გლეხობისათვის მგლებისაგან განადგურების საფრთხე თავიდან აეცილებინა.

მაგრამ სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ ზემოხსენებულ ორგანიზაციას ჯერ არაფერი გაუკეთებია. მონადირეთა კავშირის წევრები მარტო იმას თუ თვლიან თავის მოვალეობად, რომ დრო-გამოშვებით ინადირონ ხოხბებზე, ხოჭოებზე, გარეულ ქათმებზე, ღორებზე, შველებზე და სხვა ძვირფასი ჯიშის ფრინველებსა და ნადირებზე. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მათ მოვალეობას კერძოდ, და მონადირეთა კავშირისას კი საერთოდ ისიც შეადგენდა, რომ ჩვენს გლეხურ მეურნეობას ააშოროს საფრთხე გარეულ მტაცებელ ნადირებისაგან.

ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ საქ. მონადირეთა კავშირის ყოველი წევრი თითო მგელს მაინც მოკლავს წლის განმავლობაში და ამით მოიხდის თავის მოვალეობას, როგორც საზოგადოებისა, ისე თავის კავშირის წინაშე; მონადირეთა კავშირის ის წევრი, რომელიც ვერ შესძლებს დახმარება გაუწიოს ჩვენს გლეხობას აღნიშნულ საქმეში, ღირსი არაა ატაროს მონადირის სახელი და ითვლებოდეს კავშირის წევრად. ვფიქრობთ, მონადირეთა კავშირი მიაქცევს ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას.

მ. ქამანაშვილი.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

არც ასეთი „მომჭირნეობა" ვარგა

თბილისის ოთხივე თამბაქოს ქარხანა — უმ. სამ. საბჭოს—ეკუთვნის.

შეიძლებოდა მათი მმართველი აპარატის გაერთიანება: ოთხი დირექტორის, ოთხი ფაბკომის მდივნის და ოთხი საანგარიშო პერსონალთა მაგიერ სავსებით საკმარისია ერთი დირექტორი, ერთი ფაბკომი, თუ კი ეს ფაბრიკები გაერთიანებული იქნებოდენ, როგორც ამას ფიქრობდენ ტრესტის ხელისუფლები რამოდენიმე წლის წინეთ.

ამის ნაცვლად შეგვიმცირეს მუშებს მოსაცემი პაპიროსის ნორმა.

იმავე „მომჭირნეობის მიზეზით" მოხსნილია სამუშაოდან ხუთი ძველი მუშა, რომელთაც 40 წლის ფიზიკური შრომის დამსახურება აქვთ. მოხსნილი — არიან იმის გამო, რომ აღარ არის საჭირო მათი სპეციალობა („უმუნდშტუკო" პაპიროსის დამზადება).

არც ასეთი „მომჭირნეობა" ვარგა.

მეთამბაქო—მუშა **ვარსიმაშვილი.**

რონოდები უქმად ცდება

სად. თბილისიდან ავჭალის მიმართულებით რკინისგზის ლიანდაგის ჩიხები დაჭერილია მრავალი რონოდებით, რომელშიაც ცხოვრობენ რკინისგზის მუშა-მოსამსახურეები. ამ რონოდებში მუშები აუტანელ მდგომარეობას განიცდიან. გარდა ამისა, ამოდენა რონოდების უძრავად გაჩერება ერთ ადგილზე საგრძნობ ზარალს აძლევს რკინისგზას. პასუხისმგებელი ამხანაგები და თვით მუშებიც ყოველთვის ამბობენ, რომ, მოძრაობა და სამანევრო მუშაობა ბრკოლდება, და საჭიროა ეს ლიანდაგები განთავისუფლებული იქნესო.

ეს სამართლიანიც არის, თუ კი რკინისგზის ადმინისტრაცია უშოვნის ყველა იქ მცხოვრებს ბინებს. დარჩენილ რონოდებს კი რკინისგზა წარმოებისათვის გამოიყენებს, და იმ ლიანდაგებში კი, სადაც მუშები სცხოვრობენ, ჩამოაყენებენ საბარგო მატარებელს, იქნება ის „სამარშრუტო" თუ სხვა. ეხლა კი — ხშირია, შემთხვევა, როდესაც სადგურზე ლიანდაგები დაკავებულია რამოდენიმე დღეებით, რაც ყოველ მხრივ საზარალოა.

რადიუმი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

საცალო ფასები და კოოპერაცია

საცალო ფასების დაკლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო თვით მომხმარებელი მასისათვის, საბჭოთა მანეთის კურსის განმტკიცებისათვის და ჩვენი მრეწველობის განვითარებისათვის. საცალო ფასების დაკლებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერატივის მუშაობის გამოცოცხლებისა და გაჯანსაღებისათვისაც.

ამის მაგალითი მოჰყავს მოსკოვის „ნაშა გაზეტა"-ს, რომელიც სწერს, რომ საცალო ფასების დაკლებისათვის გადადგმულ ნაბიჯებმა უკვე გამოიღო თავისი ნაყოფი. წერილში მოყვანილია მარიუპოლის ოლქის (უკრაინა) ერთი სოფლის კოოპერატივის მაგალითი.

„ყოველგვარ ხარჯების შემცირებამ, სწერს გაზეთი, საშუალება მისცა კოოპერატივს დაეკლო საცალო ფასები საქონელზე. მარტში, მაგალითად ზედნართი ხარჯები უდრიდა 18 პროცენტს, ეხლა კი 15 პროც., ზედნართი ხარჯი მანუფაქტურაზე შეადგენდა 20 პროც., ეხლა — 16 პროც.

გლეხებმა უკეთესი თვალით დაუწყეს ცქერა კოოპერატივს. გაიზარდა მათი ლტოლვა კოოპერატივისაკენ. ეხლა კოოპერაციაში გაერთიანებულია მთელი მოსახლეობის 65 პროც. ეს უთუოდ დიდი მიღწევაა, რადგან მეზობელ სოფლებში გაერთიანებულია 2—3 ნაკლები.

აშკარაა, რომ ასეთივე ზომები ჩვენს კოოპერატივებში, იმავე დადებით შედეგს გამოიღებდა, რომელზედაც მოგვითხრობს „ნაშა გაზეტა", ამისათვის საჭიროა, რომ კოოპერატივებმა მიიღონ გადამჭრელი ღონისძიებები საცალო ფასების დასაკლებად. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ საცალო ფასების დაკლება, სხვა უაღრესი მნიშვნელობის სარგებლობასთან ერთად, დიდათ სასარგებლოა თვით კოოპერატივების მუშაობის გამოცოცხლება - გამაგრებისათვის.

კოოპერაცია

ქვედა კოოპერატიული ქსელის გაერთიანება

მუშაობა დასავლეთ საქართველოს ქვედა კოოპერატიული ქსელის გასაერთიანებლად თითქმის დამთავრებულია. ამ სამი უკანასკნელი თვის განმავლობაში გაერთიანებულ იქნენ ქუთაისის, რაჭის, ლეჩხუმის, ზუგდიდის, სენაკის მაზრების ყველა საკრედიტო საზოგადოებანი და სასოფლო - სამეურნეო ამხანაგობანი მთლიან სასოფლო - კოოპერატიულ ორგანიზაციებად. ჯერ-ჯერობით დამოუკიდებელ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებად დარჩენ სვირის (ქუთაისის მაზრა) და ხვანჭკარის (რაჭის მაზრა) მევენახე-მეღვინეთა ამხანაგობანი. ზემოხსენებულ მაზრებში ყველგან დამთავრებულ იქნა გაერთიანებულ სასოფლო-კოოპერატიულ ორგანიზაციათა გამგეობების, სარევიზიო კომისიების და საბჭოების არჩევნები.

დასავლეთ საქართველოს ხუთს პუნქტში—ახუთში, ბახულახში, (ზუგდიდის მაზრა) ტობანიერში, სიმონეთში და სამტრედიაში (ქუთაისის მაზრა), წინად არ ყოფილან მოწყობილი საკრედიტო ამხანაგობები, ამიტომ ამ რაიონებში დარჩენ და განაგრძობენ მუშაობას სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები. ვინაიდან ზემოხსენებულ პუნქტების გარშემო მდებარე სოფლების მოსახლეობა დიდად საჭიროებს საკრედიტო ამხანაგობებს და საამისოდ რამდენიმეჯერ აღძრულია შუამდგომლობა, გადაწყვეტილია, რომ ამ ახლო მომავალში იქ არსებულ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს დაეკისროთ საკრედიტო ფუნქციებიც, რისთვისაც მათ მიეცემათ კრედიტები.

„სოფლის კავშირში"

საორგანიზაციო ბიურო

„სოფლის კავშირი"-ს საორგანიზაციო ბიურო დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. მოწონელიძე (თავმჯდომარე), ზუხბაიძე და ჩხეიძე (წევრები).

კოოპერატიულ ქსელის აღორძინება

„სოფლის კავშირის" საორგანიზაციო ბიურომ შეუდგა ადგილობრივ სოფლად არსებულ კოოპერატიულ ამხანაგობათა მუშაობის და მათ ახალ კავშირში შესვლის საკითხის შესწავლას. ბიურო არკვევს ძირითად კოოპერატიულ ქსელის აღორძინების საკითხს, რომელზედაც მომავალში უნდა დაემყაროს „სოფლის კავშირი". საორგანიზაციო ბიურო შეუდგა აგრეთვე იმის გამორკვევას, შევლენ თუ არა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები მომავალ კავშირის სისტემაში.

აღნიშნულ მუშაობის ჩატარების შესახებ მოხდება კავშირის ძირითადი წესდების გამომუშავება.

მატყლის დამზადება

„სოფლის კავშირი" შეუდგა შემოდგომის მატყლის დამზადებას. „სოფლის კავშირი" ამზადებს 37.000 ფუთ მატყლს, რომელიც გადაეცემა აქციონერთა საზოგადოებას, „მატყლს".

ხილის ექსპორტი

„სოფლის კავშირი" ამ დღეებში ხელშეკრულებას სდებს ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობასთან 40.000 ფუთი ხილის დამზადების შესახებ. ხილი დამზადებული იქნება უმთავრესად ქართლ-კახეთში.

თხილის ექსპორტი

„სოფლის კავშირმა" ხელშეკრულება დასდო ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობასთან 40.000 ფუთი თხილის დამზადების შესახებ. თხილის დამზადება უკვე დაიწყო.

საზ. „მწყემს"-ში

ხორცი

საქართველოს მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსი"-ს თბილისის გამსაღებელი პუნქტი ამჟამად აწარმოებს სახორცე საქონლის შეძენას. თბილისში ამჟამად მარაგშია ბაზრისათვის ათი დღის განმავლობაში საჭირო სახორცე საქონელი. საქონლის შესყიდვა სწარმოებს ახალქალაქის, ლენინაკანის და ყარაიაზის რაიონებში. საქონელს ჩამორეკენ ყოველკვირეულად. ყოველკვირეულათ ჩამოჰყავთ 500 სული წვრილფეხი და ამდენივე მსხვილფეხი საქონელი.

თბილისის ბაზარზე ხორცის ფასები მტკიცდება.

ერბოს შეძენა

საქ. მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემს"-მა მიავლინა თავისი წარმომადგენელი საქ. შინაგან ვაჭრობის კომისარიატის საშუალებით ოსმალეთში ერბო-ყველის და კარაქის დასამზადებლად, თბილისის ბაზრისათვის.

მევენახეთა ყრილობა

მოკლე ხანში მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი კახეთში იწვევს სპეც-მევენახეთა ყრილობას. ყრილობას აგრეთვე დაესწრებიან გამოცდილი აგრონომები და მომუშავე გლეხები. ყრილობა განიხილავს მეტად საყურადღებო საკითხებს: 1) ფილოქსერისაგან მომსპარ ვენახების აღდგენის მუშაობის შედეგები, 2) ნამყენი ვაზის გამოყენება საბოზრებში და ჩვეულებრივის წესით, 3) ვენახების და ამერიკული ვაზის სანერგეების დამუშავების მექანიზაცია და მოსავლის გადიდება, 4) კოოპერაცია და მევენახეობა, 5) სესხი მევენახეობაში, 6) სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლა, 7) მევენახეობის ინსტიტუტი და მიმდინარე საკითხები.

94.764.000 მანეთი ა.-კ. ადგილობრივ მეურნეობისათვის

ყველა ის თანხები, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტს ეძლევა (შემოსავალი ყოველგვარ ქონებიდან, ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან, დამატებები სახელმწიფო გადასახადებზე და ამონაღებზე, გადასახადები შეზიდულ და გაზიდულ ტვირთებზე, გადასახადები და ამონაღები სხვადასხვა ნაშენობებზე და სხვა) არ არის საკმარისი ადგილობრივი მეურნეობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ადგილობრივი ბიუჯეტი მხოლოდ მაშინ გახდება უდეფიციტო, თუ კი იგი დაეყრდნობა მრეწველობის ან სასოფლო მეურნეობის განვითარებით შექმნილ მტკიცე ბაზას.

სწორედ აქეთკენ არის სახელმწიფოს მთელი გულისყური მიპყრობილი, რასაც შემდეგი ციფრები მოწმობენ.

1924-25 წელს ამიერ-კავკასიაში ადგილობრივი ბიუჯეტის მიხედვით დახარჯულ იქნა სულ 44.905.761 მანეთი. ამ თანხიდან სახალხო განათლებას მოხმარდა—8.865.100 მანეთი, სახალხო ჯანმრთელობას—5.735.300 მანეთი, კომუნალურ წარმოებებს—6.627.500 მანეთი. ადგილობრივ მეურნეობას—5.091.900 მანეთი, საგზაო მშენებლობას—334.000 მან., სამხედრო უწყებას—568.500 მან., სასოფლო მეურნეობას—1.128.800 მან. სულ ამ საქმეებს მოხმარდა—28.352.000 მან. ამავე მიზნებისათვის 1925—26 წელს გათვალისწინებული იყო 37.482.000 მანეთი. ე. ი. ადგილობრივი მეურნეობის აღსადგენად გაღებული თანხების ჯამი გადიდებულია 9.130.000 მანეთით ანუ 32%-ით.

ა.-კ. რესპუბლიკების ადგილობრივი მეურნეობის აღსადგენად ა.-კ. საგეგმო კომისიამ ა.-კ. სახ. კომ. საბჭოში დასამტკიცებლად წარადგინა გეგმა და მოთხოვნა 95.764.000 მანეთის რაოდენობით. ეს თანხა რესპუბლიკებს შორის შემდეგნაირად არის განაწილებული. საქართველოს უნდა მიეცეს—36.947.000 მანეთი, აზერბეიჯანს—41.730.000 მანეთი, სომხეთს—17.087.000 მანეთი.

ადგილობრივი მეურნეობის ცალკე დარგებს შორის ზემოხსენებული თანხა ასე იქნება განაწილებული: 1) სახალხო განათლებას მოხმარდება—24.870.000 მანეთი, 2) სახალხო ჯანმრთელობას—13.196.000 მანეთი, 3) კომ[illegible] წარმოებებს—21.500.000 მანეთი, 4) [illegible]ლურ მეურნეობას—28.000.000 მანეთი, 5) [illegible]ბის გაყვანას და მოწყობას—7.550.000 მანეთი, 6) სამხედრო უწყებას—1.014.000 მანეთი, 7) სასოფლო მეურნეობას—3.834.000 მანეთი, 8) [illegible]—800.000 მანეთი.

ჩვენი მშენებლობა

ქაღალდის ქარხანა

საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობით, ქაღალდის ქარხნის პროექტის შედგენა უკვე დამთავრებულია.

შემუშავებულია ქარხნის პროექტის ორი ვარიანტი.

პროექტი დამუშავებულია საბჭოთა კავშირის ქაღალდის სამრეწველოს საბჭოს მიერ ქარხანა აგებული იქნება შამგონის მიდამოებში (ზუგდიდის ახლოს), სადაც უხვად იშოვება ქაღალდის ქარხნისათვის საჭირო ხის მასალა.

ქარხანა წლიურათ დაამზადებს ერთ მილიონ ფუთ სხვადასხვა ხარისხის ქაღალდს.

ამჟამად სწარმოებს ქარხნის ასაგებად საჭირო მასალების: ცემენტის, რკინის ნაწილების და სხვ. შეძენა.

მაუდის ქარხანა

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობით, პროფ. სუვოროვმა დაასრულა თბილისის მაუდის ქარხნის პროექტის შედგენა.

ამ ახლო ხანში დაიწყება ქარხნის საძირკვლის ჩაყრა.

1926 წლის განმავლობაში აგებული იქნება ქარხნის შენობა და დამზადებული იქნება ქარხნის მოწყობილობა.

საბოლოოდ ქარხანა მოწყობილი იქნება 1927 წლის დამლევისათვის.

წლიურად ქარხანა დაამუშავებს 60 ათას ფუთ. მატყლს, რომლისაგან დამზადებული იქნება საკმაო საქონელი და მაუდი.

ამჟამად ჩქარი ტემპით სწარმოებს ქარხნისათვის დამხმარე შენობების (საწყობების, ფარდულების და სხვ.) აგება.

აბრეშუმის პარკი

აბრეშუმის პარკის დამზადების კამპანია წარმატებით დამთავრდა. გეგმის მიხედვით განზრახულ იყო 110 ათასი ფუთი ნედლი პარკის დამზადება, ნამდვილათ კი შესყიდულ იქნა 127.037 ფუთი და 19½ გირ. ნედლი პარკი, ე. ი. 17.037 ფ. და 19 გირ.-ით მეტი.

საერთო ღირებულება შესყიდულ პარკისა უდრის 2.719.535 მან. 56 კაპ.

აღნიშნულ რაოდენობის პარკის დასამზადებლად ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გასცა 2.538.134 მან. 84 კაპ. და აქედან მეაბრეშუმეთ მიეცათ 2.507.785 მანეთი, ხოლო ნაშთი პარკის საერთო ღირებულებიდან დაკავებულ იქნა აბრეშუმის თესლის საფასურში.

აბრეშუმის თესლის დამამზადებლებს მიეცათ 2.322 ფ. 22 გირ. ნედლი პარკი; გაიგზავნა სამტრედიაში 9.966 ფ. 13½ გირ. და ხონში—1.037 ფ. 11 გირ. პუნქტებზე დარჩენილია კიდევ 114.714 ფ. 37½ გირ. ნედლი პარკი.

მელიორაცია

ბორჩალოს მაზრის სარწყავი არხები

ბორჩალოს მაზრის სარწყავი არხები, რომელიც არ შეკეთებულან და არ გასუფთავებულან 10—15 წლის განმავლობაში, სრულიად გაფუჭდენ. არხების ნაწილობრივი შეკეთება დაიწყო ამ ორი წლის წინედ. მუშაობას არხების მოსაწესრიგებლად აწარმოებდენ ადგილობრივი გლეხები და აგრეთვე საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო. არხები შეკეთებულ იქნენ, თუმცა მათ სრულ აღდგენას ჯერ კიდევ დიდი ფული და შრომა ესაჭიროება. მოიშალნენ და გაფუჭდენ აგრეთვე აკვედუკები (მილ - ღარები) მდინარეებზე. განსაკუთრებით ძალიან დააზარალა ისინი განვლილ ზაფხულში ხშირმა ნიაღვრებმა და წყალდიდობამ. ამ ერთი თვის წინედ საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველომ დაამთავრა რკინა-ტანაბის აკვედუკის აგება მდ. ხრამზე. აკვედუკის სიგრძე უდრის 36 მეტრს. აგება დაჯდება 28 ათასი მანეთი. ეს აკვედუკი აგებული იქნება მეორე აკვედუკის ნაცვლად, რომელიც ხისგან იყო გაკეთებული, ამ 25 წლის წინედ და სრულიად დალპა.

გაფიცვა

ინდო-ევროპიულ ტელეგრაფზე

მთავარ საგაფიცვო კომიტეტის დეპეშა

ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტის სახელზე ოდესიდან მიღებულია მთავარ საგაფიცვო კომიტეტის შემდეგი დეპეშა:

„გაფიცვა ნორმალურად მიმდინარეობს. მუშაკთა სულიერი განწყობილება საუკეთესოა. მიუხედავათ ადმინისტრაციის თხოვნისა, რომ კერჩის კაბელის შესაკეთებლად მუშაობას შესდგომოდენ, გაფიცვის კომიტეტმა დაადგინა არ იმუშაონ.

გაფიცვის კომიტეტს უამრავი დეპეშები მოსდის ადგილობრივ ორგანიზაციებიდან, სადაც „ინდო"-ს მუშაკებს გამარჯვებას უსურვებენ და სრულ დახმარებას პირდებიან.

10.000 მანეთი, რომელიც ფოსტა-ტელეგრაფის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოგვზავნა, დღეს მივიღეთ. ხვალ ტელეგრაფის საშუალებით ფულს გადავუგზავნით ადგილებზე.

საგაფიცვო კომიტეტს ცნობები აქვს, რომ [illegible] ინახულა [illegible], [illegible] საგაფიცვო კომიტეტმა უარი სთქვა მიმდინარე საკითხების განხილვაზე. კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად ოდესაში. ნამდვილათ, კი, კომპანიის მიერ ოფიციალურად დასმულ საკითხებს იხილავს საგაფიცვო კომიტეტი და ზედმეტად სთვლის კომპანიის წარმომადგენლის პიროვნულ დასწრებას საგაფიცვო კომიტეტის სხდომებზე".

საღამო გაფიცულების სასარგებლოდ

სამშაბათს, 31 აგვისტოს, ფოსტა-ტელეგრაფის კლუბში, „ინდოს" მუშაკთა ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტის მიერ, გაფიცულთა სასარგებლოთ ეწყობა დიდი საღამო-[illegible].

საღამოს მთელი შემოსავალი გადაიდება ამიერ-კავკასიაში გაფიცულ „ინდოს" მუშაკთა სასარგებლოთ.

დახმარება არა—კავშირის წევრებს

მოსკოვი, 26 აგვისტო. ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ცენტრ. კომიტეტმა საგაფიცვო კომიტეტს მისცა შემდეგი დირექტივა: კავშირის არა წევრებს. რომლებიც გაფიცვაში მონაწილეობას იღებენ მიეცემათ დახმარება იმავე რაოდენობით, რაც ეძლევა კავშირის წევრებს.

გზატკეცილებისათვის

ა.-კ. ტრანსპორტის სამმართველოს წინადადებით გზატკეცილების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შემოღებულ უნდა იქნეს ავტოტრანსპორტის მიზნობრივი დაბეგვრა.

ავტომობილით მიმოსვლის განვითარება გზატკეცილების მდგომარეობაზეა დამოკიდებული. საქართველოში ამ გზების მდგომარეობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ის თანხები, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან იხარჯება საგზაო აღმშენებლობისათვის არაა საკმარისი იმისათვის, რომ შესრულებულ იქნას გზების გაყვანისა და მათი შეკეთებისათვის აუცილებელი სამუშაო.

გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა ადგილობრივი ტრანსპორტის ამიერ-კავკასიის სამმართველომ, აღძრა საკითხი, რომ საგზაო აღმშენებლობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად გამონახულ იქნას ახალი შემოსავლის წყარო. ამიერ-კავკასიის ტრანსპორტის სამმართველო იძლევა წინადადებას, რომ შემოღებულ იქნას ავტოტრანსპორტის მიზნობრივი დაბეგვრა და ამ დაბეგვრისაგან მიღებული თანხები დაიხარჯოს მხოლოდ და მხოლოდ გზატკეცილების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამიერ-კავკასიის ტრანსპორტის სამმართველოს მიერ გამომუშავებული ავტოტრანსპორტის დაბეგვრის წესი ასეთია: სახელმწიფო კომერციულ ავტო-ტრანსპორტისათვის დაწესებულ უნდა იქმნას საბარგოსათვის—0,84 კაპ. ყოველ ტონა—კილომეტრზე და მსუბუქ ავტომობილებისათვის—3,36 კაპ. სახელმწიფო მანქანების სხვა კატეგორიებისათვის და აგრეთვე კერძო ავტო-ტრანსპორტისათვის უნდა უდრიდეს 70-დან 14 მანეთამდე წელიწადში. ბარგის ავტომობილებისათვის კი—25-დან 75 მანეთამდე.

ამ დაბეგვრიდან ამ.-კავკ. ტრანსპორტის სამმართველოს გამოანგარიშებით შეიძლება მიღებულ იქმნას 440.000 მანეთი წელიწადში.

საქართველოს სახელმწ. საგეგმო კომისიამ, რომელსაც გადაეცა [illegible] ამ.-კავკ. ტრანსპორტის სამმართველოს წინადადება, საერთოდ მისაღებად სცნო იგი. სახელმწიფო საგეგმო კომისიის აზრით, მართლაც საჭიროა დამატებითი თანხების გამონახვა ჩვენი გზატკეცილების აღსადგენად, ამ დაბეგვრიდან მიღებული თანხები უნდა გადაეცეს გზა-ტკეცილების სამმართველოს და დაიხარჯოს მხოლოდ საგზაო აღმშენებლობის საჭიროებისათვის.

წყალსადენი სოფლად

მუკუზანის წყალსადენი

22 აგვისტოს მოხდა მუკუზანის წყალსადენის საზეიმო გახსნა. წყალსადენის გაყვანა დაიწყო 1925 წ. შემოდგომაზე და გაგრძელდა მიმდინარე წლის აგვისტოს შუა რიცხვამდე. წყალსადენი სასმელ-სახმარებელ წყალს აძლევს სამ რაიონს—ურიათ-უბნის, მუკუზანის და შაშიანის რაიონს, სადაც დაახლოვებით 1.500 კომლი სცხოვრობს.

წყალსადენი რომელიც გამოყვანილ იქნა სოფელ მაშიანის ახლად აღმოჩენილ წყაროებიდან, სიგრძით ორ ვერსს უდრის. წყლის დებეტი იმდენად დიდია, რომ დღე-ღამეში შეუძლია მიაწოდოს მოსახლეობას 30 ათასი ვედრო წყალი. წყალსადენის გაყვანა დაჯდა 25 ათასი მანეთი. ეს თანხა ნაწილობრივ შეგროვილ იქნა მცხოვრებლებს შორის, ნაწილობრივ კი სესხად იქნა აღებული. წყალსადენის გამოყვანამდე ამ რაიონის გლეხობა სრულიად მოკლებული იყო წყალს და იძულებული ხდებოდა 10—15 ვერსის მანძილიდან ეზიდა წყალი.

წყალსადენი ზედა-შუხუთში (გურია)

ზედა-შუხუთის გლეხობას გაჰყავს წყალსადენი, რომლის მთავარი მაგისტრალი გაივლის სოფლის ყანებზე.

წყალსადენის სიგრძე იქნება 3—3,5. ამჟამად სოფელი მოკლებულია სად სახმარებელ წყალს. განსაკუთრებით აუტანელი ხდება უწყლობა საზაფხულო მუშაობის დროს იმ ადგილას, სადაც წყალსადენის მაგისტრალი თავდება, შენდება აუზი და გამოსადენი ონკანი. გარდა ამისა შუა სოფელში წყალსადენს ექნება კიდევ ორი ონკანი. წყალსადენი გამოჰყავთ მთიან ადგილიდან, საიდანაც წყალი თვითდინებით მოდის მილებში.

აფხაზეთის კურორტები

აფხაზეთის სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები ყოველ წლიურად იზიდავენ ათასობით ავადმყოფებს და დასვენების მსურველთ. მიუხედავათ იმისა, რომ კურორტების აღორძინება გასაბჭოების შემდეგ სწრაფი ნაბიჯით მიმდინარეობს, აფხაზეთის კურორტთა სამმართველო მაინც ვერ აკმაყოფილებს მთელს მოთხოვნილებას, რომელიც უხვათ მოდის საბჭოთა რესპუბლიკების სხვადასხვა კუთხეებიდან. კურორტთა სამმართველო ხშირათ იძულებული ხდება ამ მოთხოვნილებებზე [illegible]რით უპასუხოს. ვერ კმაყოფილდებიან სათანადო ბინით ცალკ-ცალკე მომავალი ავადმყოფებიც. მათ უხდებათ კერძო ბინების დაქირავება, რაც მეტათ ძვირი ჯდება.

ამიტომ აფხაზეთის კურორტთა სამმართველო თავის უახლოეს ამოცანათ ისახავს სანატორიუმების სრულ აღდგენას და საბინაო ფონდის გაფართოებას. 1926-27 წლის გეგმაში, რომელიც წარმოდგენილია აფხაზეთის კურორტთა სამმართველოს მიერ საქართველოს საგეგმო კომისიაში, დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ის სამუშაოები, რომლებიც უნდა ჩატარდეს საკურორტო აღმშენებლობის დარგში პირველ რიგში. ამ სამუშაოთა რიცხვში შედის უმთავრესათ არსებულ სანატორიუმების, დასასვენებელ სახლების და ბინების რემონტი და გაფართოება, გზების შეკეთება, საკურორტო ადგილების კეთილმოწყობა და სხვა. გეგმის შესასრულებლად აფხაზეთის კურორტთა სამმართველო ითხოვს 1926-27 წლისათვის 901.636 მანეთს.

გეგმას ამ ჟამათ იხილავს საქართველოს საგეგმო კომისიის საამშენებლო სექცია, რომელიც ახლო მომავალში თავის დასკვნით გადასცემს მას ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს დასამტკიცებლათ.

გამოკვლევა

შრომის პირობების გამოკვლევა სპილენძის სატკეც ქარხანაში

— გამოკვლევას ხელმძღვანელობს ქიმიკოსი **ბარნაბიშვილი.**

— გამოკვლევის მიზანია გამოარკვიოს, თუ როგორ მოქმედობს ნახშირბადის ჟანგი მუშის ორგანიზმზე და რამდენი პროცენტი ნახშირბადის ჟანგი მოიპოვება ქარხანაში.

— ნახშირბადის ჟანგი მეტად შხამიანი ნივთიერებაა.

მუშა და გლეხ-კორესპონდენტების დასაცავად

ცირკულიარულად.

ოლქის პროკურორებს, ყველა პროკურორის თანაშემწეებს და გამომძიებლებს.

ასლი: უზენაეს სასამართლოს, ოლქისა და სახალხო სასამართლოებს.

შემჩნეულია, რომ მუშა, სოფლის და კედლის გაზეთის კორესპონდენტების მოღვაწეობა სხვადასხვა გვარი დანაშაულის გამომჟღავნება-გამხილების საქმეში იწვევს დევნას ბნელი ელემენტების მხრივ, რომელნიც ხშირად დანაშაულებრივად ილაშქრებენ მუშა და სოფლის კორესპონდენტების წინააღმდეგ. ცრუ-მოწმეთა ჩვენებით და ყალბი ცნობების საშუალებით ათხზავენ კორესპონდენტების წინააღმდეგ, მათი მოღვაწეობის გასაბათილებლად, აშკარად ტყუილ, სახელგამტეხ ბრალდებას, მეორე მხრივ შემჩნეულია ისიც, რომ მუშა და სოფლის კორესპონდენტების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმე გვიანდება მოკვლევით და გამოძიებით, არ არის საკმაოდ დაცული მიუდგომლობა, გახმაურებულია ხშირად მუშა და სოფლის კორესპონდენტების ვინაობა და ბევრი სხვა ამგვარი. მუშა და სოფლის კორესპონდენტების მოღვაწეობა კი მოითხოვს ისეთ პირობებს, რომ შეეძლებოდეს ნორმალური მუშაობა, მით უფრო ამჟამად, მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში გატარების ხანაში. მომჭირნეობის რეჟიმთან დაკავშირებული საკითხების სწორი გაშუქება პრესაში, მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში გატარების დროს შემჩნეულ ყოველივე იმ არანორმალურ გადახვევა-გადახრების გამოაშკარავება, რომლებიც ხშირად პირდაპირ საწინააღმდეგო შედეგს იძლევიან, მოითხოვს მუშა და სოფლის კორესპონდენტებისაგან გაცხოველებულ მუშაობას, და თუ საამისოდ შესაფერი პირობები იქნება შექმნილი, კორესპონდენტების მოღვაწეობა დიდ დახმარებას გაუწევს ხელისუფლების სათანადო ორგანოებს მომჭირნეობის რეჟიმის ცხოვრებაში სწორად გატარებისათვის ზედამხედველობის გაწევის დარგში.

ზემოაღნიშნულის გამო და დამატებად იუსტიციისა და შინაგან-საქმეთა სახალხო კომისარების 1926 წ. აპრილის 12-ის № 18-34 ცირკულიარისა წინადადება გეძლევათ:

1. პროკურატურის ორგანოებმა გაუწიონ სისტემატიური ზედამხედველობა იმას, რომ მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მიმართ ჩადენილი დანაშაული ყოველთვის იქნეს გამორკვეული და განხილული და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან ასეთი საქმეების შეყოვნება და გაჭიანურება.

2. თვალყური ადევნოთ, რათა აღნიშნული საქმეების მოკვლევა და გამოძიება შეძლებისდაგვარად, ყოველ ცალკე შემთხვევაში, ევალებოდეს მოკვლევისა და გამოძიების უფრო კვალიფიცირ მუშაკებს, საპროკურორო ზედამ-

3. უკეთუ მუშა და სოფლის კორესპონდენ-

3. უკეთუ მუშა და სოფლის კორესპონდენტების მიმართ ჩადენილი დანაშაული მეტად მძიმეა და დიდი საზოგადოებრივი ან პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, საპროკურორო ზედამხედველობის ორგანო უნდა გაემგზავროს ადგილზე და უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს გამოძიებას.

4. თვალყური ადევნოთ, რათა ერთის მხრივ გამოძიების პროცესში მუშა და სოფლის კორესპონდენტები ზედმეტად არ იყვნენ დაბარებული და განმეორებით დაკითხული, ის კორესპონდენტები კი, მეორე მხრივ, რომელნიც გამოძიების ადგილთან დაშორებით ცხოვრობენ, სრულიად არ იყვნენ გამოწვეული, მხოლოდ მათი დაკითხვა ევალებოდეს უახლოეს გამომძიებელს ან მოკვლევის ორგანოს.

5. კორესპონდენტის მოწმედ დაბარება მის მიერ პრესაში გამოქვეყნებული ცნობის გამომორკვევა-გამოკვლევის დროს, შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებლად საჭირო იქნება, და ამასთან ყოველ ცალკე შემთხვევაში მთავლყურე პროკურორის თანაშემწის ნებართვით; ხოლო ჩვეულებრივი წესისამებრ გამოძიება ისე უნდა სწარმოებდეს, რომ კორესპონდენტის ვინაობა არ იყოს გამჟღავნებული.

6. სასამართლოს მიერ აღნიშნულ საქმეთა გადაწყვეტის დროს ფართოდ იქნას გამოყენებული საზოგადო ბრალმდებელთა ინსტიტუტი.

7. საჭიროდ მიგვაჩნია რა მუშა და სოფლის კორესპონდენტების მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამოკვლევა, ამასთან ერთად ვდასტურებ, რომ ამ დანაშაულის საქმე უნდა გამოძიებულ იქნეს სრული მიუდგომლობით და ისე, რომ გამოძიებამ, ყოველ ცალკე შემთხვევაში, გამოარკვიოს და პასუხისგებაში მისცეს ნამდვილი დამნაშავე და არ შექმნას ხელოვნური, უნიადაგო ბრალდება. ამასთანავე წინადადებას გაძლევთ განსაკუთრებული სიფრთხილით მოიქცეთ კორესპონდენტების წინააღმდეგ, მათი კორესპონდენტო მუშაობის გამო, სისხლის სამართლის წესით დევნის აღძვრის დროს. კერძოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მუშა და სოფლის კორესპონდენტებს ბრალათ ცილის წამება ედებათ, უნდა იქონიოთ მხედველობაში, რომ ასეთი ბრალდების საფუძვლად შეიძლება იყოს არა ყველა ცნობა კორესპონდენტისა, რომელიც შემდეგში არ დამტკიცდა და ყალბი აღმოჩნდა, არამედ მხოლოდ წინასწარი შეგნებით ყალბი ცნობის მოწოდება, როდესაც ცნობა შემდეგში არ დამტკიცდება, ეს, ყოველ ცალკე შემთხვევაში, უნდა ეცნობოს სათანადო რედაქციას.

8. როგორც ოლქის, ისე მაზრის პროკურორებმა აწარმოონ მუშსოფკორების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულისა და აგრეთვე პრესაში გამჟღავნების გამო აღძრულ საქმეთა სწორი აღრიცხვა. ამასთანავე ერთად ოლქის პროკურორებმა მუშ-სოფკორების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ყველა შემთხვევა უნდა თავის დროზე აცნობონ იუსტიციის სახალხო კომისარიატის საპროკურატურო განყოფილებას.

9. მუშსოფკორის წინააღმდეგ დანაშაულებრივ ხელყოფის კვალიფიკაციის დროს საჭიროა იქონიოთ მხედველობაში, რომ:

ა) მუშსოფკორის მკვლელობას ან მკვლელობის ცდას კვალიფიკაცია უნდა ექნას სისხ. სამ. კოდ. 64 ან 147 მუხლისამებრ, იმისდამიხედვით, ჩადენილი იყო დანაშაული კორესპონდენტის საკორესპონდენტო მუშაობასთან დაკავშირებით, თუ უამისოდ.

ბ) უკანონოდ დაპატიმრებას, მუშ[illegible]კორის იძულებით მოყვანას სათანადო თანამდებობის პირის მხრივ კანონიერ დახმარებაში ან დაცვაში უარის თქმას კვალიფიკაცია უნდა ექნას სისხ. სამ. კოდ. 115 და 110 მუხლებისამებრ.

გ) თანამდებობის პირთა მიერ კორესპონდენტის ვინაობის ან მათთვის გამოსაძიებლად მოწოდებული ცნობის შინაარსის გამჟღავნებას, კორესპონდენტთა წერილების გამორკვევის კანონიერ წესის გარეშე, დამალვას და მოსპობას მუშსოფკორის წერილებისას კვალიფიკაცია უნდა ექნას სისხ. სამ. კოდ. 107 ან 110, 109 მუხ. 1 ნაწ. და 95 მუხლებისამებრ.

დ) ცილისწამების მიზნით ტყუილი ხმების გავრცელებას, წინასწარი ცნობით ყალბ დაბეზღებას, როგორც მუშსოფკორების წინააღმდეგ, ისე ამ უკანასკნელთა მიერ, კვალიფიკაცია უნდა იქნას შესაფერისად სისხ. სამ. კოდ. 181, 184—186 მუხლებისამებრ.

ე) უკეთუ მუშსოფკორს დაემუქრება ვინმე, პირად მის ან მისი მახლობლების წინააღმდეგ ძალის ხმარება ან ქონების განადგურებას, რათა ამით ხელი აალებინონ მას კორესპონდენტულ მუშაობაზე საერთოდ, ან ცალკე გამოსვლებზე, დამნაშავე მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხ. სამ. კოდ. 9 და 200 მ.მ. ძალით.

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე და რესპუბლიკის პროკურორის თანაშემწე **ქ. ოკუჯავა.**

დახმარება ინგლისელ მემაღაროელებს

8.665 მან. საქართველოს სამთა-მადნო მუშებისგან,

ინგლისის გაფიცულ მუშების დასახმარებლათ სამთა-მადნო პროფკავშირმა შეაგროვა თავის წევრებს შორის მაისის, ივნის და ივლისის განმავლობაში შემდეგი თანხები:

ჭიათურაში. შეგროვილია ყ. კარტოს მაღაროების მუშებში—2979 მ. 39 კაპ., ყ. ფორუდის მუშებში—510 მ. 30 კაპ., სვანიშვილის მაღარქარხნის მუშებში—419 მ. 30 კაპ., შავიქვის მტვირთველ მუშებში—316 მ. 50 კაპ., ჯარბენის ღელის ქარხნის—241 მან. 42 კაპ., ობაბარებში მომუშავეებში—222 მან. 21 კაპ., გაერთიანებულ ადგილკომში—150 მან. 27 კაპ., ჭიათურის მუშებში—127 მან. 10 კაპ., ცენტრალურ გამგეობის თანამშრომლებში—118 მან. 07 კაპ., გელზენკინხერის მუშებში—116 მან. 35 კაპ., ზედა რგანის მუშებში—63 მან. 64 კაპ., **ტყიბული.** ტყიბულის მუშებში—1310 მან., **აჭარისტანში.** —443 მან., **ქირულაში.** ძირულის ქარხანა-მაღარ. მუშებში—147 მან. 35 კაპ., გაღებულია ცენტრალურ გამგეობის მიერ თავის თანხებიდან—1000 მან., სამთა-მადნო კავშირის აჭარისტანის განყოფილებისაგან—500 მან. სულ 8.6665 მან. 41 კაპ.

ამ თანხებიდან 6443 მან. წინათ გადაეცა საქ. პროფსაბჭოს და დანარჩენი 2222 მან. და 50 კ. გადაეცა პროფსაბჭოს 25 აგვისტოს 1926 წელს.

სოფლის მუშაკების უზრუნველყოფა

მასწავლებლობის და საექიმო პერსონალის ნივთიერი უზრუნველყოფისათვის

სოფლის მოსახლეობის კულტურული და საექიმო მოთხოვნილების დაკმაყოფილების და აგრეთვე პედაგოგიური და მედიკური პერსონალის სასოფლო მუშაობაში მოზიდვის მიზნით, ა.-კ. პროფკავშირთა საბჭომ მიმართა სახ. კომისართა საბჭოს შუამდგომლობით—გამოსცეს ამ საკითხის შესახებ შემდეგი ხასიათის დადგენილება:

1) უზრუნველყოფილ იქნეს მასწავლებლებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე სასწავლებლების შენობასთან ბინები გათბობით და განათებით; იმ შემთხვევაში თუ ბინები არ იქნება, დაწესებულ იქნეს დამატებად ძირითადი ხელფასის 10%, 2) უზრუნველყოფილ იქნეს მასწავლებელთა სამაზრო, სარაიონო და საუბნო კონფერენციებზე დასასწრებლად გაწეული ხარჯების დაფარვა, 3) უზრუნველყოფილ იქნეს სოფლის სკოლების მასწავლებელთა შვილების ყველა სასწავლებლებში მიღება თანაბრად მუშათა და გლეხთა შვილებისა, 4) განმტკიცებულ იქნეს სოფლის მასწავლებლობისათვის ორთვიანი შვებულება.

სოფლად მომუშავე მედპერსონალის მიმართ ა.-კ. პროფსაბჭო, გარდა მისი ბინით, განათებით და გათბობით უზრუნველყოფისა, საჭიროდ სცნობს უზრუნველყოფილ იქნეს იგი გადასაზიდი საშუალებებით და სპეცტანსაცმელით.

შრომის კანონთა კოდექსის თანახმად სოფლად გაწვეულმა მუშაკებმა უნდა მიიღონ დღიურები და სამგზავრო ხარჯების დასაფარავი თანხა. საექიმო დარგის მუშაკს, რომელსაც სოფლად უმუშავია არა ნაკლებ 3 წლისა, ეძლევა უპირატესობა დაიჭიროს სათანადო თანამდებობანი ქალაქის სამკურნალო-სანიტარულ დაწესებულებებში.

საექიმო დარგის იმ მუშაკთა შვილებს, რომელთაც სოფლად სამს წელზე ნაკლები არ უმუშავიათ, ეძლევათ შეღავათები სასწავლებლებში შესვლის დროს.

ხელფასი 1926—27 წლისათვის

უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების მიერ ხელფასის მოწესრიგების გატარების გადადების გამო, ამ.-კავკ. პროფსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს, დაიცვან 1926—27 წლისათვის 1925—26 წლის ფაქტიურად არსებული ხელფასის დონე და [illegible]ასის საერთო ფონდების რაოდენობა; რესპუბლიკების პროფსაბჭოებსვე ევალებათ ეცადონ გადაადებიონ ხელისუფლების ორგანოებს სპეციალური თანხები ზედმეტი სამუშაოების, შვებულებების, დროებით შვებულებაში წასულ პირთა თანამდებობის შემსრულებლების გასასტუმრებლად, სპეცტანსაცმლის შესაძენად და სხვა...

სესხი

მეორე სახელმწიფო 6 % მოგებიანი სესხი

1—4 სექტემბერს ა.-წ. მოსკოვში მოხდება მორიგი მეექვსე გათამაშება (ტირაჟი) მეორე სახ 6% მომგებიანი სესხისა.

ამ გათამაშებაში მონაწილეობას იღებს აღნიშნულ სესხის 15 სერია ,ე. ი. 1-დან—4-ს თანდართვით და 10-დან—20-ს თანდართვით. სულ გათამაშდება 7138 მოგება საერთო ჯამით 750.000 მანეთისა. ამათში იქნება:

6378	მოგება	თითო—50	მანეთისა
2556	„	„— 100	„
105	„	„— 500	„
93	„	„—1.000	„
6	„	„—5.000	„

ამ მოგებათა ოფიციალური ცხრილი გამოქვეყნებული იქნება გაზეთებში.

ა.-კ. საგეგმო კომისიაში

სამრეწველო-ფინანსიური გეგმა

ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს საშუალებით, რესპუბლიკათა საგეგმო კომისიებს მიმართა წინადადებით, წარმოადგინონ არა უგვიანეს ა.-წ. 1-ლ სექტემბრისა მომავალ 1926—27 სამუშაო წლის სამრეწველო - ფინანსიური გეგმა.

წარმოდგენილ გეგმების საფუძველზე შედგენილი იქნება ა.-კ. სამრეწველო - ფინანსიური გეგმა, რომელიც 20 სექტემბრისთვის დასამტკიცებლად წარედგინება საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

მუდმივი განრიგება

ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისია ამჟამად ამუშავებს სახელმწიფო დაზღვევის მოგებათა რესპუბლიკებს შორის განაწილების წესებს, რომლის თანახმად მუდმივათ იწარმოებს მომავალში თანხების განაწილება რესპუბლიკებს შორის.

სახანძრო იარაღების შესაძენათ

ა.-კ. სახ. საგეგმო კომისიამ გადასცა საქართველოს და აზერბეიჯანის შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატების კომუნალურ განყოფილებებს, ხანძრის საწინააღმდეგო იარაღთა შესაძენათ 2.593 მან. 20 კაპ. ამ თანხიდან საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატს მიეცა 1.933 მან. 8 კაპ.

გეო-ბოტანიკური გამოკვლევა

დიღლაურის ველისა და დედოფლის მინდორის გეო-ბოტანიკური გამოკვლევა

ქართლიდან ამ დღეებში დაბრუნდა ბოტანიკოსი ნ. კეცხოველი, რომელიც საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს დავალებით აწარმოებდა ხსენებულ რაიონის გეობოტანიკურ კვლევას. შეგროვებულია დიდძალი მასალა, რის დამუშავების შემდეგ შედგენილი იქნება საქართველოს დეტალური ბოტანიკური რუქა.

გეო-ბოტანიკური გამოკვლევის მიზნით

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ლექტორი ზ. ყანჩაველი და ამავე კათედრის თანამშრომელი ნ. კეცხოველი, ამ დღეებში გაემგზავრებიან კავკასიონის ქედის (ბორბალოს მთას) და ალაზან, იორის, არაგვის, ყოიხის და არგუნის სათავეების გეობოტანიკურ გამოკვლევის მიზნით.

გლეხთა ცენტრ. სახლში

შინაგანი წესრიგი

საქართველოს გლეხთა ცენტრალურმა სახლის გამგეობამ გამოიმუშავა სანიმუშო წესდებები და ინსტრუქციები გლეხთა სახლების თანამშრომლობისა და შინაგანი წესრიგისათვის. სანიმუშო წესდებები ამ დღეებში რაეგზავნება საქართველოში არსებულ გლეხთა სახლებს და ა.-კ. ცენტრალურ გლეხთა სახლს.

მუშაობა წითელარმიელთა შორის

საქართველოს ცენტრალური გლეხთა სახლი ამჟამად ამუშავებს გეგმას წითელარმიელთა შორის სხვადასხვა მუშაობის ჩასატარებლად. წითელარმიელები შეისწავლიან კულტურულ, სოციალურ დაზღვევის, სამეურნეო და სხვადასხვა საკითხებს. ამ მიზნით გლეხთა ცენტრალურ სახლის გამგეობა ჩაატარებს მთელ რიგ ლექციებს ქართულ წითელ ჯარის ნაწილებში.

ლიტერატურის შეძენა

საქართველოს ცენტრალურ გლეხთა სახლის გამგეობამ შეიძინა სანგანათლების და სამეურნეო დარგის დიდძალი ლიტერატურა, რომელიც უფასოდ დაურიგდებათ ჩამოსულ გლეხებს.

მუშათა ცხოვრება

საქართველოს სამეანო გინეკოლოგიურ ინსტიტუტში

საქართველოს გინეკოლოგიური ინსტიტუტის შენობა შესდგება ოთხი სართულისაგან.—**1-ლ სართულში** მოთავსებულია სამზარეულო, სამრეცხაო, სურსათის საწყობი და მანქანები. **მეორეში** კანტორა სურათების გადასაღები კაბინეტი და საავადმყოფო. **მესამე და მეოთხე** სართულში—საავადმყოფო განყოფილებებია.

მუშა-მოსამსახურეების რიცხვი უდრის 120. ამათში 88 ქალია, 32 მამაკაცი. დაბალ მუშა-მოსამსახურეებს შრომის ხელფასად ეძლევათ საშუალოდ 25 მ. და 50 კ. თვიურად. მათ არ ეძლევათ არავითარი პრემია. მაღალი მოსამსახურეების შრომის ხელფასი საშუალოდ უდრის 43 მანეთს. ყველა მუშა-მოსამსახურეებს მორიგეობის დროს ეძლევათ უფასო სადილი.

სპეცტანსაცმელების საკითხი მოგვარებულია და ეძლევათ წელიწადში ერთხელ. შვებულების საკითხი წარსულში ვერ ყოფილა მოგვარებული, მაგრამ ადგილკომს თავისი ენერგიული მუშაობით ესეც მოუწესრიგებია და ამჟამად მიმდინარეობს ნორმალურად.

შვებულება მუშა-მოსამსახურეებს ეძლევათ წელიწადში ერთი თვით, საშვებულებო ფული კი არ ეძლევათ თავის დროზე, რაც აფერხებს შვებულებით სარგებლობას, რისთვისაც საჭიროა იქნეს მიღებული ზომები.

ინსტიტუტში დაცულია სისუფთავე. შენობის ტეხნიკური მხარეები სრულიად დამაკმაყოფილებელია. იგი იტევს დიდძალ ავადმყოფებს. ავადმყოფებისათვის როგორც საექიმო დახმარება, ისე კვებაც დამაკმაყოფილებელია. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამზარეულოს შეერთებამ გამოიწვია ავადმყოფებში ცოტა უკმაყოფილება; რადგანაც შეერთებამ განყოფილებებს დააშორა სამზარეულო და ავადმყოფები ღებულობენ ზოგჯერ ცივ სადილს.

საჭიროა სამზარეულო მოეწყოს ძველებურად ინსტიტუტში, ორ ალაგას. მუშა-მოსამსახურეებში ალაგი აქვს სისუსტით ავადმყოფობას, რაც უნდა დავაბრალოთ შრომის ხელფასის სიმცირეს.

საექიმო დახმარება მუშა-მოსამსახურეებისათვის დამაკმაყოფილებელია.

ინსტიტუტში არსებობს პიონერთა კოლექტივი, სადაც შედიან მუშების შვილები და იქიდან იგზავნებიან შრომის სკოლებში.

სხვადასხვა კურორტებზე ინსტიტუტიდან გადაგზავნილი იქნა 13 გამოცდილი მზარეული.

დასასვენებელ სახლებში გადაიგზავნა 7 კაცი. წყალტუბოს აბანოში ორი.

მუშა-მოსამსახურეებს აქვთ ურთიერთ დამხმარე სალარო, რომელიც დიდ დახმარებას უწევს მათ.

ყველა მუშა-მოსამსახურეები არიან დაზღვეული და კავშირის წევრები, ადმინისტრაციასა და მუშა-მოსამსახურეთა შორის კარგი განწყობილებაა, მხოლოდ ალაგი აქვს ზოგიერთ ექიმისაგან საბებიო კურსების მოწაფე ქალებთან უდიერ მოპყრობას და პირადი ინტერესით ჩაგვრას, რასაც უნდა მოეღოს ბოლო.

მუშა—ვარდენ.

ა.-კ. მოძრაობის დარგი
საორგანიზაციო მუშაობა

დიდ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს რკინისგზებზე მოძრაობის საქმეში სადგურ თბილისის მოძრაობის სამსახური. აქ სწარმოებს სამანევრო მუშაობა, კონდუქტორთა განწესრიგება და სხვა.

სადგურ თბილისის მოძრაობის დარგი აერთიანებს 1.301 მუშა-ხელს აქედან მამა-კაცები-მოსამსახურენი—197, მუშები—988, ქალები მოსამსახურენი—84, ქალები-მუშები—8.

მუშა-მოსამსახურენი ჩაბმული არიან პროფაქტივის მუშაობაში.

მათი საშუალო ჯამაგირი მეექვსე თანრიგით განისაზღვრება, რაც უდრის 39 მან. 50 კაპ.

კომისიების მუშაობა

აღნიშნულ დარგში არსებობს 11 კომისია: სარევიზიო, ადგილკომის დელეგატები, შრომის დაცვის, შემფასებელ-საკონფლიქტო, საორგანიზაციო, სად.-საკ. კომისია, სარედაქციო კოლეგია, ურთიერთ დამხმარე სალაროს ბიურო, საშეფო კომისია და თავისუფალ საზოგადოებათა წრეები.

ყველა ამას ადგილკომი შეძლებისადაგვარად დახმარებას უწევს. კომისიაში მუშაობენ 115 კაცი, (ე. ი. პროფაქტივის მუშაობაში ჩაბმულია მთელი შემადგენლობის 12 პროცენტი), რაც უთუოდ დადებით ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

ადგილკომის დელეგატების მცირე ნაწილი არ დადის კრებებზე და არ არჩევენ საჭირბოროტო საკითხებს, დანერჩენები სინდისიერათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

შრომის დაცვის კომისიაში

შრომის დაცვის კომისიას სხდომა ჰქონდა 3, სადაც გაირჩა 15 საკითხი.

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას სხდომა ჰქონდა 8-ჯერ, გაირჩა 97 საკითხი, აქედან მუშების სასარგებლოდ 52, ადმინისტრაციის სასარგებლოდ 32, მომრიგებელ კამერას გადაეცა 13 საკითხი, განუხილველია 17 საკითხი. „შ. ს. კ“-ის სხდომას დაესწრო 1.639 წევრი.

საორგანიზაციო საგანმან. კომისია

საორგანიზაციო საგანმანათლებლო კომისიას სხდომა ჰქონდა 4-ჯერ გაირჩა 21 საკითხი.

საწარმოო კომისიას ჰქონდა 4 სხდომა, გაირჩა 27 საკითხი.

სადუქნო საკონტროლო კომისიას ჰქონდა 2 სხდომა.

კოოპერატივის წევრებად ჩაწერილია 598 მუშა-მოსამსახურე.

ადგილობრივ გამოდის კედლის გაზეთი, რომელიც აშუქებს მუშებისათვის საჭირბოროტო საკითხებს და შუქდება შიგ წარმოების ნაკლი და მიღწევები.

სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარედ ითვლება ამხ. **ისიდ. გოგიბერიძე**.

ურთიერთ დამხმარე სალაროს ბიურო არჩეულ იქნა ა.-წ. 23 აპრილს. ბიურო დიდიდან არჩევისა გულმოდგინედ მუშაობს. სალაროში ითვლება 1.574 მან. და 27 კაპ. მასში ჩაწერილია 441 წევრი.

საშეფოდ აყვანილია სოფ. ზემო-ხანკანი. კომისიამ შეიძინა „ხოლტის სისტემის“ ტრაქტორი და მიუძღვნა საშეფო სოფელს. დაარსებულია აგრეთვე „რემედასის“ და „ავიაქიმის“ ბიუროები.

მუშკორი რადიუმი.

რკინისგზის საავადმყოფოში

საავადმყოფოს ადმინისტრაცია იძულებულს ხდის მუშებს, რომ მათ შაბათობით და უქმე დღეების წინ, იმუშაონ რვა საათი, სადაც კანონით ექვსი საათის სამუშაო დღეა დაწესებული. განსაკუთრებით. აფთიაქის მუშები, ქირურგიულ განყოფილების სანიტრები და სამზარეულოს მუშები შაბათობით და ყოველ დღე რვა-რვა საათს მუშაობენ.

ადმინისტრაცია არ აძლევს მათ არც ზედმეტ ნამუშევარის საათების ჯილდოს, როდესაც მუშები პირადად გამგეს შეეკითხენ ამის შესახებ, მან უპასუხა: „მე მაგნაირი დეკრეტი არ გამომიცია, რომ თქვენ შაბათობით ექვსი საათი იმუშაოთო“.

ნუთუ საავადმყოფოს მუშებზედ არ ვრცელდება ის მუშათა ხელისუფლების კანონი, რომელიც არის დაწესებული საყოველთაოდ!..

რკინისგზის საავადმყოფოს ადგილკომო! გამოიღვიძე, ნურავის დააჩაგვრინებ მუშებს, მიეცი მუშებს შაბათობით ექვსი საათის სამუშაო დღე. ეს მოსახსრებელია და ადმინისტრაციას შეასწავლე მუშათა ხელისუფლების კანონები.

კოლოდიუმი.

ასეთი აღმზრდელები ბავშვებს ვერ აღზრდიან

ამას წინად მეორე საბავშვო სახლის ბავშვები მოეყვანათ ხელოსანთა კლუბის ეზოში სასეირნოდ, სადაც ბავშვები ჩვეულებისამებრ თამაშობდენ. უცბად ასტყდა ბავშის წივილ-ყვირილი და ზედაც გამუდმებული ტირილი. გადავიხედე ეზოდან და ვნახე ბავშს სცემდა ერთ-ერთი მხლებელი ქალი. რამდენად ბავში ტირილს უმატებდა, იმდენად ქალი უფრო სცემდა და ტუჩებზე ხელს აფარებდა. მე დაუყვირე გადმოომიდან, ქალბატონმა ბავში გააგდო ხელიდან და მიპასუხა შემდეგნაირად: თქვენ არ იცით ეს რა ბავშია, ესენი ხომ წმინდა სისხლისანი არ არიან (?) საშინელი ცელქებია. ეს ამბავი ეცნობა გამგეს, არ ვიცი მან რა ზომები მიიღო გამლახველი ქალის გვარია ჯაყელი.

ბავშების გალახვა ქალბატონ ჯაყელის მიერ პირველი შემთხვევა არ არის.

მოქ. ჯაყელს ნუ დაავიწყდება ლენინის სიტყვები: „მოუარეთ ბავშებს როგორც საკუთარ თავსაო“. მასთან უნდა იცოდეს, რომ ცემა-ტყეპით ბავშებს ვერაფერს ასწავლის.

მუშკორი დ. გორდაძე.

აღმასკომის საყურადღებოდ

აიდონის ქუჩა, რომელიც იმყოფება მეცხრე რაიონში, ყოველ ზაფხულს, წვიმის დროს, ივსება წყლით და ქვედა სართულებში, რომლებიც ქუჩის გასწვრივ იმყოფებიან, შედის წყალი და მცხოვრებლებს ყოველნაირ ზარალს აყენებს. აქ ცხოვრობს ღარიბი მუშა-ხალხი. ნიაღვრების წყალი გროვდება ძირს, ლპება და ჰაერსაც აფუჭებს. მცხოვრებლებისთვის აუტანელი ხდება იქ ცხოვრება.

ქუჩის დასაწყისში არის მაღლობი ადგილი. წვიმის დროს აქედან ნიაღვარს ჩამოაქვს დაბლა მიწა და ქვა, რომელიც გროვდება იმავე ქუჩაზე და გზები გაუვალი ხდება.

საჭიროა აღმასკომი, სათანადო ყურადღების მიქცევა.

მუშა ერიჟინა.

მუშათა ქრონიკა
კოლოფების ქარხანაში

— **გამოუშვეს კედლის გაზეთი.** 20 აგვისტოს, კოლოფების ქარხნის რედკოლეგიამ გამოუშვა კედლის გაზეთი—№ 8,—სათაურით **„წითელი მეკოლოფე“**. გაზეთი შინაარსიანია.

—**კულტკომისია მუშაობს.** 21 აგვისტოს ამავე ქარხანაში შესდგა **კულტკომისიის** ახალი შემადგენლობის პირველი სხდომა, რომელმაც დაადგინა ქარხანაში ეხლავე დაიწყოს წერა-კითხვის უცოდინართა და მცირე-მცოდნეთა მუშების აღრიცხვა ლიკპუნქტში გასაგზავნად.. კედლის გაზეთი გამოიშვას ორკვირაში ერთხელ.

ჩატარებულ იქნეს ქარხანაში ფართო კამპანია, ცენტრალური გაზეთების ტირაჟის გადიდებაზე და მათი ნაღდ ფულზე გამოწერაზე.

ჩატარდეს ლექცია ქარხანაში თვეში ორჯერ და ხშირად მოეწყოს მუშების ექსკურსია სხვადასხვა ადგილებში.

— **კულტკომისიის სხდომები.** კულტკომისიამ აგრეთვე დაადგინა, მოიწვიოს სხდომები ორ კვირაში ერთხელ.

— **კულტმუშაობისათვის.** ამავე ქარხნის—ქარხკომმა, კულტ ფონდიდან გადასდო კულტურულ მუშაობის გასაძლიერებლად თვეში 200 მან.

— **მემალაროეთა სასარგებლოდ.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მუშათა კლუბთან არსებულ ქართულმა დრამწრემ საჭიროდ სცნო ინგლისში გაფიცულ მემალაროებს დაუდგას ერთი ფასიანი წარმოდგენა.

— **საგზაო ყრილობა.** მომავალ შემოდგომაზე მოწვეულ იქნება რკ. გზის ინჟენერ-ტეხნიკოსთა სექციის საგზაო ყრილობა.

— **კომედიების საღამო.** 21 აგვისტოს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ქ. ნინიძის ხელმძღვანელობით გაიმართა კომედიების საღამო. დაიდგა: „არივ-დარია“ და „სიმართლე“. საღამოს დაესწრო უამრავი მუშა-მოსამსახურე.

ქრონიკა

სანიტარულ ექიმთა ყრილობა

სექტემბრის პირველ რიცხვებში ოდესაში იხსნება სანიტარულ ექიმთა სრულიად საკავშირო ყრილობა.

ყრილობაზე მიწვეულია თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების წარმომადგენელი.

მოგება საგლეხო ობლიგაციიდან

ა.-კ. სასოფლო სამეურნეო ბანკმა 1925 წლის მე-2 საგლეხო სესხის 12 პროცენტიან ობლიგაციის ხუთი ბილეთით მოიგო 225 მანეთი.

წყალის დაკეტვის გამო

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებაში აუარებელი განცხადებებია შემოტანილი იმის შესახებ, რომ ზოგიერთ სახლებში, მდგმურების ნაწილის მიერ ფულის შეუტანლობის გამო, წყალს კეტავენ.

ეს გარემოება განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში დიდ ანტისანიტარულ მდგომარეობას ქმნის წყალდაკეტილ სახლებში.

ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულმა საბჭომ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და თავის უკანასკნელ სხდომაზე გამოიტანა დადგენილება, რომ წყლის დაკეტვა არ მოხდეს ზემოდმოყვანილ შემთხვევების დროს. საბჭოს დადგენილება განსახილველად გადაეცა აღმასკომის პრეზიდიუმს.

„წარმოკავშირი“-ს ლიკვიდაცია

„წარმოკავშირი“-ს სალიკვიდაციო კომისიის მუშაობა გასტანს დახლოვებით 2-3 თვეს, კომისიას დაკისრებული აქვს მოახდინოს „წარმოკავშირი“-ს დარჩენილი ქონების ლიკვიდაცია ისე, რომ საშუალება მიეცეთ მის კრედიტორებს აანაზღაურონ თავისი თანხები .ამ მიზნით კომისია შეუდგა „წარმოკავშირი“-ს ბალანსის გამორკვევას და იღებს ყოველგვარ ზომებს, რათა „წარმოკავშირი“-ს ვალების გადახდამ ზიანი არ მიაყენოს ძირითად კოოპერატიულ ქსელს.

თბ. აღმასკომში

— **უპატრონო ბავშთა თავშესაფარის** მოსაწყობათ სოფ. ვაშლოვანში გადაიდო 6680 მან.

— **თბილისში ცენტრის და გარე უბნების** განსაზღვრის შესახებ დამტკიცებულ იქნა სპეციალურ კომისიის პროექტი.

— **აგურის მექანიკური დამზადება.** აგურის მოთხოვნილების ზრდის გამო, განზრახულია მოეწყოს აგურის მექანიკური დამზადება.

— **სანიტარულ - ეპიდემიურმა სექციამ** დაავალა უბნის ექიმებს მოახდინონ თავიანთი უბნების სანიტარულ-ტოპოგრაფიული აღწერა.

— **საფერშლო პუნქტი.** ჯანმრთელობის განყოფილებამ სოფ. ირაგაში გახსნა საფერშლო პუნქტი.

— **კბილის საექიმო კაბინეტი.** ყარაიაზის საექიმო პუნქტთან გაიხსნა კბილის საექიმო კაბინეტი.

— **მალიარია.** ამჟამად თბ. მაზრაში სწარმოებს მალიარიან ადგილების გამოკვლევა, მალიარიასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით.

— **თვალის ექიმობა.** ჯანმრთელობის განყოფილებამ მაზრაში გაგზავნა თვალის საექიმო მოძრავი კაბინეტი.

მიწათმოქმ. სახ კომისარიატში

— **ყრილობა.** ენკენისთვის ბოლო რიცხვებში მოწვეული იქნება საცდელ-სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების ყრილობა.

— **კურსები.** მიწათმოქ. კომ. სას. მეურნეობის მმართველობა გორში აწყობს მებაღეობა-მეხილეობის მოკლევადიან კურსებს.

— **მეფუტკრეობა.** ბორჯომის რაიონში გაიგზავნა მეფუტკრე-სპეციალისტი ადგილობრივ მეფუტკრეობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ.

— **მოსავლის დღე.** აგრო-დახმარების განყოფილება შეუდგა სამზადისს მოსავლის დღესასწაულის დღის ჩასატარებლად.

ა.-კ. კოოპერატივთა კავშირში

— **ა.-კ. კოოპერატივთა კავშირი** წევრათ შევიდა ამიერ-კავკასია-აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში.

— **დანაკლისი.** ა.-კ. კოოპერატ. კავშ. იმუშავებს გეგმას კოოპერატივებში ნედლ საქონელზე დანაკლისის ასანაზღაურებლად ერთიან პროცენტის დაწესების შესახებ.

შემთხვევები

— **ცენტრალურ გამსახლში** 25 აგვისტოს. პატიმრებმა შაიდ-ოღლიმ და მამედ ტაგი-ოღლიმ დანით ყელი გამოჭრეს პატიმარს ალი აბას ოღლის.

— **უცაბედი მკვლელობა.** სოფ. ვიოვკაში დათა ერებაშვილმა უცაბედათ მოჰკლა თოფით ივანე ზარიძე.

— **ქურდი ქალი.** 25 აგვისტოს ქურდობისათვის შეიპყრეს შუშანიკა ნუშუტიანცი.

— **ჯიბგირი.** 25 აგვ. შეიპყრეს ჯიბგირი რევაზ გოგიაშვილი.

— **ქურდობა.** 25 აგვისტოს მეტეხის აღმართი № 14, მელიტონ პაპავას ბინიდან მოიპარეს 200 მან. ნივთები.

— **ქურდი სახლის პატრონი.** შრომის ქ. № 21, შალვა მაღარაძისათვის რევოლვერის მოპარვის გამო, შეიპყრეს სახლის პატრონი სარდიონ კობაიძე.

— **შეპყრობა.** ქურდობისათვის დააპატიმრეს მცირეწლოვანი სერგო ლალაევი.

— **ამავე დღეს** შეიპყრეს ქურდობისათვის ალექსი სურალიოვი.

სახ. კომისართა საბჭოში

300.000 მან. უმუშევრობასთან საბრძოლველად

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა შეიმუშავა 1926—27 წლისათვის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის მიხედვით საზოგადო სამუშაოებისათვის და უმუშევართა შრომის კოლექტივების მოსაწყობათ უნდა გაღებულ იქნეს 300.000 მანეთი. ეს ხარჯთ-აღრიცხვა, სახ. კომ. საბჭომ დაამტკიცა და დაადგინა დასმული იქნეს უმაღლეს ორგანოების წინაშე საკითხი, რომ აღნიშნული თანხა გამოიყოს საქართველოსათვის უმუშევრობასთან საბრძოლველ საკავშირო ფონდიდან.

ზაჰესის ენერგიაზე გადასვლა

საქ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს მიეცა წინადადება შეიტანონ 1926—27 წლის ხარჯთ-აღრიცხვებში ზაჰესის ელექტრო-ენერგიაზე გადასვლასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები.

ეკონომიურ საბჭოში

126.000 მან. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას

საქართველოს ეკონომიურ საბჭოს დადგენილების თანახმად ის 126.000 მან. რომელიც გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ბიუჯეტში, როგორც დახმარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, უნდა განაწილდეს შემდეგნაირად: 100.000 მან. უნდა მიეცეს საქართველოს სას.-სამ. კოოპერაც. ახალი ცენტრის „სოფლის კავშირის“ საორგანიზაციო ბიუროს სახით და 26.000 მანეთი ძირითად კოოპერატივებს. „სოფლის კავშირს“ მიეცა წინადადება წარმოადგინოს ეკონომიურ საბჭოში აღნიშნულ 26.000 მანეთის ცალკე კოოპერატივების შორის განაწილების გეგმა.

შავი ზღვის ნაპირების გამაგრება

ეკონომ. საბჭომ საჭიროთ სცნო შავი ზღვის ნაპირების გამაგრება ქ. სოხუმთან, 1.000 მეტრის მანძილზე. სათანადო ხარჯთ-აღრიცხვა—250.000 მანეთის რაოდენობით დამტკიცებული იქნა. ეს თანხა შეტანილი იქნება 1926—27 წლის ბიუჯეტში.

ბარიტის გადაზიდვა

აქამდე რკინის გზებზე ბარიტის გადაზიდვა ხდებოდა შეღავათიანი ტარიფის მიხედვით. ამჟამად კი ცენტრში გამოტანილია დადგენილება ამ შეღავათის გაუქმების შესახებ.

ვინაიდან ეს ღონისძიება გამოიწვევს საქართველოში ბარიტის წარმოების შემცირებას, საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ საჭიროთ სცნო აღძრული იქნას შუამდგომლობა ძველი შეღავათიანი ტარიფის დატოვების შესახებ.

„სოფელი“-ს ლიკვიდაცია

საქართველოს ეკონომიურმა საბჭომ საჭიროთ სცნო მეცხვარეთა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის—„სოფელი“-ს ლიკვიდაცია.

სასამართლო

50.138 მანეთის ზარალი

დასრულდა წინასწარი გამოძიება დავით კოსტენკოს და გრიგოლ საყვარელიძის საქმეზე.

1924 წ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თამბაქოს ტრესტს გადაწყვეტილი ჰქონდა თამბაქოსათვის ფართე ბაზრის მოპოვება. ამ მიზნით თამბაქო გატანილი უნდა ყოფილიყო თურქესტანში, პაპიროსები სარეალიზაციოთ. მიეცემოდა კერძო პირებს ტრესტთან სათანადო ხელშეკრულების დადების შემდეგ. გაიგო რა ეს გარემოება გრიგოლ საყვარელიძემ, მიმართა თამბაქოს ტრესტის გამგეს თხოვნით მიეცათ მისთვის რამოდენიმე ათასი მანეთის პაპიროსები, თურქესტანში სარეალიზაციოთ, რადგან საყვარელიძემ თამბაქოს ტრესტს ვერ მისცა სათანადო გარანტია ვალის ასანაზღაურებლად, ამიტომ ტრესტმა უარი უთხრა მას პაპიროსების მიცემაზე.

შემდეგ საყვარელიძე კავშირს იჭერს სახელმწიფო საშუამავლო კონტორის გამგესთან მოქ. დავით კოსტენკოსთან და კერძო პირებთან ერთად აწარმოებს პაპიროსების რეალიზაციას.

კოსტენკოს ბრალი ედება მასში, რომ იყო რა თბილისის სახელმწიფო საშუამავლო კონტორის გამგე—ბოროტათ გამოიყენა თავისი უფლება, იმ მიზნით, რომ ყოფილ ამხ. „ძმობა“-ს დირექტორის ქიქოძისათვის მიეცა საშუალება თამბაქოს ტრესტებიდან ნისიათ პაპიროსების გამოტანისა—ტრესტთან დასდო ხელშეკრულება კონტორის სახელით, რომლის ძალით, მოქ. ქიქოძემ ტრესტიდან გამოიტანა ნისიათ 30.000 მანეთის პაპიროსები.

კოსტენკომ წინასწარ იცოდა, რომ მოქ. ქიქოძე ამ 30.000 მანეთის განაღდებას ვერ შესძლებდა. მიუხედავათ ამისა, დაუდგა თავდებათ ქიქოძეს და ამით შეცდომაში შეიყვანა თამბაქოს ტრესტი.

კოსტენკომ თავისი უფლების ბოროტათ გამოყენებით, ტრესტს მიაყენა 14.247 მ. 58 კაპ. ზარალი.

კოსტენკო პასუხისგებაშია მიცემული ს. ს. კ. 108 მუხ. I ნაწ. ძალით.

საყვარელიძეს ბრალდება თამბაქოს ტრესტთან ხელშეკრულების შეუსრულებლობა. გამოიტანა რა საქონელი ნისიათ და 10 პროცენტის ფასდაკლებით—გაჰყიდა ბაქოში და აღებული თანხის ნაწილი წააგო ბანქოში და რამოდენიმე ათასი მანეთი მოიხმარა პირადი საჭიროებისათვის. საყვარელიძემ თავისი ბოროტი მოქმედებით თამბაქოს ტრესტს მიაყენა 35.891 მან. 25 კაპ. ზარალი.

საყვარელიძე პასუხისგებაშია მიცემული ს. ს. კ. 134 მუხლის ძალით.

ბოროტმოქმედება ა.-კ. რკ. გზ. სატყეო განყოფილებაში

ამიერ-კავკასიის საგზაო-სატრანსპორტო საგანგებო კომისიამ აღმოაჩინა ბოროტმოქმედება ა.-კ. რკ. გზების სატყეო განყოფილებაში.

გზებზე საერთოთ აკრძალულია ავანსების გაცემა, როგორც მოსამსახურეებზე და მით უმეტეს განსაკუთრებით მოიჯარადრეებზე. ა.-კ რკ. გზების სატყეო განყოფილების ყოფილი უფროსი **ამაშუკელი** გვერდს უხვევდა ამ განკარგულებას და ფართოდ არიგებდა ავანსებს. კვლევა-ძიებიდან გამოირკვა, რომ საავანსო ანგარიშებით განყოფილების მოსამსახურეებზე ირიცხება ვალი 14.000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან თვით ამაშუკელზე ირიცხება 1.050 მანეთი.

უფრო უარესი სურათი იშლება მოიჯარადრეების მიმართ, რომელთაც ამაშუკელის განკარგულებით ეძლეოდათ ავანსები; მაგალითად **ბრიუკოვს** მიეცა—10.000 მანეთამდე და **ზუბლიაროვს**—5.000 მანეთამდე. ამაშუკელს ჰბაძავდა მოიჯარადრეებზე ავანსების გაცემაში სატყეო განყოფილების მე-9 უბნის უფროსი **ხოჯიევი**, რომელიც დამზადებებს აწარმოებდა მათი საშუალებით და ამისათვის აძლევდა ავანსებს.

აღსანიშნავია, რომ მოიჯარადრეები გაკოტრდენ და გაცემულ ავანსების დაბრუნება ეხლა საეჭვოა.

როდესაც ამაშუკელმა გაიგო **ხოჯიევის** „საგმირო“ საქმეები „მიიღო ზომები“, რადგან შიშობდა, რომ ხოჯიევს მოხსნიან სამსახურიდან და მისცემენ პასუხისგებაში. მან მისწერა ხოჯიევს წერილი, რომელშიც იგი აცნობდა მას სპეციალურ კომისიის მიერ შეკრებილ მასალებს და უთითებდა თუ როგორ გაემართლებია დაკითხვის დროს თავისი და თვით მისი (ამაშუკელის) მოქმედება.

საერთოთ უნდა ითქვას, რომ ამაშუკელის და ხოჯიევის „მოღვაწეობაში“ ადგილი ჰქონდა აუარებელ ბნელ კომბინაციებს როგორც მაგალითად: გლეხების მოტყუებას, უყაირათობას, მასალის თვითღირებულების განზრახ გადიდებას, კავშირს კერძო ჩარჩ-ვაჭრებთან, სიყალბეს და სხვა.

აღნიშნულ ბნელ საქმიანობაში „უფროსებს“ ხელს უწყობდენ მათი „ხელქვეითებიც“.

მაგალითად ბუღჰალტერი **ახვლედიანი**, რომელიც გარდა უკანონოდ გაცემულ თანხების ჩამოწერისა, მონაწილეობას იღებდა ყალბი აქტის შედგენაში, თითქოს ჩაბარებული ყოფილიყო 25 მორი, რასაც არსებითად ადგილი არ ჰქონია.

მან მოიჯარადრე ბრიუკოვს, მისი განცხადების თანახმად ხელი მოაწერინა ორ დოკუმენტზე 370 მანეთის მისაღებათ, მაგრამ ხელის მოწერის შემდეგ ფული არ მისცა.

რაიონის უფროსმა ათის თავმა **ხარაბაძემ** გაფლანგა 288 მანეთი სახაზინო ფული. იგი იწვევდა გლეხთა უკმაყოფილებას, რადგან სისტემატიურად უკლებდა აქტებში მიღებული ხე-ტყის კუბატურას. მისივე თანხმობით მოიჯარადრეები: **ჩხეიძე და ფცხელაძე** ხე-ტყის მისაღებ აქტებში აღნიშნავდენ 10—15 კაპიკით მეტს, ვინემ დაწესებული იყო.

უფროსი მოანგარიშე **გურასპიშვილმა** შეადგინა ყალბი აქტი 25 მორის მიღებაზე და სცდილობდა მიეღო 323 მანეთი.

ხე-ტყის მასალის გამოსაზიდ ქვითარების აღმრიცხავი მოანგარიშე **მაჩიტაძე** ხშირად ითვისებდა გლეხების მიერ წარდგენილ ქვითარებს.

კანტორის მოხელე **ქანთარია** კი იპარავდა იმ ქვითარებს, რომლებსაც გლეხები ადგენდენ ფულის მისაღებათ.

მთელი ეს კამპანია მიცემულია პასუხისგებაში. კერძოთ: **ხოჯიევი, ხარაბაძე, მაჩიტაძე, გურასპიშვილი** და **ქანთარია** კი დაპატიმრებულნი არიან.

რკინისგზა გორი-ცხინვალი

ამიერ - კავკასიის რკინის გზების სამმართველომ საბოლოოდ შეიმუშავა გორი-ცხინვალის რკინის გზის პროექტი.

რკინის გზის ხაზი დაიწყება ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხიდისთავის ბაქნის მახლობლად, გორიდან 6 ვერსის მანძილზე და გაივლის მჭიდროთ დასახლებულ რაიონებში, სოფელ კარალეთთან გზა გადავა მდინარე ლიახვზე. ეს გზა გაივლის ტყეებით მდიდარ რაიონს.

გზის გაყვანა დაჯდება 2.775.000 მანეთი.

განათლების ფრონტზე

სკოლების შეკეთება

ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა სკოლების შეკეთებას. სულ ქალაქში შეკეთებული იქნება 58 სკოლა.

მასწავლებელთა გადამზადება

აბულაღში მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე მეცადინეობა უკვე დასრულდა. კურსდამთავრებული მოსწავლეები დაიგზავნებიან ადგილებზე.

ბავშვების დაბრუნება აგარაკებიდან

კოჯორის აგარაკიდან გუშინ ჩამოყვანილი იქნა აღმასკომის განათლების განყოფილების სახლების ბავშები, რომლებმაც კოჯორში დაყვენ 2 თვე.

შეშა სკოლებისათვის

განათლების განყოფილება შეუდგა ქალაქის სკოლების შეშით მომარაგებას.

კაბინეტები

განათლების განყოფილებამ ლენინგრადიდან მიიღო იქ შეკვეთილი ფიზიკური და ქიმიური კაბინეტების ნაწილი. კაბინეტები დაურიგდება როგორც თბილისის, ისე მაზრის სკოლებს.

მთიელთა საბავშო სახლი

თბილისის საბავშო სახლთა შორის მთიელთა საბავშო სახლი დიდ ყურადღებას იქცევს. ამ სახლში თავმოყრილია 72 ბავში: სვანები, ხევსურები, თუშები და ქისტები.

არსებობის ორი წლის განმავლობაში სახლმა დიდი სამოსწავლო მუშაობა ჩაატარა და დღეს მისი ბავშები შრომის სკოლების მე-3, 4, 5 და მე-6 ჯგუფების მოწაფეებათ ითვლებიან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სახლის მიერ ჩატარებული მუშაობა მიმდინარე ზაფხულში. ეს მუშაობა ჯერ არ დამთავრებულა. იგი გამოიხატა იმაში, რომ ორი წლის მეცადინეობის შემდეგ. ბავშვები წელს პირველად ეწვიენ თავიანთ სოფლებს, სადაც ფართოდ მიჰყვეს ხელი კულტურულ მუშაობას, ქალაქში მიღებულ ცოდნის სოფლად გამოყენების მხრივ.

თბილისიდან ბავშები სოფლებში გაემგზავრენ თავიანთ ხელმძღვანელების მეთაურობით. იქ მათ თავი მოუყარეს ადგილობრივ ბავშებს, რომელთაც უზიარებენ მიღებულ ცოდნას, აწყობენ წარმოდგენებს და საბავშო საღამოებს ადგილობრივი ძალების დახმარებით, აწარმოებენ მოთხრობების და ლექსების ხმა-მაღლა კითხვას და სხვა.

ბავშების მუშაობამ დიდი სიმპატია და თანაგრძნობა დაიმსახურა გლეხებში. თვით მოხუცი გლეხებიც კი დიდის აღფრთოვანებით შეგვებენ მათ მუშაობას, რადგან ისინი უკითხავდენ მათ გაზეთებს და აცნობდენ ქვეყნის ამბებს.

გარდა კულტურული მუშაობისა, ბავშები ულარიბეს გლეხებს ეხმარებიან მუშაობაში, უზიდავენ შეშას ზამთრისათვის და სხვა.

ბავშები თბილისში დაბრუნდებიან სექტემბერში და კვლავ განაგრძობენ მეცადინეობას.

ქ. ლ.

თბილისი-მანგლისი

თბილისის აღმასკომის განსაკუთრებულმა კომისიამ საბოლოოდ მიიღო თბილის-მანგლისის ელექტრონის გზის პროექტი. გზის სიგრძე, დაახლოებით 50 ვერსი იქნება. მისი გაყვანა დაჯდება—6.250.000 მან. ამაში შედის თბილის-კოჯორის ელექტრონის გზის ხარჯებიც, რომლის ტეხნიკური პროექტი უკვე შემუშავებულია.

ელექტრონის გზის თვითეული ვერსის გაყვანა ჯდება 125 ათასი მანეთი, გზა გაივლის მჭიდროთ დასახლებულ რაიონებში. გზა გაყვანილი იქნება შემდეგი ხაზით: ტაბახმელა-კოჯორი-თეთრი-დუქანი-პრიუტი-თიონეთი-მანგლისი.

ყოველწლიურად გზაზე გადატანილი იქნება 1.350.000 ფუთი ტვირთი. ფუთი ტვირთის გადატანა ეღირება 4 კაპ. ვერსზე და ამანათის—1 კაპეიკი ვერსზე.

მგზავრთა რიცხვი წლიურად ნაანგარიშევია 294.000 კაცის რაოდენობით. აქედან შემოსავალი—736 ათასი მანეთი, თვითეულ ვერსზე 5 კაპეიკის ანგარიშით.

საერთოდ გზას ექნება წლიურათ 1.006.000 შემოსავალი და 938 ათასი მანეთი ხარჯი. ამგვარად, გზას წმინდა მოგებად დარჩება ყოველწლიურად 68 ათასი მანეთი.

„საქართვ. მარგანეცი“

მუშაობა, რომელსაც კონცესიონერები აწარმოებენ მარგანეცის ამოსაღებად, უკანასკნელ ხანებში შემცირდა. მთელი მუშაობა თავმოყრილია ყოფ. „კარუტოს“ მაღაროებში. მუშაობის შემცირებას კონცესიონერების წარმომადგენლები ხსნიან იმით, რომ მსოფლიო ბაზარზე დროებით შემცირდა მარგანეცის მოთხოვნილება. აგვისტოს პირველი ნახევრის განმავლობაში საზღვარ-გარედ გატანილ იქნა 7.067 ტონა მარგანეცი.

გამგეობის წევრების ჩამოსვლა

სექტემბრის დასაწყისში ამერიკიდან მოელიან საქციო საზოგ. „საქართველოს მარგანეცის“ გამგეობის წევრებს. გამგეობის წევრები ჩამოვლენ იმისათვის, რომ ადგილობრივ გაეცნონ მუშაობის მსვლელობას საკონცესიო წარმოებაში.

დახურული ბაზარი

ქალაქის კომუნალურ განყოფილებას განზრახვა აქვს, თბილისში მოაწყოს დახურული ბაზარი, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა ბაზრები. დახურული ბაზრის მოწყობის მიზანია აგრეთვე ბრძოლა ქალაქში ანტისანიტარულ პირობებთან, რაც დღემდე ვერ სწარმოებს სათანადოთ მრავალ ადგილას წვრილი ბაზრების არსებობის გამო.

ბაზარი განზრახულია მოეწყოს მადათოვის კუნძულზე, რომელსაც ორივე მხრივ მტკვარი ჩამოუდის და რომელიც ყველაზე უფრო დასამხარი ადგილია ცენტრალურ ბაზრის მოსაწყობად. გარდა ამისა, მას ყოველმხრივ უდგება ტრამვაი, რომლის საშუალებით შეიძლება საქონლის მიზიდვა ბაზარზე, მაშინ, როცა ნაკლები მოძრაობაა ქუჩებში, განსაკუთრებით ღამ-ღამეობით.

ამასთან ერთად, მადათოვის კუნძულზე ბაზრის მოწყობა დაჯდება უფრო იაფი, ვიდრე სხვა ადგილზე. ამჟამად იქ არსებული წვრილ. შენობები აღებული იქნება. ბაზრის ადგილას იქნება იაფფასიანი სასტუმროები, სასადილოები, სავაჭროები და სხ.

ამასთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდება კუნძულის ჭაობიან ნაწილის ამოშრობა. აღნიშნულ ბაზრის მოწყობით განთავისუფლებული იქნება ბევრი მოედანი, რომლებიც დღეს უჭირავს წვრილ ბაზრებს.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მერგება თუ არა გაცდენილი თვეების ხელფასი და სხვა ადგილზე გადაყვანის გამო საგზაო ხარჯები და სხვა დახმარებები

კითხვა

ვმსახურობ რკინისგზაზე 1905 წლიდან სხვადასხვა თანამდებობაზე. 1925 წლის პირველ დეკემბრიდან დამითხოვეს სამსახურიდან უმიზეზოდ. სამსახურს გარეშე დავრჩი სამი თვე, მხოლოდ სამი თვის შემდეგ საკონფლიქტო-შემფასებელმა კომისიამ გამამართლა და აღმადგინა ჩემივე თანამდებობაზე სხვა სადგურზე. მე შევიტანე განცხადება შრომის ინსპექტორთან უმიზეზოდ გაცდენილი თვეების ფულის შესახებ. ინსპექტორმა ვაასაჩივრა საქმე სახალხო სასამართლოში, ამ უკანასკნელმა კი უარით მიპასუხა.

გთხოვთ განმიმარტოთ მერგება თუ არა გაცდენილი სამი თვის ფული, გადასასვლელი ჯილდო და თუ მერგება ასეთები, ვის მივმართო, რათა მივიღო ისინი.

პროფკავშირის წევრი (წიგნაკის № 6669).

პასუხი

თუ თქვენ წინააღმდეგ ბრალდება წამოყენებული იყო თქვენი ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის პუნქტი „ე“-სი წესით და ეს ბრალდება კვლევა-ძიებით არ დადასტურდა და თქვენ იქენით მისგან (ბრალდებისგან) გამართლებული, მაშინ შრომის სასამართლოს დადგენილება უნდა ჩაითვალოს უკანონოდ და თქვენ აუცილებლად უნდა მოგეცეთ გაცდენილ თვეების ხელფასი (იხ. ამ.-კავ. შრომის სახკომატის 1925 წ. 16 იანვრის შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის აბზ. „ე“-სი განმარტების მუხ. 3).

მასთან თუ ახალ სამუშაოზე გადაყვანით თქვენ იძულებული გახდით ბინადრობაც გამოგეცვალათ, მაშინ თქვენ უნდა აგინაზღაურდეთ ყველა ის საგზაო ხარჯები და მოგეცეთ ყველა ის დახმარებები, რომლებიც გათვალისწინებულია **შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 82-ში და ამ.-კავკ. შრომის სახკომატის 1923 წ. 25 მაისის განმარტება № 56-ში.)**

ყველა ამის შესახებ თქვენ უნდა მიმართოთ საქართვ. შრომის სახკომატთან არსებულ შრომის პროკურატურას.

კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება

კითხვა.

მე ვმსახურობდი ქალაქ გორში ასენიზატორის თანამდებობაზე და ჩემივე უბნის უფროსის მიერ ვიქენი გადმოყვანილი ქალაქ ტფილისში არა ჩემს ხელობაზე და არც ჩემი თანრიგით, არამედ შავი მუშის თანამდებობაზე და თანრიგის დაკლებით.

გთხოვთ ახსნა-განმარტებას,—აქვს ადმინისტრაციის უფლება რომელიმე ხელოსნის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვანის და, ნაცვლად მე-8-ე თანრიგის ხელფასისა, მე-5-ე თანრიგში ჩამოყენების?

მე-6 სალ. უბნის მუშა **დავით ჩალაშვილი.**

პასუხი.

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 86-ისა, დამქირავებელს არა აქვს უფლება მოსთხოვოს მუშა-მოსამსახურეს ისეთი სამუშაოს შესრულება, რომელიც არ არის დაკავშირებული იმ სამუშაოსთან, რომლისათვის მოწვეულ იქნა მუშა-მოსამსახურე. მუშა-მოსამსახურის უმიზეზოდ სამსახურობრივთ და თანრიგობრივი ჩამოქვეითება ყოვლად დაუშვებელია, თუ ამაზე (ნებაყოფლობით) არ დასთანხმდება თვით დაქირავებული. თუ ის სამუშაო, რომლისათვისაც მოწვეულია დაქირავებული, დროებით არ წარმოებს, მაშინ შესაძლებელია, დაქირავებულს მიეცეს სხვა, მაგრამ მხოლოდ მისი კვალიფიკაციის (თანაბარი) სამუშაო. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში რამე ხიფათის აცილების მიზნით, შესაძლებელია დაქირავებულს მიენდოს არა მისი კვალიფიკაციის სამუშაოს შესრულება, მაგრამ არც ერთ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში ადმინისტრაციას არა აქვს უფლება ხელფასის შემცირებისა.

პირადათ თქვენ გირჩევთ მიმართოთ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიას სათანადო განცხადებით და მოითხოვოთ ძველ სამსახურზე აღდგენა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს 27 აგვისტოს დილის 8 საათზე გაიმართება მიმღებ კომისიის სხდომა საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტთან.

მიმღებ კომისიის ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტ.-საპროპ. განყოფ. პროპაგანდის მეთოდბიუროს სხდომა შესდგება შაბათს, 28 აგვისტოს დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის საგიტ.-საპროპ. განყოფილებაში.

პარასკევს, 27 აგვისტოს, დილის 10 საათზე გაზ. „მარტაკოჩი“-ს რედაქციის ბინაზე გაიმართება იმ კომისიის სხდომა, რომელიც გამოჰყო თათბირმა „აიართუნის“ მუშაობის შესახებ.

საჭიროა შემდეგი ამხანაგების დასწრება: ხანოიანი, ვაგანიანი, კანდელაკი დ., ვართანიან აგასი, მელიქიან არშ., ტერ-ვართანიან ასატურ ბელიძე, ადამიანი, ასრიბეკოვი.

სახ. უნივერსიტეტის და მასთან არსებული მუშათა ფაკულტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო ამით აცხადებს ცალკე უჯრედების საყურადღებოთ, რომ ა. წ. 27 აგვისტოს საღამოს 6 საათზე უნივერსიტეტის შენობაში მოწვეულია უნივერსიტეტის და მუშფაკის კომპარტიისა და კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული კრება.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის საღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება უკანასკნელად აფრთხილებს ამხ. გრიგოლ დავითის ძე პირნასიშვილს გამოცხადდეს თბ. კომიტ. საღრიცხ.-განმანაწ. განყოფილებაში ამხ. კვირიკაძესთან 2 დღის განმავლობაში.

საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ პარასკევს 27 აგვისტოს დილის სრულ 9 საათზე გაიმართება ეკონომიურ კომისიის სხდომა.

კომისიის ყველა წევრებს და ცენტრ. გამგ. წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა.

საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს იმ ამხანაგებს რომლებმაც შემოიტანეს განცხადება თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაგზავნის შესახებ, გამოცხადდენ კომკავშირის თბილისის კომიტეტის საგიტ.-საპროპ. განყოფილებაში 27 აგვისტოს დილის 9 საათზე.

პარასკევს, 27 აგვისტოს, დილის 12 საათზე გაიმართება საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

საორგ. კოლეგიის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

კვირას 29 აგვისტოს დილის 11 საათზე ქალ. ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ვერა (ვერიჩკა) ალექსანდრე ერისთავის ასულის ჭაფარიძისა

რასაც აუწყებენ ნაცნობ ნათესავ-მეგობრებს უზომო მწუხარებაში მყოფნი: ოლია, მერი, გიორგი, დათიკო და მიხაკო ერისთავები ნ. 1708

მწუხარებაში მყოფნი შვილები—ნიკოლოზი და იასონი ქაიხოსროს ძენი, რძლები მარიამი და ნატალია ჯავახიშვილები, ქალები—ნინო და ბარბარე ქაიხოსროს ასულნი ყიფიანისა და დოდაშვილისა, სიძე ივანე დოდაშვილი შვილი შვილები—თინათინ, სოფიო, ელისაბედ, ნინო, თამარი, მაყვალა, ვახტანგი, ავთანდილი და ცუცა, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულ დაუვიწყარი ძვირფასი მამა

ქაიხოსრო ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილის

ორმოცი დღის აღსანიშნავად წირვა დანიშნულია 28 აგვისტოს შაბათს სოფელ ძევერაში, გორის მაზრა 3413

გულ მოკლული მეუღლე ათინა მიხეილის ასული, დები—მარია და ლილოსი გოგიტიძეებისა, დისშვილი—ნადია ბახტაძისა და პატარა ვახტანგ ხვედელიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 26 აგვისტოს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ივანე ქაიხოსროს-ძე ბოლქვაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფელ ბახვში, კვირას, 29 აგვისტოს, ორ საათზე.

საზაფხულო
აპოლო
(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).

საზაფხულო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დღეს, მსოფლიო შედევრის
„მანდრენ“-ის
მე-3-ე და მე-4-ე სერია

არაჩვეულებრივი წარმატების გამო გაგრძელებულია ჩვენება სურათის
„დაბრკოლებათა წინააღმდეგ“
ანონსი: შემდეგი პროგრამა
„დოროტი ვერნონ“
მერი პიკფორდის მონაწილეობით.
ნ. 1613 0—17

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34
0—1

ფოთის აღმასკომთან დაარსდა
სავაჭრო განყოფილება
= „ფოთვაჭი“ =
სავაჭრო ქვე-განყოფილების „ეკო“-ს მიერ გაცემული ვალდებულებანი რჩება ძალაში
2—16. 1701 ფოთის აღმასკომის სავაჭრო განყოფილება

საქართ. ს.მ.უ.ს.“-ის ტყის მრეწველობის ტრესტი
„საქართველოს ტყე“
აცხადებს, რომ 31 ამა აგვისტოს დილის 10 საათ. ტრესტის შენობაში
(მაჩაბლის ქ. № 1)
დანიშნულია
შეჯიბრება

ტრესტისათვის 8.000 ფ. თივის, 6.000 ფ. ქერის და 1.500 ფ. ბზის დადგმაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველებს შემოაქვთ განცხადება ტრესტის კანცელარიაში დახურულ პაკეტებით წარწერით: „საკვების დადგმის შეჯიბრებისათვის“. დადგმის პირობების გაგება შეიძლება კანცელარიაშივე, დილის 10 საათიდან 2 საათამდე.

ნ. 1706 „საქართველოს ტყე“

ა. წ. აგვისტოს 30-ს დილის 9 საათზე,
ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მუშა და გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყ. მიერ
მოწვეულია
მაზრის ქალთა შორის მომუშავე განყოფილებების გამგეების
მორიგი თათბირი
ნ. 1702 3—1

ს.ს.ს.რ. სახ. განათლების კომისარიატის
მიერ დანიშნული
საჯარო შეჯიბრება

ა. წ. 26 აგვისტოსათვის წითელი არმიისა და ფლოტის შენობის შეკეთების შესახებ გადაიდება ა. წ. 31 აგვისტოს დილის 12 საათისათვის. საჯარო შეჯიბრებაში მონაწილეთ შეუძლიანთ მიიღონ ახალი შესწორებული და დამატებითი კონდიციები განათლების კომისარიატის ტეხნიკურ განყოფილებაში ა. წ. 29 აგვისტოს კვირას დილის 10 საათიდან

ნის. 1710 კომისია

სახ. განათლების კომისარიატის სახელმწიფო
საბუღალტრო კურსები
ი. ავალიშვილის ხელმძღვანელობით
აცხადებს, რომ მეცადინეობა იწყება 1-ლ ოქტომბერს დავიდოვის ქ. № 25 პირობების გაგება შეიძლება დუშეთის ქ. № 19. 3—1 3401

ექიმი
ბ-ტ ი. მირიანაშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება დილ. 8—10 საათამდე. საღ. 7—8 საათამდე.
ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის), 74. მე-6 საბჭოთა (ყ. ვაზნისა) აფთიაქის ახლოს. 25—1

შაბათს, 28 აგვისტოს, დილის 10 საათზე,
ამიერ-კავკასიის რკინისგზების გამგეობის არქივში
(სადგურის ქ. № 1)
საჯარო ვაჭრობით გაიყიდება
ძველი ქაღალდი (მაკულატურა)
2—1 ნ. 1700

ამხ-ბა „ძმის-ხეობის“
სალიკვიდაციო კომისია
რომელიც არჩეული იქნა ა. წ. ივლისის 23-ს ძმის-ხეობის ლიკვიდაციის ჩასატარებლად

ამით აცხადებს, მოვალეთა ცნობად, რომ ყოველგვარი პრეტენზია ძმის-ხეობის დავალიანების შესახებ მიიღება ა. წ. 13 სექტემბრამდე, ხოლო ამ ვადის დასრულების შემდეგ წარმოდგენილი პრეტენზიები არ იქნება განხილული.

სალიკვიდაციო კომისია
მისამართი: გორის მაზრა დაბა ქარელი 3405

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ნესტორ იზორია

ამით აცხადებს, რომ ის 30 აგვისტოს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 22 სასამართლოს ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის პეტროს მინასიანცის მოძრავ ქონებას: ორი ტანთსაცმელის შკაფს, მათ შორის ერთი სარკიანი, ერთი კამოდს და ერთ პირსაბანს შეფასებულს 100 მანეთად, „მერკურკრედიტი“-ს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 27 აგვისტოს 1926 წ. თარიღით, № 2487 გაცემულ სასამართლოს ბრძანებისა. 3409

სიღნაღის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ნ. მავზაროვი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 28 აგვისტოს სოფელ კარდენახში სიღნაღის მაზრაში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** კოოპერატიული საზოგადოების „კახეთია“-ს ქონებისა, რომელიც აღწერილია ქალ. თბილისის კომუნალური ბანკის და სიღნაღის სამაზრო აღმასკომის ვალში, თანახმად ქალ. თბილისის მე-2 უბნის და სიღნაღის უბნის სახალხო სასამართლოების აღმასრულებელი ფურცლებისა ა. წ. 13 ნოემბრის № 4016 და ა. წ. 3 აგვისტოს № 1276 და 1277. სია გასასყიდი ქონებისა: ერთი ორ სართულიანი ქვიტკირის შენობა დახურული კრამიტით, დაბლა და მაღლა საწყობისათვის ორი გრძელი ოთახები და გვერდზე მოდგმული საცხოვრებელი ფიცრული ოთახი, ერთი ძველი ფაიტონი, ერთი დიდი სასწორი, შვიდი ცალი ჩუგუნის რელსები და სხვა, რომელი ქონებაც დაფასებულია ჯამით სულ 1842 მანეთში. ნის. 1713

ზუგდიდის და ხობის უბნებთა სახალხო სასამართლოების სასამართლოს აღმასრულებელი ი. დგებუაძე

ამით აცხადებს, რომ 3 სექტემბერს 1926 წ. დღის 12 საათზე ქ. ზუგდიდში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ბიქტორი მიგინეიშვილის მოძრავ ქონებას ექვს ბოჭკას შეფასებულს 127 მანეთად, ისიდორე ბულიას ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ზუგდიდის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოდან 16 თებერვალს 1926 წ. თარიღით № 563 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 1712

ქ. თბილისის მე-4 რაიონის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 4 სექტემბერს ნაშუადღევის 12 ნახ. საათზე 1-ლი **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება აბრამ გრიგორის-ძე ტერ-აბრამოვის უფლება ორ სართულიან ქვის სახლის ერთ მერვედზე, რომელიც მოთავსებულია მე-8 სამილიციო რაიონში გონჩარნის და სვერდლოვის ქუჩ. კუთხეში № 13 | 6. ამ სახლის შემადგენლობაში შედის: 13 ოთახი, 5 სამზარეულო, 3 რკინის აივანი ქუჩისკენ, 1 დარაბა, წყალსადენი და კანალიზაცია. ეს უფლება შეფასებულია 250 მანეთად და ამ თანხიდან დაიწყება ვაჭრობა სახლის მდებარეობის ადგილას ამასთანავე დაცული იქნება სამოქალაქო პროცესუალურ კოდექსის 301, 311, 312, 313, 314 და 316 მუხლებში აღნიშნული მოთხოვნილებანი. 3407

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—2

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

ექიმი შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 89 25—

წყლებით სამკურნალო
(ხაზინის ქ. № 1)
ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდე.
წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმ-სპეციალისტის ხელმძღვანელობით
ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა
პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე. 25—3 ნ. 1650

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი ხისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

თანახმად საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის 1921 წლის 28 აპრილის № 28 დეკრეტის 6 მუხლისა, შორაპნის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მცხ. დაბა საჩხერეში (შორაპნის მაზრა) მოქალაქე გრიგოლ სარდიონის-ძე შეყლაშვილმა და მისმა ცოლმა ფედორა პეტრე გურგენიძის ასულმა შეყლაშვილისამ შემოიტანეს განცხადება მათი გვარის შეყლაშვილის „ჩაჩანიძეზე“ შეცვლის შესახებ.

შორაპნის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე: ს. ცუცქირიძე
მმაჩის ბიუროს გამგე: გ. აბდუშელიშვილი.
3412

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული სოფ. ხოვლედან (გორის მაზრა) ნიკოლოზ მათეს-ძე მერაბაშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა მუშკოოპის წევრობის წიგნაკი № 9680, არამ მნაცაკანოვის სახელზე, ჩ. გ. 3406

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი გიორგი, ქეთევან და იოსებ ჭეიშვილების სახელზე, ჩ. გ. 3404

დაიკარგა ა.ლ.კ.კ. საწევრო წიგნაკი, პასპორტი და საჰაერო ფლოტის საწევრო წიგნაკი სავა ჯიოევის სახელზე, ჩ. გ. 3403

დაიკარგა მეტრიკული ამონაწერი დომენტი ჯიოევის სახელზე, ჩ. გ. 3402

დაიკარგა ვინაობის მოწმობა № 13383, მოცემული თბილისის მილიციის სამმართველოდან ივანე დიმიტრის-ძე ჩხიკვიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3410

დაიკარგა სამტრედიის მე-2 მთლიანი შრომის სკოლის მოწმობა № 350, იუსტინა გიგინეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3412

დაიკარგა ფეიქართა კავშირის წიგნაკი ნინა იმნაძეს სახელზე, ჩ. გ. 3408

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68